ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა-2 A3

ასლანური შანტაჟი A8

"საოჯახო-ტოტო" ცხრილი B6-B7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 17 ნოემბერი, 2003 წელი. №299 (511)

ფასი 50 თეთრი

აქეთ ხალხია!

ამინდი

თბილისი	12	
ქუთაისი	14	
ბათუმი	16	
სოხუმი	10	
ფოთი	14	
თელავი	11	
ზუგდიდი	14	
გორი	18	
ახმეტა	11	
ჭიათურა	11	

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.2275
ევრო	2.6004
გირვანქა სტერლ.	3.7384
რუბლი	0.0746

პროვინციული ტრაგიკომედია

შევარდნაძის რეჟიმის მხარდამჭერი ასლან აბაშიძე მოსკოვმა პოლიტიკურ ნონსენსად აღიქვა

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

დასრულდა აჭარის ლიდერის მოსკოვური ტურნე. ოფიციალურმა მოსკოვმა აბაშიძე გარემოებათა შესაფერისად მიიღო: პრესტიჟული "მეტროპოლი"; პრესკონფერენცია მეგობრულად განწყობილ "იტარ-ტასში", რომლის უფროსის, ამხანაგ იგნატენკოს კარგად გაწრთვნილი ჟურნალისტები სტუმარს მხოლოდ მოსახერხებელ შკითხვებს უსვამდნენ; აჭარის ლიდერის პოლიტიკური ბაგაჟის პრეზენტაცია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში და კრემლის ახალ ადმინისტრაციაში.

მოსკოველი დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ აჭარის ფაქტორი მოსკოვს მხოლოდ საქართველოში საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად სჭირდება. სწორედ ეს არის აჭარის ლიდერის დღევანდელი საზრუნავიც, რადგან რუსეთის ხელისუფლება, როგორც ჩანს, აბაშიძის პრეზიდენტობაზე ფსონს არ დებს.

საგულისხმოა მეორე ფაქტიც: აჭარის ლიდერის მოსკოვურ გარემოცვაში სააკაშვილის ფქტორმა დიდი განხეთქილება შეიტანა - ზოგი მხარს უჭერს ოპოზიციას, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ ამბობს, და ეს კარგად გამოჩნდა "მეტროპოლში" აბაშიძის მომხრეთა "პარტაქტივის" კრებაზე. ამ შეხვედრაზე აბაშიძის ბევრი ყოფილი ერთგული თანამებრძოლი არ მოვიდა.

გაგრძელება A8 გვერდზე

საქართველო თავის სისუსტეს ვეღარ უმკლავდება

პიტერ ბეიკერი
"ვაშინგტონ პოსტი"

შუასაუკუნოვანი ციხე-სიმაგრეებისა და საბჭოური კორპუსების მიწაზე ზამთარს ყოველთვის ენერგოკრიზისი მოსდევს. შუქის პრობლემა ისე გაუსაძლისი გახდა, რომ გასულ წელს საქართველოს მთავრობამ ამერიკას სთხოვა დახმარება.

ამერიკული ფულით მთავრობამ დაიქირავა საკონსულტაციო კომპანია, რომელსაც უნდა მიეხედა ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელისათვის. ამერიკული კომპანია სწრაფად მიხვდა, რომ საქმე გაცილებით უარესად იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. მათთვის სამართავად გადაცემული კომპანია სხვა არაფერი იყო, თუ არა ვადაგასული აპარატურის, გადაუხდელი ვალებისა და ყოვლისმომცველი კორუფციის უცნაური ნაზავი. ელექტროენერგიის გადასახადს მომხმარებელთა მხოლოდ 10 პროცენტი იხდიდა.

კონსულტანტებმა გადაწყვიტეს, მტკიცედ ემოქმედათ. ურჩ გადამხდელებს ვალების დაუყოვნებლივ გადახდა მოსთხოვეს და, წინააღმდეგ შემთხვევაში, შუქის გამორთვით დაემუქრნენ. მათ მტკიცე ნაბიჯებს არანაკლები სიმტკიცით უპასუხა მთავრობამ. ერთ-ერთ რეგიონში გუბერნატორი თავისი დაცვის თანხლებით შეიჭრა ქვესადგურში და შუქი ჩართო. მეორე ქალაქში ადგილობრივმა მერმა იგივე გაიმეორა და თანაც, თავისი გადაწყვეტილების ურყევობის დასამტკიცებლად, ელექტროიზოლატორს ესროლა.

გაგრძელება A5 გვერდზე

ვინ მიიყვანა ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისამდე?!

საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ საკუთარი ხმის ექოს უსმენს

დღეიდან საქართველოში ეროვნული დაუმორჩილებლობა ცხადდება. ცხადია, რომ აღნიშნული პროცესი უარყოფით ზეგავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე - ამას ეკონომიკური ექსპერტების უმრავლესობაც აღიარებს, მაგრამ, რეალურად, ვინ მიიყვანა ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისამდე? როგორ უნდა ავიცილოთ ეკონომიკური კრახი თავიდან?

თამარ ხორბალაძე

ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა გასული კვირის მოვლენები, როცა საქართველოს ხელისუფლებამ თავად დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ქვეყანას სერიოზული ეკონომიკური კრიზისი ელის.

ერთმანეთის მიყოლებით ჯერ შს მინისტრმა, მერე - საგადასახადო და საბაჟო სამსახურებმა, ეკონომიკის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის სამინიტრომ, უშიშროების საბჭომ გააკეთეს განცხადებები იმის შესახებ, რომ ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციები "დამანგრეველ" ზეგავლენას ახდენს ქართულ ეკონომიკაზე (სხვათა შორის, ერთადერთი, ვინც საზოგადოებას მოუწოდებდა, არ აჰყოლოდა პანიკას - ეროვნული ბანკი გახლდათ, სტრუქტურა, რომელიც საქართველოში გამონაკლისია იმ სახელმწიფო უწყებათა შორის, რომლის მუშაობასაც როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ისე მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტები დადებითად აფასებს).

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 რეკლამა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B1 პრესომბუდსმენი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 "საიჯახო-ტოტო" ცხრილები B8 სხვადასხვა

სნსკ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენი

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია აცნობებს საქართველოს მოსახლეობას, რომ 2003 წ. 11 ნოემბერს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაფინანსების თაობაზე

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭომ, 2003 წლის 11 ნოემბერს, მიიღო გადაწყვეტილება გამოყოს 250 მილ. აშშ დოლარი, რათა დააფინანსოს 3.6 მილიარდად შეფასებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი თავად გამოყოფს 125 მილ. აშშ დოლარს ხოლო დანარჩენი 125 მილიონის გამოყოფას იგი უზრუნველყოფს კომერციული ბანკებიდან სესხების მობილიზაციის გზით. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭომ ასევე მიიღო გადაწყვეტილება, გამოყოს 30 მილ. აშშ დოლარი, რათა დააფინანსოს კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში მდებარე აზერი-ჩირაგი-გიუნაშლის ნავთობის საბადოების დამუშავების 3.2 მილიარდიანი პროექტის I ფაზა, ამდენივე თანხა გამოიყოფა კომერციული ბანკებიდან სესხების მობილიზაციის საფუძველზე.

როგორც ცნობილია, 2003 წლის 4 ნოემბერს ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ასეთივე გადაწყვეტილება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაფინანსების თაობაზე და ამ მიზნით მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ გამოყო 250 მილიონი აშშ დოლარი .

მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და ევროპის რეკუნსტრუქციის და განვითარების ბანკის მიერ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის დაფინანსების შესახებ მიღებული ეს გადაწყვეტილება მართლაც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტების განხორციელება შეუქცევადი პროცესია.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის დაფინანსების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ეს პროექტი ხორციელდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ აღიარებული გარემოსდაცვითი ნორმებისა და ტექნიკური სტანდარტების სრული დაცვით, ღიად და გამჭვირვალედ. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა დაადასტურა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, დამოუკიდებელი ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, პროექტის ინვესტორების მიერ შემუშავებული ნავთობსადენის ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და დაცვის მრავალშრიანი სისტემა სრულად უზრუნველყოფს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხო ფუნქციონირებას.

პროექტების ძირითადი სპონსორები, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და კომპანია ბი-პი (BP),ასევე შეთანხმდნენ განახორციელონ ახალი ინიციატივა რეგიონალური განვითარების შესახებ. ეს ინიციატივა ითვალისწინებს გრძელვადიანი სამუშაო ადგილების შექმნას და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას მილსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ. მისი რეალიზაცია ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას, რაც მოხდება ისეთი ღონისძიებების მეშვეობით, როგორიცაა სესხებისა და გრანტების გამოყოფა მცირე ბიზნესის, სასწავლო პროგრამების და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურის დაფინანსების მიზნით.

ამ ინიციატივის განსახორციელებლად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და კომპანია ბი-პი-ს (BP) განზრახული აქვთ გრანტებისა და სესხების სახით გამოყონ 25 მილიონი აშშ დოლარი. ამ მიზნით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კორსორციუმის სხვა წევრებიც გამოყოფენ თანხებს, რათა მთლიანობაში, გამოყოფილმა თანხამ შეადგინოს 100 მილ. აშშ დოლარი.

საქმიანობის შემდგომ ეტაპებზე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან ერთად, გააგრძელებს ამ პროექტებზე მუშაობას და მუდმივად განახორციელებს მის მონოტორინგს, რათა შესრულდეს პროექტით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ოფისი თბილისში
სანაპიროს ქუჩა № 4
ტელ: 92-02-46/47
ცხელი სატელეფონო ხაზი 92-02-54
ელ. ფოსტა gioc@gioc.ge

აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფანი

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ცესკო-ში საიდუმლო გეგმის თაობაზე არაფერი იციან

თამარ ასათიანი

გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უჩვეული სიმშვიდე სუფევდა. იმის მიუხედავად, რომ "ძველის" შენობის პირველ სართულზე "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები მჯდომარე აქციას განაგრძობდნენ, ცესკო-ში აცხადებდნენ, რომ ეს მათ საქმიანობაზე არანაირ გავლენას არ ახდენდა. ცესკო-ში საკმაოდ დინჯად შეხვდნენ (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა) ზურაბ ჟვანიას ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ორ დღეში კომისია არჩევნების გაყალბებული შედეგების დამტკიცებას აპირებდა.

"ამ განცხადების თაობაზე სულ რაღაც თხუთმეტი წუთის წინ გავიგე... კი მაგრამ, კანონის მოთხოვნებს თქვენ ხომ იცნობთ? ვერ გავიგე, ესენი ხალხს აბრმავებენ? კანონი პირდაპირ გვავალდებულებს, რომ არჩევნების გამართვიდან არა უგვიანეს თვრამეტი დღისა არჩევნების შედეგები დავამტკიცოთ. ჩვენ კანონის დარღვევას არ ვაპირებთ. დავამტკიცებთ იმ შედეგებს, რაც გვაქვს," – განუცხადა "24 საათს" კომისიის მდივანმა გიორგი მიქაძემ.

ამასთან, მან უარყო ის ინფორმაცია, რომელიც ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ვრცელდება და რომლის თანახმად, ცესკო-ში სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლების გახშირებული ვიზიტები პირდაპირ უკავშირდება იმ ფარულ გეგმას, რომლის თაობაზეც განცხადება გუშინ ოპოზიციის წარმომადგენლებმა გააკეთეს.

"როგორ წარმოგიდგენიათ, მამუკა გოზეჩიას ან ნოდარ პაპუაშვილის ასე თავისუფლად შეუძლია შესვლა პრეზიდენტთან ან სახელმწიფო მინისტრთან? ანდა, დავუშვათ და, მართლაც მიმდინარეობდა საიდუმლო მოლაპარაკება, თქვენი აზრით, სახელმწიფო კანცელარიის გარდა, სხვა ადგილი არ მოიძებნებოდა? როცა ქვეყანაში ასეთი დაძაბული ვითარებაა, როდესაც ქუჩაში ყოფილი გამოძახებულა ვინმეს სახელმწიფო კანცელარიაში? სასაცილოა ეს ყველაფერი," – აცხადებს გიორგი მიქაძე და იქვე დასძენს, რომ ამჟამად ცესკო-ში მიმდინარეობს საოლქო საარჩევნო კომისიიდან ჩამოსული ოქმების დაზუსტება.

სხვათა შორის, გუშინ ინტერნეტში ცესკო-ს ოფიციალური ვებ-გვერდი გათიშული იყო. როგორც ცესკო-ში აცხადებდნენ, ამის მიზეზი სწორედ მონაცემების გადამოწმება იყო. და კიდევ: მას მერე, რაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო წესი ამომრჩეველთა საერთო რიცხვის დადგენის თაობაზე, არავინ იცის, ოფიციალურად, რამდენი ამომრჩეველი იღებდა მონაწილეობას არჩევნებში. ამ ციფრს ცესკო-ში არავინ ასახელებს, თუმცა ისიც ცხადია, რომ კომისიაში უკვე ყველაფერი დათვლილია და მონაცემები – გადანაწილებული.

ინფორმაციის გასაიდუმლოების მიზეზად კი კომისიის წევრები საარჩევნო კანონის იმ მოთხოვნას ასახელებენ, რომლის თანახმად, **"საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს ეკრძალებათ არჩევნების წინასწარი შედეგების შესახებ განცხადების გაკეთება, თუ ეს შედეგები სათანადო წესით არ არის გამოქვეყნებული ინტერნეტში."**

მოკლედ, გუშინ ცესკო-ში გარეგნულად სრული სიმშვიდე სუფევდა და მთელი ყურადღება განმეორებითი კენჭისყრებისკენ იყო მიმართული.

ყოველ სამ საათში ერთხელ ცესკო-ში შედიოდა მონაცემები იმ საარჩევნო უბნებიდან, სადაც გუშინ განმეორებითი კენჭისყრები ტარდებოდა. ასეთი კი ხუთი იყო: ოთხი – სამტრედიაში და ერთიც – წალენჯიხაში. **"ოთხივე უბანში ხმის მიცემის პროცედურა ნორმალურად მიმდინარეობს,"** – ასეთი იყო ცესკო-ს ოფიციალური განცხადებები.

გუშინ, დილის პირველ ნახევარში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში თავს იკავებდნენ პოლიტიკური განცხადებებისაგან. ერთადერთი ოფიციალური კომენტარი მხოლოდ "ნაციონალების" საპროტესტო მჯდომარე აქციის თაობაზე გაკეთდა.

ცესკო-ს ცნობით, შაბათს შენობაში ფოიეში მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები [illegible] რამდენიმე თანაპარტიელთან ერთად. გიორგი მიქაძის განცხადებით, საპროტესტო აქცია პოლიტიკური სუბიექტებისთვის კანონით დაშვებულ ფორმად და მის ჩარჩოებში მოქმედება ცესკო-ზე ზემოქმედებად არ აღიქმება.

"პროტესტის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ცესკო-ს 15 წევრი და აპარატი ამ პოლიტიკური სუბიექტების სურვილებს აჰყვება," – აღნიშნა მიქაძემ.

რაც შეეხება დღევანდელ დღეს: ოფიციალურად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა დანიშნული არ არის. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, ცესკო-ს ხელმძღვანელობა გადაწყვეტილება ბოლო წუთს შეცვალოს.

დაბოლოს: გუშინ სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის ჟურნალისტებმა ცესკო-ში ინფორმაციის მოპოვება თავისუფლად მოახერხეს. როგორც გაირკვა, ცესკო-ს თავმჯდომარის ხელი არ მოუწერია იმ გადაწყვეტილებისთვის, რომლის თანახმად "რუსთავი-2-ს" აკრედიტაცია გაუუქმდა.

საყოველთაო სამოქალაქო დაუმორჩილებლობა - ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა-2

ოპოზიციის ლიდერებმა სამოქმედო სტრატეგია წარადგინეს.

შაბათს "ნაციონალურმა მოძრაობამ" და "ბურჯანაძე-დემოკრატებმა", ფართო საზოგადოების მხარდაჭერით, ხელისუფლება ნოკდაუნში ჩააგდო. მაგრამ, საბოლოო გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ, შევარდნაძის ბანაკზე დღეიდან გადამწყვეტი დარტყმა მზადდება. გუშინ ფილარმონიაში გამართულ შეკრებაზე მიხეილ სააკაშვილმა, ნინო ბურჯანაძემ და ზურაბ ჟვანიამ ხალხს საყოველთაო სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდეს.

გიორგი ასანიშვილი

გაერთიანებულმა ოპოზიციამ 14 ნოემბერს ხელისუფლება მორალურად დაამარცხა. ანალოგიური მასშტაბის საპროტესტო აქციის შემთხვევაში, ცივილიზებული სახელმწიფოს მმართველი გუნდი დაუყოვნებლივ გადადგებოდა. მაგრამ შევარდნაძის ბანაკისთვის თამაშის ცივილური წესები, მორალური და ზნეობრივი კატეგორიები უცხოა - იგი "სხვა მასალისგან არის ნაგები". ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს კანცელარიის ზედა სართულებზე, როგორც ჩანს, თავისი არშინით ზომავენ. პრეზიდენტის პრეს-მდივნის თქმით, რუსთაველის გამზირზე 14 ნოემბერს, თურმე, მხოლოდ ერთი პარტიის აქტივი გამოსულა. მართლა ასეც რომ ყოფილიყო, მით უარესი ხელისუფლებისთვის - თუ ერთ ოპოზიციურ პარტიას ასეთი აქტივი ჰყავს, მაშინ, ვაი, შევარდნაძის გუნდის ბრალი, როდესაც მის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი საერთო ეროვნულ მასშტაბს შეიძენს.

ვინაიდან შაბათს მოწყობილი გრანდიოზული აქცია პრეზიდენტის ოფისისთვის ცერცვის შეყრა აღმოჩნდა, ოპოზიცია იძულებული გახდა, ტაქტიკა შეეცვალა და ფართომასშტაბიანი მანიფესტაციების ჩატარების ნაცვლად, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გზას დასდგომოდა.

უკვე შეიქმნა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მთავარი საკოორდინაციო კომიტეტი, რომელიც ზეპარტიული ორგანოა. მასში, პოლიტიკოსებთან ერთად, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც შედიან.

პრაქტიკულ ქმედებებზე გადასვლას ოპოზიცია აღარ აყოვნებს. "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს, თეატრებს და, საერთოდ, ყველა სახელისუფლებო დაწესებულებას დღეიდან გაფიცვის დაწყებისკენ მოუწოდებს.

"სამოქალაქო დაუმორჩილებლობის დროს, ხალხმა ერთხმად უნდა თქვას, რომ ის არ ემორჩილება შევარდნაძეს და არ ცნობს მას ქვეყნის პრეზიდენტად," - განაცხადა მან ფილარმონიაში გამართულ, საკოორდინაციო კომიტეტის პირველ გაფართოებულ სხდომაზე. ჟვანიას თქმით, საყოველთაო დაუმორჩილებლობა, თავისი მასშტაბებითა და მნიშვნელობით, ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას უნდა გაუტოლდეს.

"ეს დღეები და კვირები მთელი თაობებისთვის საამაყო იქნება. ხალხი იამაყებს, რომ თავიდან მოიშორა ურჩხული, რომელიც წლების განმავლობაში ტანჯავდა ქვეყანას," - გადამწყვეტი "დარტყმისკენ" მოუწოდებს საზოგადოებას "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარე.

გუშინდელ შეკრებაზე მან სიამაყით ისიც აღნიშნა, რომ მასობრივი საპროტესტო აქციების დროს, თბილისში ერთი მანქანაც კი არ გაკაწრულა, მაშინ, როდესაც ასეთ დროს, ცივილიზებულ ქვეყნებშიც კი, ხშირად, ვიტრინებს ამსხვრევენ და მანქანებს აბრუნებენ.

"ეს იყო ჭეშმარიტად სახალხო მოძრაობა, როდესაც ხალხი კი არ იდგა ჩვენს გვერდით, არამედ ის ითხოვდა, რომ ჩვენ ვმდგარიყავით მის გვერდით," - სიამაყით იხსენებს განვლილ დღეებს ჟვანია.

ხელისუფლებასთან დაპირისპირების ფორმისა და მეთოდების შეცვლის აუცილებლობაზე საუბრობს მიხეილ სააკაშვილიც. მისი განცხადებით, თუნდაც გრანდიოზული დემონსტრაციების ზეგავლენით, შევარდნაძე ხელისუფლებიდან წამსვლელი არ არის და ამიტომ, რაც შეიძლება ფართოდ უნდა გაიშალოს საგაფიცვო მოძრაობა. "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს დღეისთვის დაგეგმილი კიდევ ერთი მასობრივი მანიფესტაციის ჩატარება ნაადრევად მიაჩნია და მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ჯერ ადგილებზე, რეგიონებში ჩატარდეს ლოკალური ღონისძიებები და, თუ შევარდნაძე მაინც არ დაიხევს უკან, მხოლოდ ამის შემდეგ მოეწყოს მორიგი ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქცია.

მიხეილ სააკაშვილი იმ საფრთხეზეც ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ასლან აბაშიძის მიერ თბილისში თავისი მხარდამჭერების ჩამოყვანას უკავშირდება. **"თუ აბაშიძე ბათუმიდან თბილისში თავის უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს გადმოიყვანს, მაშინ არმია და პოლიცია ნეიტრალურები ველარ იქნებიან,"** - მიიჩნევს სააკაშვილი და მოვლენების ასეთი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში, ძალოვან სტრუქტურებს ქვეყნის მთავარსარდლის ხელისუფლებიდან ჩამოცილებისკენ მოუწოდებს.

"შევარდნაძეს უნდა, ქვეყანაში შექმნას კრიზისი და ამ კრიზისით გადაირჩინოს თავი, ჩვენ კი გვინდა, შევარდნაძეს შევუქმნათ კრიზისი და ქვეყანა გადავარჩინოთ," - შენიშნავს "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი. მისი აზრით, ამჟამინდელ ეტაპზე პრეზიდენტის მიზანია დროის მოგება და ხრიკების მოწყობა ძალაუფლების შესანარჩუნებლად. სააკაშვილი ამ ანკესზე წამოგებას არ აპირებს და შევარდნაძის წინაშე "პირობას დებს", რომ სულ რამდენიმე დღეში შეაგროვებს მილიონ ხელმოწერას მისი გადაყენების მოთხოვნით.

თავის მხრივ, ფილარმონიაში გუშინდელი გამოსვლის დროს, ნინო ბურჯანაძემ გაიხსენა, რომ ის ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ საუბრობდა დიქტატურის საშიშროებაზე და ეს საფრთხე დღეს უკვე საკმაოდ რეალური გახდა. პარლამენტის თავმჯდომარე, სააკაშვილისა და ჟვანიას მსგავსად, მეტად რადიკალურია და საზოგადოებას გადამჭრელი ქმედებებისკენ მოუწოდებს.

"ახლა დგება გადამწყვეტი მომენტი: თუ ქვეყნის გადარჩენის და მისი ფეხზე დაყენების შანსი დავკარგეთ, ასეთი შანსი დიდხანს აღარ იქნება," - მიიჩნევს ბურჯანაძე.

ერთი სიტყვით, წილი ნაყარია - ოპოზიცია ხელისუფლების წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადადის. ვინ ვის? - ამის გარკვევას დიდი დრო აღარ სჭირდება.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მთავარი კომიტეტის მიმართვა საქართველოს საზოგადოებას

ქვეყანაში შექმნილ ვითარებაში, ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლის და, ამავდროულად, ძალადობისა და სისხლისღვრის თავიდან აცილების ერთადერთ გზად, გაერთიანებულ ოპოზიციას ყოვლისმომცველი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გამოცხადება მიაჩნია. გუშინ ფილარმონიაში გამართულ შეკრებაზე ერთხმად მიღებულ მიმართვაში ნათქვამია:

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების წარმომადგენლები ვაყალიბებთ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კომიტეტს.

1. საქართველოს ყველა მხარესა და რაიონში, ყველა ქალაქსა თუ სოფელში, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" ოფისები იმოქმედებენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ადგილობრივი შტაბების რეჟიმში.

2. მოვუწოდებთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, თავის სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებზე ჩამოაყალიბონ დაუმორჩილებლობის პირველადი ორგანიზაციები და ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ ადგილობრივ შტაბს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოცხადდება დაუმორჩილებლობის მოძრაობის ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრები, რომელზეც შეძლებთ ინფორმაციის მიწოდებას დაუმორჩილებლობის პირველადი ორგანიზაციების შექმნის შესახებ.

3. მოვუწოდებთ საქართველოს მოქალაქეებს, მოაწყონ მშვიდობიანი პიკეტები სამხარეო და რაიონული ადმინისტრაციების შენობებთან, რათა შევარდნაძის ჩინოვნიკებს არ მივცეთ ჩვეულ რეჟიმში მუშაობის საშუალება.

4. მოვუწოდებთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, შეუერთდნენ ხელმოწერის აქციას ხელახალი საპარლამენტო და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით.

5. მოვუწოდებთ მეწარმეებს, გადაიხადონ მხოლოდ ის გადასახადები, რომლებიც განკუთვნილია სოციალური და საპენსიო ფონდებისთვის.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შემდგომ ეტაპზე მთავარი კომიტეტი მიმართავს მშვიდობიანი პროტესტის სხვა უკიდურეს ფორმებს.

ხელისუფლების საიდუმლო გეგმა

"რაც შეიძლება სწრაფად, დღეს ან ხვალ ცესკო-ს მიერ გამოცხადდეს საპარლამენტო არჩევნების შედეგები, მეორე დღესვე იქნეს შეკრებილი ე.წ. დანიშნული პარლამენტი და სასწრაფოდ, იმავე დღეს არჩეულ იქნეს პარლამენტის თავმჯდომარე შესაძლო სამი კანდიდატურიდან – ნიკო ლეკიშვილი, ჯემალ გოგიტიძე და ვაჟა ლორთქიფანიძე. შემდეგ ეს პარლამენტი გამოცხადდება ლეგიტიმურ, ფუნქციადაწყებულ პარლამენტად, რითაც ხელისუფლება შეეცდება, ყველაფერი ჩაფარცხოს, აზრი დაუკარგოს ჩვენს ქუჩაში გამოსვლას, ჩვენს სამოქალაქო პროტესტს. ფაქტობრივად, შევარდნაძე ცდილობს, საზოგადოება დააყენოს ამ დილემის წინაშე - შევარდნაძე თუ აბაშიძე, უნდა გვათქმევინოს: არა, ბატონო, ისევ შევარდნაძე გვირჩევნია აბაშიძეს და აბაშიძის მარიონეტებს. იგი ამ გზით ცდილობს საზოგადოებრივი პროტესტის შეჩერებას," – ამბობს გია ბარამიძე და დასძენს, რომ ხელისუფლების მიერ შემუშავებული აღნიშნული სცენარი ოპოზიციისთვის ცნობილია როგორც ოპოზიციასთან მოთანამშრომლე სახელისუფლებო წრეებიდან, ისე დამატებითი წყაროებიდანაც.

გარდა ამისა, ბარამიძის თქმით, ხელისუფლება ცდილობს, დაიბევოს რუსეთის სამხედრო მხარდაჭერა. **"ამის თაობაზე ასლან აბაშიძემ უკვე საკმაოდ ღიად განაცხადა აჭარის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში. ასევე, რამდენიმე დღის წინ ბათუმში გამართულ შევარდნაძის მხარდასაჭერ მიტინგზე, როდესაც ჯემალ გოგიტიძეს დაუსვეს კითხვა, რა ტიპის მხარდაჭერა შეიძლება მიიღოს შევარდნაძემ აჭარიდან, მან საკმაოდ მკაფიოდ აღნიშნა: სამხედრო მხარდაჭერა. მან ეს დაუფარავად თქვა. გოგიტიძემ დასძინა, რომ საჭიროების შემთხვევაში, რუსული ბაზის მხარდაჭერაც იქნება გამოყენებული. როგორც ხედავთ, ისინი ამას არ მალავენ, პირდაპირ ამბობენ. ასე რომ, რაიმე დამატებითი მტკიცებულებების მოტანა არ არის საჭირო, თუმცა ჩვენ გვაქვს დამატებითი წყაროების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რაც იმას მოწმობს, რომ საქართველოს ხელისუფლება მზადაა, ღიად ჩართოს რუსეთი საქართველოს საშინაო საქმეებში,"** – აცხადებს ბარამიძე.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, ასლან აბაშიძის თბილისში ვიზიტთან დაკავშირებით, ბარამიძე მიიჩნევს, რომ აჭარის ლიდერი "თბილისში ჩამოსვლას ვერ გაბედავს". **"თუმცა, ის აპირებს, აქ რამდენიმე ათასი სამოქალაქო ფორმაში გადაცმული პოლიციელი გამოგზავნოს. ისინი შეიარაღებულნი იქნებიან რეზინის ხელკეტებით, რომელთა შიგნით რკინაა. მათ წარმოაჩენენ, როგორც აჭარის მოსახლეობის აღშფოთებულ მასებს, რომლებიც თბილისში საკუთარი საარჩევნო ხმების დაცვამ მოიყვანა,"** – აღნიშნავს ბარამიძე.

24 საათი

მოკლედ

ოთხ საარჩევნო უბანში ხელახალი არჩევნები არ შედგა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპეციალური გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ 16 ნოემბერს მთაწმინდის ორ - N9 და N13 საარჩევნო უბნებზე განმეორებითი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, არ შესრულდა.

ამომრჩევლებს მთაწმინდის N9 და N13 საარჩევნო უბნები გუშინ დილიდან დაკეტილი დახვდათ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით კი, მთაწმინდის N13 საარჩევნო უბანზე ხელახალი არჩევნების ჩაშლის მიზეზი წუხელ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გახდა, რომლის საფუძველზეც მთაწმინდის N13 საარჩევნო უბანზე საუბნო კომისიამ 2 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგები ხელახლა უნდა დაითვალოს. მთაწმინდის N9 საარჩევნო უბანზე არჩევნების არჩატარების მიზეზად ცესკო-ში ტექნიკურ მიზეზებს ასახელებენ.

თუმცა, როგორც ცნობილი გახდა, ცესკო-ში ღამით წერილი მივიდა, საიდანაც ირკვეოდა, რომ უბნების თავმჯდომარეები განმეორებითი არჩევნების ჩატარებაზე ინფორმირებულები არ იყვნენ.

გარდა ამისა, წალენჯიხის ოლქის სამი საარჩევნო უბნის ნაცვლად, ხელახალი არჩევნები მხოლოდ ერთ უბანზე ჩატარდა. წალენჯიხის დანარჩენ ორ საარჩევნო უბანში, სადაც ცესკო-ს განკარგულებით განმეორებითი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, სასამართლოს გადწყვეტილებით, არჩევნების შედეგები ხელახლა უნდა გადაითვალოს. **ინტერ-პრესი**

ნორიოს საშუალო სკოლის პედაგოგები შიმშილობას იწყებენ

გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს საშუალო სკოლის პედაგოგები დღეს სკოლის დირექტორს დაუმორჩილებლობას გამოუცხადებენ და სკოლის შენობის წინ შიმშილობას დაიწყებენ.

როგორც საგაფიცვო კომიტეტის წევრმა, ერთ-ერთმა პედაგოგმა განაცხადა, ნორიოს საშუალო სკოლის პედკოლექტივის მწვავე პროტესტის მიზეზი ორი თვის გაუცემელი ხელფასები გახდა. მათ სოფლის გამგებელს ალექსანდრე ქოპილაშვილს ხელფასების დარიგებისთვის ერთკვირიანი ვადა მისცეს, რომელიც ხვალ იწურება.

პედაგოგები არ გამორიცხავენ, რომ ისინი ორშაბათს პარლამენტის შენობის წინ ჟვანია-სააკაშვილის მიერ დაგეგმილ საპროტესტო აქციასაც შეუერთდნენ.

"სოფლის გამგებელმა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო, ჩვენ კი, პროტესტის გარდა, არაფერი დაგვრჩენია," - განაცხადეს პედაგოგებმა. გავრცელებული ვერსიით, სოფელ ნორიოში პედაგოგებისთვის ორი თვის ხელფასების გაუცემლობა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება იმ მოტივით, რომ სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი, გარდაბნის რაიონის ყოფილი გამგებელი ნუგზარ ფერიაშვილი გარდაბანში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად იყრიდა კენჭს და მან სოფლიდან ხმების სასურველი რაოდენობის წაღება ვერ შეძლო. **ინტერ-პრესი**

აბაშის გამგებელი პედაგოგთა გაფიცვის წინააღმდეგია

აბაშის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო პროცესის მოსალოდნელ პარალიზებასა და პედაგოგთა საგაფიცვო კამპანიას რაიონის გამგებელი იოსებ ჭანტურია არ ადასტურებს. როგორც იოსებ ჭანტურიამ განაცხადა, გასულ კვირას არც ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესი არ ჩაშლილა, თუმცა აბაშის პირველი სკოლა-გიმნაზიის პედპერსონალმა პოლიტიკური მოთხოვნების დაყენებით საგანმანათლებლო სისტემის პარალიზება სცადა. "საგაფიცვო კამპანიას ხელმძღვანელობს ამ სკოლა-გიმნაზიის წარმომადგენელი ნანა ნოდია, რომელიც ბლოკ „ბურჯანაძე-დემოკრატების" რაიონული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის დაა. ვფიქრობ, პედაგოგთა მხრიდან პოლიტიკური მოწოდებები და მოთხოვნები გაუმართლებელია. ამასთან, რამდენიმე მასწავლებლის ინიციატივას, მასობრივი საგაფიცვო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რაიონის საგანმანათლებლო სისტემის სხვა წარმომადგენლები" მხარს არ დაუჭერენ, – იმედოვნებს იოსებ ჭანტურია. **მედია-ნიუსი**

კახეთის გუბერნატორი ოპოზიციის საქციელს ვერ მოითმენს

დღეიდან კახეთის ყველა რაიონში ადმინისტრაციული და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს პოლიციის გაძლიერებული რაზმები დაიცავს. როგორც კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულმა ბიძინა სონღულაშვილმა განაცხადა, თუ ოპოზიციური პარტიები შენობების პიკეტირებასა და ხელყოფას შეეცდებიან, ბუნებრივია, ხელისუფლება ადეკვატურ ზომებს მიმართავს. "ჩვენ არავის თამაშის წესებში არ ვერევით, მაგრამ თუ ვინმე სახელმწიფოს თამაშის წესებში უხეშად ჩაერევა, მაშინ გულხელდაკრეფილნი არც ჩვენ ვისხდებით", — აცხადებს სონღულაშვილი. **მედია-ნიუსი**

კვიციანი სააკაშვილს თავის თანამდებობას სთავაზობს

კოდორის ხეობის მოსახლეობა თბილისში განვითარებული მოვლენების გამო აღშფოთებულია და შიშობს, რომ, თუ დედაქალაქში სამოქალაქო ომი დაიწყება, კოდორის ხეობა თავისთავად დაიკარგება; "მოსახლეობა ხეობას უკვე ტოვებს", - განაცხადა ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულმა ემზარ კვიციანმა.

კვიციანი ამაში "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს მიხეილ სააკაშვილს ადანაშაულებს. იგი შეშფოთებულია სააკაშვილის განცხადების გამო, თითქოს ხელისუფლების დავალებით, კოდორის ხეობაში პროვოკაციები მზადდება, რათა თბილისის მოვლენებიდან ყურადღება რეგიონზე იქნეს გადატანილი.

"გუშინ კოდორის ხეობა ოთხმა ოჯახმა დატოვა, რომელიც განაპირა სოფლებში - აძგარაში და პტიშში ცხოვრობენ. თუ ხეობა მოსახლეობისგან დაიცლება, ამაზე პასუხისმგებლობა სააკაშვილს დაეკისრება. მასაც და მის თანამოაზრეებსაც პრეზიდენტის სკამი უნდათ და ყველა ერთ სკამზე ვერ დაეტევა. მე, მაგალითად, მზად ვარ, მასაც და მის თანამოაზრეებსაც ჩემი სკამი დავუთმო, იმ პირობით, თუკი ისინი ერთი წელი მაინც კოდორის ხეობაში იცხოვრებენ, მაგრამ მათ ეს არ უნდათ. სააკაშვილმა თავისი პროვოკაციული განცხადებით მიზანს უკვე მიაღწია და მოსახლეობაში პანიკა დათესა, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს მას არ შერჩება", - აცხადებს კვიციანი.**მედია-ნიუსი**

კახა თარგამაძე - ხელისუფლების ყველა, მეტ-ნაკლებად პასუხისმგებელმა პირმა თანამდებობა უნდა დატოვოს

შს ექს-მინისტრი კახა თარგამაძე აცხადებს, რომ 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, როდესაც ოპოზიცია მრავალათასიანი საპროტესტო აქციებს ატარებს პრეზიდენტის გადადგომის და ახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით, ხელისუფლების ყველა, მეტ-ნაკლებად პასუხისმგებელმა პირმა თანამდებობა უნდა დატოვოს. მისი თქმით, დღეს არსებული სიტუაცია ორი წლის წინანდელთან შედარებით, როდესაც იგი თავად გადადგა ხალხის მოთხოვნით, ბევრად უფრო დაძაბულია და სამოქალაქო დაპირისპირების რეალური საშიშროება არსებობს. ამდენად, ექს-მინისტრი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომა სამოქალაქო ომს გამოიწვევს. მისივე განცხადებით, პოლიცია ღირსეულად იქცევა და ხალხის წინააღმდეგ იარაღს მომავალშიც არ გამოიყენებს, თუმცა "სამართალდამცავებს სათანადო მოვალეობები გააჩნიათ". კახა თარგამაძის განმარტებით, ორი წლის წინ, როდესაც გამწვავებული მდგომარეობის განსამუხტად მთავრობა გადადგა, მას არანაირი დანაშაული არ მიუძღოდა, მაგრამ "თანამდებობას არ გამოჰკიდებია". **პრაიმ-ნიუსი**

აჭარის მეთაური ასლან აბაშიძე პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მხარდასაჭერად თბილისში ჩამოდის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე დედაქალაქში ჩამოსვლას გეგმავს "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" საპროტესტო მიტინგზე, რომელიც სპორტის სასახლის წინ, სავარაუდოდ, სამშაბათს გაიმართება.

ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა აჭარის მეთაურთან დაახლოებულმა წყარომ ბათუმიდან. "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" მიტინგი ოპოზიციური ბლოკების "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობის" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" მიერ პარლამენტის შენობის წინ გამართული მრავალათასიანი მანიფესტაციების საპასუხოდ გაიმართება. აჭარის მეთაური ასლან აბაშიძე 12 წელია, თბილისში არ ჩამოსულა. **პრაიმ-ნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. გაერთიანებული ოპოზიციის მიერ გამოცხადებული დაუმორჩილებლობის მიუხედავად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი არ შეწყდება. ამის შესახებ განათლების მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ განაცხადა. მისი თქმით, სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები სწავლას ჩვეულ რიტმში განაგრძობენ. "ჩვენ ვერ დავუშვებთ, გარკვეული პოლიტიკური ძალების ინტერესების მიხედვით ვიმოქმედოთ და ახალგაზრდებს სწავლის საშუალება არ მივცეთ," - აღნიშნა კარტოზიამ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სახელმწიფო კანცელარიაში დღეს საქართველოს პრეზიდენტის და ჟურნალისტების შეხვედრა გაფართოებული ფორმატით გაიმართება.

როგორც პრეზიდენტის პრეს-სამსახურში აცხადებენ, დღევანდელ შეხვედრას დაესწრებიან როგორც ქართველი ჟურნალისტები, ასევე საქართველოში აკრედიტებული უცხოელი ჟურნალისტები, აგრეთვე, სახელმწიფო სტრუქტურების მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურების ხელმძღვანელები. აღნიშნული შეხვედრის გამო, პრეზიდენტის ტრადიციული რადიოინტერვიუ მხოლოდ 5-10 წუთი გაგრძელდება. შეხვედრა სახელმწიფო კანცელარიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ნოემბრის ბოლოს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ყველა სახისა და სახეობის შეიარაღებულ ძალებში სამეთაურო-საშტაბო სწავლებები გაიმართება. ამის შესახებ აფხაზეთის თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ განაცხადა. "თავდაპირველად იგეგმებოდა, რომ სწავლებებში ჩართული იქნებოდნენ სამხედრო-საჰაერო, საზღვაო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები, მაგრამ თბილისში სიტუაციის გართულების გამო, გადაწყდა მათი შეცვლა სამეთაურო-საშტაბო სწავლებებით, რათა ზედმეტი ეჭვები არ გაჩენილიყო," - თქვა ვიაჩესლავ ეშბამ. მან აღნიშნა, რომ აფხაზეთში სიტუაცია სტაბილურია და შეიარაღებული ძალები ჩვეულ რეჟიმში მსახურობენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" ინიციატივით საქართველოს სხვადასხვა რაიონში საპროტესტო აქციები კვლავ გრძელდება. უკვე მეოთხეა დღეა, რაც პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის და ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, ზუგდიდში, პარტიის მომხრე 20 წევრს, მარტვილსა და ქუთაისში – 4-4 წევრს, წალენჯიხაში კი - 2 წევრს შიმშილობა აქვს გამოცხადებული. როგორც "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" პრეს-ცენტრში განაცხადეს, საპროტესტო აქცია სულ უფრო მასშტაბური გახდება. მათი ინფორმაციით, დღეიდან შიმშილობის აქციები ფოთში, ხობსა და ოზურგეთში დაიწყება. **ინტერ-პრესი**

მონიტორინგი

საგზაო ფონდის ხარჯების ზრდა არჩევნებს დაემთხვა

საგზაო ფონდის შემოსავლების წლიური გეგმა, 10 თვის მდგომარეობით, შესრულებულია 74 პროცენტით. დარჩენილ ორ თვეში გეგმით მობილიზებულ უნდა იქნას 13,3 მილიონი ლარი, ანუ ათი თვის განმავლობაში ამოღებული თანხების 35,2 პროცენტი.

საგზაო ფონდის შემოსავლების სტრუქტურაში გაჩნდა საინტერესო გრაფა. კერძოდ, "გაურკვეველი შემოსავალი", რომელმაც 1 მილიონ 90 ათასი ლარი შეადგინა.

საგზაო ფონდის შემოსავლების მობილიზების საშუალოთვიური მაჩვენებელი 3,5 მილიონი ლარია. წლის ბოლომდე გაუარესდება ამოღების მაჩვენებელი და გარღვევა დაახლოებით 7,5 მილიონ ლარს მიაღწევს.

საგზაო ფონდის ხარჯების წლიური გეგმა, 10 თვის მდგომარეობით, 68 პროცენტით არის შესრულებული, გარღვევა 16,5 მილიონი ლარია.

9 თვის მაჩვენებლებთან შედარებით გაუარესდა მდგომარეობა გზების მოვლა-შენახვის, უცხოური კრედიტებით შესასრულებელ სამუშაოებში თანამონაწილეობის და ათვისებულ კრედიტებზე ძირითადი ვალისა და სარგებლის გადახდის მუხლებში. ამავე დროს, მკვეთრად გაიზარდა აპარატის შენახვის ხარჯები. აგრეთვე, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ არსებული სარეზერვო სახსრების ათვისება. ამ მუხლით, 9 თვის განმავლობაში დაიხარჯა 1,3 მილიონი ლარი, ხოლო მხოლოდ მე-10 თვეს დაფინანსდა 1,4 მილიონი ლარი.

საინტერესოა, რას მოხმარდა ეს სახსრები, რადგან ასეთი მკვეთრი ზრდა საეჭვოდ დაემთხვა წინასაარჩევნო პერიოდს.

სპს "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

საგზაო ფონდის 10 თვის შემოსავლების და ხარჯების ბალანსი

№	მაჩვენებლები	წლიური გეგმა	შესრულება	%
	შემოსავლები			
1	[illegible]	1,700.0	1,705.5	100.32%
2	[illegible]	49,500.0	35,018.6	70.74%
3	[illegible]	-	16.5	
4	[illegible]	200.0	200.0	100.00%
	გაურკვეველი შემოსავალი		1,090.0	
	სულ შემოსავლები	51,400.0	38,030.6	73.99%
	ხარჯები			
1	[illegible]	23,496.7	17,888.9	76.13%
2	[illegible]	10,875.0	6,357.1	58.46%
3	[illegible]	6,000.0	607.8	10.13%
4	[illegible]	4,500.0	4,497.6	99.95%
5	[illegible]	3,328.3	2,680.5	80.54%
6	[illegible]	3,000.0	2,696.4	89.88%
7	[illegible]	200.0	127.5	63.76%
	სულ ხარჯები	51,400.0	34,855.9	67.81%

მოკლედ

ვოლოშინს „რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემების" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ ნიშნავენ

„რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემების" დირექტორთა საბჭოს 5 დეკემბრისთვის დანიშნულ საბჭოს სხდომაზე, შესაძლოა, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ექსმეთაურის, ალექსანდრ ვოლოშინის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელად დანიშვნის საკითხი განიხილოს.

„ამ საკითხის განხილვა სავსებით შესაძლებელია", – განაცხადა სს "რეეს"-ის ხელმძღვანელმა ანატოლი ჩუბაისმა და დაამატა, რომ ვოლოშინისაგან დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობას, ჯერჯერობით, თანხმობა არ მიუღია.

ალექსანდრ ვოლოშინის ამ პოსტზე დანიშვნას „რუსეთის ეესის" დირექტორთა საბჭოს წევრთა უმრავლესობა მხარს უჭერს.

მედია-ნიუსი.

კომპანია "თელასის" მომხმარებელთა საყურადღებოდ

"თელასი" ახორციელებს თანამშრომელთა უკანონო ქმედებებისა და ელექტროენერგიის დატაცების ფაქტების აღკვეთის ღონისძიებებს. ამის მიზანია, გამოვავლინოთ არაკეთილსინდისიერი თანამშრომლები, რომლებიც თავიანთი ქმედებებით ლახავენ როგორც მომხმარებელთა უფლებებს, ასევე კომპანიის საქმიან რეპუტაციასა და იმიჯს.

"თელასის" თანამშრომელთა მხრიდან ნებისმიერი დარღვევის ან უკანონო ქმედების შემთხვევაში შეგიძლიათ დარეკოთ კომპანიაში მოქმედი ცხელი ხაზის ტელეფონზე 77 99 99 და შეგვატყობინოთ ამ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

სათანადო რეაგირებისთვის კომპანიას დასჭირდება თქვენს ხელთ არსებული დეტალური ინფორმაცია. მოქალაქის ანონიმურობა გარანტირებული იქნება.

ცხელ ხაზზე (77 99 99) დარეკვისას გიპასუხებთ ავტომოპასუხე. თქვენს განკარგულებაში იქნება წუთნახევარი. სასურველია, ზუსტად მიუთითოთ:

დარღვევის ფაქტის აღწერა;

ადგილმდებარეობა (შეძლებისდაგვარად ზუსტი მისამართი);

"თელასის" იმ თანამშრომელთა ვინაობა, რომელიც, თქვენი აზრით, უკანონო ქმედებას ჩადის.

თუ სურვილი გექნებათ, შეგიძლიათ დაგვიტოვოთ თქვენი ტელეფონის ნომერი და სხვა კოორდინატები, რათა შევძლოთ თქვენთან დაკავშირება.

თქვენი თანამშრომლობა დაგვეხმარება, მნიშვნელოვნად გავზარდოთ ქ. თბილისის მცხოვრებთა ელექტრომომარაგების საიმედოობა და ხარისხი.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

ვინ მიიყვანა ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისამდე?!

პირველი გვერდიდან

ჯერ კიდევ 2 ნოემბრამდე, ანუ არჩევნებამდე და საპროტესტო აქციებამდე საქართველოში არსებული ეკონომიკური სიტუაცია უკვე ცხადყოფდა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი არათუ გარდაუვალი, არამედ უკვე გამწვავებული გახლდათ:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების წლის გეგმა, 10 თვის მონაცემებით, 69 პროცენტით არის შესრულებული, გარღვევა 349,08 მილიონი ლარია.

10 თვის ფაქტიური შემოსავლებით, სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის გეგმა შესრულებულია 96 პროცენტით, გარღვევა 31,12 მილიონი ლარია.

10 თვის ოპერატიული ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების წლის გეგმა შესრულებულია 74 პროცენტით, გარღვევა 243,1 მილიონი ლარია; სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საშუალო თვიური ამოღება 68,12 მილიონს ლარს შეადგენს. ამ ინფორმაციის ზედაპირული ანალიზიც კი საკმარისია, რომ წლის ბოლომდე სახელმწიფო ბიუჯეტი, მხოლოდ საგადასახადო შემოსავლების ნაწილში, 100 მილიონ ლარზე მეტით გაირღვევა.

უმძიმესი მდგომარეობაა ცენტრალურ ბიუჯეტში. წლის გეგმა შესრულებულია 67 პროცენტით, გარღვევა 276,55 მილიონი ლარია.

ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების წლის გეგმა შესრულებულია 65 პროცენტით, გარღვევა 27,08 მილიონი ლარია.

კატასტროფული მდგომარეობაა გრანტების მხრივაც. წლის გეგმა შესრულებულია 24 პროცენტით, გარღვევა 72,87 მილიონი ლარია. წლის ბოლომდე ამ ნაწილში ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

სოციალური ფონდის შემოსავლების წლის გეგმა შესრულებულია 77 პროცენტით, გარღვევა 57,37 მილიონი ლარია.

საგზაო ფონდის შემოსავლების წლის გეგმა შესრულებულია 71 პროცენტით, გარღვევა 14,3 მილიონი ლარია.

დეფიციტის დაფინანსების წლის გეგმა შესრულებულია 70 პროცენტით, გარღვევა 72,24 მილიონი ლარია.

რაც შეეხება სოციალურ ხარჯებს. 9 ნოემბრის მონაცემებით, ივლისის პენსიების დაფინანსებაში გარღვევა 9,8 მილიონი ლარია, აგვისტოში - 9,9 მილიონი ლარია, სექტემბერში - 12,5 მილიონი ლარი, ხოლო ოქტომბრის და ნოემბრის დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა.

უმწეოთა სოციალური დახმარება, ძალოვანი სტრუქტურების და რეგრესული პენსიები დაფინანსებულია სექტემბრის ჩათვლით. 9 ნოემბრისათვის პენსიების დაფინანსების 11 თვის გეგმაში გარღვევა 69 მილიონი ლარია. 9 ნოემბრისათვის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები დაფინანსებულია 82,4 პროცენტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამები - 51,9 პროცენტით, ხოლო უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები - 55,3 პროცენტით. სულ სოციალური ფონდის ხარჯების 11 თვის გეგმაში გარღვევა 90 მილიონი ლარია.

აი, ასეთია ფაქტები და ციფრები, ასეთია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ "მართულ" ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური რეალობა, რომელიც ჯერ კიდევ არჩევნებამდე ცხადყოფდა, რომ ქვეყანას ელოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რისხვა და ზურგშექცევა პარიზის კლუბში, რაც საქართველოს დეფოლტის საშიშროების წინაშე აყენებდა.

ამას დაუმატეთ გაჩერებული წარმოება, დაუმატეთ მზარდი უმუშევრობა და მზარდი კორუფციის მასშტაბები, დაუმატეთ არაკონკურენტული გარემო და მიიღებთ სურათს, რომელიც აშკარად არ განგაწყობთ ოპტიმისტურად.

ფაქტია, რომ ქვეყანა ამ რელობამდე მმართველობის იმ სტილმა მიიყვანა, რომლის წინააღმდეგ გამოსვლასაც, რომლის "ბოიკოტირებასაც", რომლისთვის წინ აღდგომასაც ოპოზიცია დღეიდან გეგმავს.

"24 საათთან" საუბარში ეკონომიკურ ექსპერტთა აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს, რომ ეკონომიკური კრახის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი გახლავთ სიტუაციის მაქსიმალურად მოკლე ვადებში დარეგულირება და ეს ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, რომელმაც უნდა გააცნობიეროს, რომ არათუ მმართველობის აბსოლუტურად არეფექტური და კორუმპირებული სტილით, არამედ საზოგადოების პროტესტის უგულებელყოფითაც მას ქვეყანა სერიოზული პოლიტ-ეკონომიკური კრიზისისაკენ მიჰყავს.

მეტიც - ხელისუფლების განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ის მსხვილი ბიზნესმენებიც აღიარებენ, რომელთა ფინანსური კეთილდღეობა, ერთი შეხედვით, სწორედ შევარდნაძისეულ "სტაბილიზაციაზე" ეკიდა. მათ ოპოზიციის მისამართით ნაბიჯების გადადგმისაკენ სწორედ ხელისუფლებას მოუწოდეს.

არც ერთი მათგანის - არც ზოგადად საზოგადოების, არც ოპოზიციის, არც ეკონომიკური ექსპერტების, არც ბიზნესმენების ხმა საქართველოს ხელისუფლებამ არ შეისმინა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვევრს ჩასძახის და მხოლოდ იქიდან ამოძახილ საკუთარი ხმის ექოს უსმენს. ამას კი ქვეყანა უკვე არა მხოლოდ ეკონომიკური კრახისკენ მიჰყავს.

გერმანიაში ეკონომიკური რეფორმები დაიბლოკა

ადამ მჭედლიძე

რეფორმა შრიოდერის ოპოზიციურმა მემარჯვენე პარტიებმა ჩააგდეს.

გერმანიის პარლამენტის ზედა პალატამ ვეტო დაადო ეკონომიკური რეფორმების პაკეტს, რომელზეც გერჰარდ შრიოდერის მთავრობა სამომავლოდ დიდ იმედებს ამყარებდა. შრიოდერი ამ რეფორმებს უკავშირებდა არა მხოლოდ გერმანიის ეკონომიკურ აღმავლობას, არამედ საკუთარ და თავისი პარტიის პერსპექტივებსაც.

რეფორმა, რომელსაც პირობითად "დღის წესრიგი 2010 წლისათვის" ეწოდება, გადასახდების 15,5 მილიარდი ევროთი შემცირებას ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, ალბათ, პარადოქსულია ის ფაქტი, რომ რეფორმა ჩააგდო შრიოდერის ოპოზიციურმა მემარჯვენე პარტიებმა – ქრისტიან-სოციალურმა კავშირმა და ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ. ამ უკანასკნელის არგუმენტი ის იყო, რომ გადასახადების ამგვარი შემცირება მკვეთრად გაზრდის ბიუჯეტის დეფიციტს.

თუმცა, შრიოდერი მემარჯვენეთა პოზიციას პოლიტიკური მოსაზრებებით განპირობებულს უწოდებს. "ეკონომიკური ზრდის შენელებისა და უმუშევრობის მატების გამო მთელი პასუხისმგებლობა კონსერვატორებს დაეკისრებათ, - აცხადებს ის, - მათ მოუწევთ, აუხსნან ხალხს, თუ რატომ აყენებენ ქვეყნის ინტერესებზე წინ პოლიტიკურ თამაშებს."

შრიოდერის ოპონენტები კანცლერის ამ პათოსს, ცხადია, არ იზიარებენ. მათი თქმით, გადასახადების შემცირება აუცილებელია, მაგრამ ეს ვალის გაზრდის ხარჯზე არ უნდა მოხდეს.

კონსერვატორთა პოზიცია ნამდვილად გამართლებულია იმის გათვალისწინებით, რომ გერმანიის ბიუჯეტის დეფიციტი უკვე ისედაც აღემატება ევროკავშირის მიერ დადგენილ 3-პროცენტიან ლიმიტს. სხვა ყველაფერთან ერთად, ესეც იქცა იმის მიზეზად, რომ პარლამენტის ზედა პალატა (ე.წ. ბუნდესრატი), რომელსაც ქრისტიან-სოციალური კავშირი და ქრისტიან-დემოკრატიული პარტია აკონტროლებენ, რეფორმას ერთობ უარყოფითად შეხვდა. ახლა შრიოდერს შობამდე აქვს ვადა, რათა კონსერვატორებს რეფორმის განახლებული ვარიანტი შესთავაზოს.

ევროპის უდიდესი ეკონომიკა მართლაც რთულ პერიოდში იმყოფება. სექტემბერში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა გასულ წელთან შედარებით 1,2 პროცენტით დაეცა. უმუშევრობა კვლავაც მაღალია, სამეწარმეო აქტივობა - თითქმის ჩამკვდარი; მაგრამ შრიოდერმა ყოველივე ამის მიზეზი, უპირველესად, ალბათ, საკუთარ პოლიტიკურ კურსში უნდა ეძებოს. უკიდურესად მემარცხენე პოლიტიკამ გერმანიის ეკონომიკა აშკარად ააცდინა სწორ გზას.

ასეთ ვითარებაში, ცოტა არ იყოს, სასაცილოდაც კი გაიჟღერა მთავრობის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ მომავალ წელს გერმანიის ეკონომიკის ზრდა 2 პროცენტზე ავა.

მოკლედ

Exon Mobile-ის დიდი შტრაფის გადახდა მოუწევს

შეერთებულ შტატებში დაიწყო გამოძიება ნავთობბიზნესის გიგანტის-Exon Mobile-ის საქმესთან დაკავშირებით. საქმე იმაშია რომ, ალაბამას შტატის პროკურორი კომპანიას ფიფნსურ მაქინაციებში სდებს ბრალს. შტატის პროკურორი კომპენსაციის მიზნით 9,3 მილიონი დოლარის გადახდას ითხოვს, ხოლო კომპანია, თავის მხრივ, მისთვის წაყენებულ ყველანაირ ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ ის ზუსტად ლიცენზიის მიხედვით მოქმედებდა და ბრალდებას აბსურდულს უწოდებს.

ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით, მსოფლიოში ნავთობის მოპოვების მხრივ უმსხვილესი კომპანია Exon Mobile-ი მეორე მსხვილი კომპანია "ЮКОС"- ის აქციების მსხვილი პაკეტის შესყიდვას აპირებდა, მაგრამ ხოდორკოვსკის დაკავებამ და კომპანიის შიდა პრობლემებმა ეს გარიგება გაურკვეველი ვადით გადადო, მით უმეტეს, რომ ისინი, "ЮКОС"-ის ახალი ხელმძღვანელობის განცხადებით, დიდ დასავლურ კომპანიებთან გაერთიანებას არ ჩქარობენ.

Airbus-ის შემოსავლები და British Airways-ის მოგება მცირდება

ევროპულმა აეროკოსმოსურმა კომპანია EADS-მა შემოსავლების მკვეთრი შემცირების შესახებ განაცხადა და ამის ერთ-ერთ მიზეზად Airbus-ის მიერ თვითმფრინავების წარმოების შემცირება დაასახელა.

EADS-ი, ბრიტანელ პარტნიორ კომპანია BAE Systems-თან ერთად, Airbus-ის მფლობელია, რომლის მოგება 60%-ით შემცირდა და 80 მილიონი ევრო შეადგინა. ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით კორპორაციამ აწარმოა და გაყიდა 50 თვითმფრინავი, როდესაც გასულ წელის იმავე პერიოდში მან 59 თვითმფრინავის რეალიზება მოახერხა. EADS-ის საერთო ზარალმა წლის მესამე მეოთხედში 58 მილიონ ევროს მიაღწია..

კორპორაცია აპირებს სერიოზული ნაბიჯების გადადგმას და წლის ბოლომდე 300 თვითმფრინავის წარმოებას გეგმავს. ხოლო თუ ამ თვითმფრინავების რეალიზებაც მოხერხდა მაშინ კომპანია არა მარტო დიდ მოგებას ნახავს, არამედ ერთ-ერთ სერიოზულ კონცერს Boeing-საც გაუწევს კონკურენციას.

British Airways-ის დაუბეგრავი მოგება კი, სექტემბერში დასრულებული მეორე საფინანსო კვარტალის შედეგებით, ორჯერ შემცირდა. შედეგების შეფასებისას კომპანიის მოგება გასულ წელთან შედარებით 57%-ით ნაკლებია და 105 მილიონ ფუნტს შეადგენს.

მოგების შემცირების მიზეზები მრავლადაა, კერძოდ - ივლისის გაფიცვა "ჰიტროს" აეროპორტში, კლიენტების მოზიდვის მიზნით შემცირებული ფასები და ისეთი საყოველთაო ფაქტორები, როგორიცაა საერთო მსოფლიო ეკონომიკის შენელება, ერაყის ომი და SARS-ის ვირუსის გარცელება.

კომპანიამ ხარჯების შემცირების მიზნით სამსახურიდან 12 ათასი ადამიანი გაათავისუფლა, უარი განაცხადა წამგებიან მარშრუტებზე, შეცვალა ინტერნეტით ბილეთების შეკვეთის პრინციპი და შეკვეცა თვითმფრინავების რაოდენობა.

ანი გახარია

ახალი ძალებით პროკრედიტ ბანკის ყველა ფილიალსა და განყოფილებაში 2003 წლის 15 დეკემბრამდე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank



პროკრედიტ ბანკს
მოაქვს შუქი!

ყოველი 21-ე, რომელიც 15 დეკემბრამდე გახსნის დეპოზიტს პროკრედიტ ბანკში (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკი) მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, ხოლო ყოველი მე-200 საჩუქრად მიიღებს გენერატორს.
დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს

ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 20-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
central@procreditbank.ge

ვაკის განყოფილება
0179 თბილისი
მცხეთის ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
vake@procreditbank.ge

საბურთალოს განყოფილება
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
saburtalo@procreditbank.ge

ვაგზლის განყოფილება
0112 თბილისი
სადგურის მოედანი 3/32
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
stationsquare@procreditbank.ge

ქუთაისის განყოფილება
4600 ქუთაისი
წმინდა ნინოს ქ. 4
ტელ: (995 231) 4-87-05
kutaisioutlet@procreditbank.ge

ზუგდიდის განყოფილება
2100 ზუგდიდი
თაბუკაშვილის ქ. 1
ტელ: (995 215) 5-11-23
ფაქსი: (995 32) 93-43-74
zugdidi@procreditbank.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 270) 2-16-09, 7-30-64
ფაქსი: (995 32) 33-46-57, 33-46-58
gori@procreditbank.ge

მარნეულის განყოფილება
3000 მარნეული
რუსთაველის ქ. 3
ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50
ფაქსი: (995 32) 94-51-36
mameuli@procreditbank.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
ომარ ხიზანიშვილის ქ. 1
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
gidani@procreditbank.ge

ვარკეთილის ფილიალი
0182 თბილისი
ჯავახეთის ქ. მე-2 ჩიხი
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
varketili@procreditbank.ge

ლილოს განყოფილება
0115 თბილისი
კახეთის გზატკეცილი 112
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
lilo@procreditbank.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-64
kutaisi@procreditbank.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
დ. აღმაშენებლის ქ. 23
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4
poti@procreditbank.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
ლუკა ასათიანის ქ. 18
ტელ: (995 222) 7-24-20
ფაქსი: (995 222) 7-19-54
batumi@procreditbank.ge

ბათუმის განყოფილება
6000 ბათუმი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 222) 7-74-19
ფაქსი: (995 222) 7-74-19
batumioutlet@procreditbank.ge

ქობულეთის განყოფილება
6201 ქობულეთი
დ. აღმაშენებლის ქ. 2
ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439
kobuleti@procreditbank.ge

ორი სიტყვით

დიდი ბრიტანეთი. 18 ნოემბერს დიდ ბრიტანეთში აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ოფიციალური ვიზიტი იწყება. დიდი ბრიტანეთის უშიშროების და სამართალდამცავი სამსახურები სრულ მობილიზაციაზე არიან გადაყვანილნი. ქვეყანაში უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია მიღებული. ლონდონი ანტიგლობალისტების და ანტისაომარი მოძრაობის გამოსვლების მოლოდინშია. ასევე არ გამორიცხავენ ტერორისტული აქტების განხორციელების მცდელობებსაც. როგორც დიდი ბრიტანეთის უშიშროების სამსახური "მი-5" აცხადებს, აქვთ წინასწარი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ "ალ-ქაიდა" ტერაქტების სერიებს გეგმავს.

■ ■ ■

სერბეთი. გუშინ სერბეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. სერბეთის მოსახლეობა ამ წლის განმავლობაში უკვე მესამედ ცდილობს პრეზიდენტის არჩევას. წინა ორი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, რადგანაც საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა 50 პროცენტზე ნაკლები გამოცხადდა. ამჯერად პრეზიდენტის პოსტისათვის ექვსი კანდიდატი იბრძვის. ფავორიტებად კი დრაგოლუბ მიჩუნოვიჩი და ტომისლავ ნიკოლიჩი ითვლებიან. მიჩუნოვიჩი სერბეთის მმართველი კოალიციის – დემოკრატიული ოპოზიციის წარმომადგენელია, ხოლო ნიკოლიჩი სერბეთის რადიკალურ პარტიას უდგას სათავეში.

■ ■ ■

კოლუმბია. სულ ცოტა, ათი ადამიანი დაიჭრა დედაქალაქ ბოგოტას ორ კაფე-ბარში მომხდარი აფეთქების შედეგად. ზოგიერთი წყაროს ცნობით კი, ტერაქტის შედეგად 42 ადამიანია დაჭრილი. პოლიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბარებში ბომბი ტერორსიტებმა ააფეთქეს. უკვე დაპატიმრებულია ეჭვმიტანილი, რომელსაც ტერაქტის განხორციელებაში ედება ბრალი. ის, სავარაუდოდ, მთებში გასული მემარცხენე პარტიზანების წევრია, რომლებიც კოლუმბიის ხელისუფლების დამხობისა და ქვეყანაში კომუნიზმის დამყარებისათვის იბრძვიან.

■ ■ ■

აშშ. ლუიზიანას შტატის ისტორიაში პირველად, გუბერნატორის არჩევნებში ქალმა – კეტლინ ბლანკომ გაიმარჯვა. ის დემოკრატების წარმომადგენელია და საარჩევნო ბრძოლაში რესპუბლიკელი ბობ ჯინდალი დაამარცხა, რომელიც წარმოშობით ინდიელია. წინასწარი მონაცემებით, ბლანკომ ხმების 52 პროცენტი მიიღო. ლუიზიანა ტრადიციულ კონსერვატიულ შტატად ითვლება, სადაც გუბერნატორები ყოველთვის თეთრკანიანი მამაკაცები იყვნენ. ამჯერად კი ეს ტრადიცია უკვე დაირღვა.

საქართველო თავის სისუსტეს ველარ უმკლავდება

პირველი გვერდიდან

კონტრაქტორები რამდენჯერმე მათივე თანამშრომლებმა მოიტაცეს და კონსულტანტებს ენერგეტიკის მინისტრის ოფისში ერთი-ორჯერ დანებით ჩხუბში ჩართვამაც მოუწიათ.

ამერიკული კომპანიის პრობლემები ზუსტად ასახავს მთელ ქვეყანაში არსებულ უმძიმეს ვითარებას. დამოუკიდებლობის 12 წლის შემდეგ, საქართველო "არშემდგარი სახელმწიფოს" არქეტიპად გადაიქცა, თავისი სიღატაკით, სტაგნაციით, კორუფციითა და სეპარატისტული მისწრაფებებით.

"ეს არის ერთი დიდი პარალიზებული ქსელი," – ამბობს "პი-ეი კონსალტინგის" წარმომადგენელი დინ უაიტი. ელექტროსისტემის მართვა სწორედ ამ ფირმას აქვს დავალებული.

წლობით დაგროვილმა იმედგაცრუებამ რამდენიმე დღის წინ ჩატარებულ არჩევნებში ამოხეთქა. პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პარტიას მოსახლეობის 80-მა პროცენტმა ხმა არ მისცა, თანაც, ოფიციალური დათვლით. ამერიკელი და ევროპელი დამკვირვებლების აზრით, არჩევნები მასობრივად გაყალბდა. ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩებში სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ ის ხმებიც, რაც მთავრობამ მიიღო, საკუთარი ხალხისგან მოპარული იყო.

ბოლო მიტინგზე, შევარდნაძის სამუშაო რეზიდენციასთან 20 ათასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა. კანცელარიის ირგვლივ მათ ცოცხალი ჯაჭვი შექმნეს.

ეს არჩევნები შეიძლება აშშ-საქართველოს ურთიერთობაში შემობრუნების წერტილად იქცეს. ბოლო ათი წლის მანძილზე ვაშინგტონს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა თბილისთან, რაშიც დიდი იყო პრეზიდენტ შევარდნაძის დამსახურება.

აშშ-ს ხელისუფლება საქართველოს ერთ მილიარდ დოლარზე მეტით დაეხმარა. ერთ სულზე გაანგარიშებით, ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მაჩვენებელია. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტომ გაწვრთნა შევარდნაძის პირადი დაცვა. პრეზიდენტმა ბუშმა "მწვანე ბერეტები" მოავლინა საქართველოში, რომლებმაც ქართული არმია ტერორისტებთან საბრძოლველად მოამზადეს. "ჩვენ ვაშინგტონის ნებიერები ვიყავით," – აცხადებს უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე.

ამიერიდან, როგორც ჩანს, შევარდნაძე ამერიკიდან ასეთ მსუყე ლუკმას ვერ მიიღებს.

არჩევნების წინ ბუში საჯაროდ მოუწოდებდა შევარდნაძეს პატიოსანი კენჭისყრის ჩატარებისაკენ. ამ მიზნით მან გამოაგზავნა ყველაზე გავლენიანი დესპანი, რომელიც კი შეეძლო ეპოვა – ჯეიმს ბეიკერი, ყოფილი სახელმწიფო მდივანი და შევარდნაძის ძველი მეგობარი. ბეიკერის ვიზიტის მიზანს საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

არჩევნების მნიშვნელობის ხაზგასასმელად, თბილისს ვაშინგტონიდან სხვა ცნობილი ადამიანებიც ეწვივნენ, მათ შორის, სენატორი მაკკეინი, ჯონ მალხაზ შალიკაშვილი და სტროუბ ტელბოტი.

ბოლო წამს ბუშმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა - არჩევნებამდე ორი დღით ადრე პირადად მისწერა წერილი შევარდნაძეს და მოუწოდა, რომ "თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნები ჩაეტარებინა".

არჩევნების გაყალბებაზე ამერიკელთა რეაქციამ არ დააყოვნა. ამერიკის ელჩმა საქართველოში არჩევნებს "გაუგებრობა" უწოდა. "ჩვენ იმედგაცრუებულნი ვართ საქართველოში რეფორმების ნელი ტემპით. ამ ქვეყანაში არსებული კორუფციის მასშტაბები შეუძლებელს ხდის ყველაზე უბრალო პრობლემების გადაჭრასაც კი. აუცილებელია უფრო ძლიერი მთავრობა და უფრო სწრაფი პროგრესი," – დასძინა მან.

საქართველოში იმედი გაუცრუვდა ამერიკულ კომპანია "ეი-ი-ეს"-საც, რომელმაც ამ ქვეყანაში თავისი კუთვნილი ქონება რუსულ "რაო ეეს"-ს მიჰყიდა. მოგვიანებით, აშშ-ს მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 27 ყოფილ სოციალისტურ ქვეყანას შორის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უარესი მაჩვენებლები აქვს.

ჯერ კიდევ არჩევნებამდე აშშ-ს ადმინისტრაციამ ქართველ კოლეგებს აშკარად აგრძნობინა თავისი უკმაყოფილება, როდესაც ჰესების დახმარების 14-მილიონიანი პროგრამა შეწყვიტა და ფინანსთა სამინისტროსათვის გამოყოფილი დახმარება შეამცირა. ვაშინგტონი აცხადებს, რომ თუ საქართველო ისევ ვერ შეძლებს შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, თებერვალში დახმარება კიდევ შემცირდება.

"მე მგონი, ამერიკელების მოთმინება ამოიწურა," – ამბობს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფონდის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი.

ჩვენთან ინტერვიუში სტროუბ ტელბოტმა განაცხადა, რომ მოვიდა დრო, ამერიკამ ქართველების მიმართ უფრო მკაცრი პოზიცია დაიკავოს. "თუ ისინი კორუფციის პრობლემებს ვერ მოაგვარებენ, მაშინ ამ ქვეყნის იმედი არ უნდა გვქონდეს. შევარდნაძეს ჰქონდა უზარმაზარი საერთაშორისო ავტორიტეტი, რომლის გამოყენებაც შეეძლო, მაგრამ, როგორც ფაქტები გვიჩვენებს, მან ეს არ გააკეთა".

ჯაფარიძე ამბობს, რომ ვაშინგტონის დამოკიდებულების ცვლილება აშკარად ჩანს იმ ი-მეილებით, რომელსაც იგი ამერიკიდან ყოველდღე იღებს. "ეს იცის შევარდნაძემაც," – დასძინა მან.

"მან ყველაზე კარგად იცის, რომ ვაშინგტონს მოკლე მეხსიერება აქვს, – ამბობს ჯაფარიძე, – მართალია, მან წვლილი შეიტანა ბერლინის კედლის დანგრევაში და ამისათვის მადლიერებაც დაიმსახურა, მაგრამ ახლა საქმე სხვა რამეებს შეეხება".

შევარდნაძის ხელმძღვანელობით, საქართველო რეფორმების მოდელად უნდა ქცეულიყო. სინამდვილეში კი ის საცოდაობად გადაიქცა. ეკონომიკის ძირითად დარგებს ცალკეული ოლიგარქები აკონტროლებენ, მათი ნაწილი პრეზიდენტის ახლობელია. ქართველებმა ქრთამები უნდა გადაიხადონ, თუ უნდათ მძღოლის მოწმობის ან პასპორტის აღება, უნივერსიტეტში ჩაბარება, ბიზნესის დაწყება ან შუქის გადასახადის არგადახდა.

"არ დარჩა ქართული საზოგადოების არც ერთი სეგმენტი, რომელსაც კორუფცია არ შეეხო," – ამბობს ქეთევან როსიტაშვილი, "ემერიკენ იუნივერსიტის" ადგილობრივი ოფისის წარმომადგენელი.

პენსიები ქვეყანაში 7 დოლარია და ამასაც თვეების დაგვიანებით იღებენ. პოლიციელებს იმდენად ცუდად უხდიან, რომ გასულ ღამეებში კანცელარიის დამცველ პოლიციელბს მომიტინგეები აწვდიდნენ საჭმელს. ელექტროენერგია იმდენად ძვირი სიამოვნება გახდა, რომ ბევრ კორპუსში ლიფტით მგზავრობისათვის ფული უნდა გადაიხადო.

ჩრდილოვანი ეკონომიკა მთლიანი შიდა პროდუქტის 60 პროცენტს შეადგენს. ეკონომიკის განვითარების ყველაზე ოპტიმისტური სცენარითაც კი, საქართველოს 12 წელი დასჭირდება, რათა დღევანდელი ბოსნიის დონეს მიაღწიოს.

და ეს ყველაფერი არ არის. ქვეყანა ნაწილებადაა დაშლილი. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი პრორუსულად განწყობილი სეპარატისტების კონტროლქვეშ რჩება.

უკვე 10 წელია, 3500 დევნილი აფხაზეთიდან თბილისის ცენტრში, სასტუმრო ივერიაში ცხოვრობს. ისინი დიდი ხანია, სახლში დაბრუნებას ელიან. "ჩვენ ათი წელია, სულ რაღაცას გვპირდებიან, – ამბობს 69 წლის ლამარა ავალიანი, – მაგრამ არაფერს აკეთებენ. ახლა უკვე იმედიც აღარ გვაქვს".

ათი ქვეყანა
ერთი საბანკო ჯგუფი

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

პროკრედიტ ბანკი ეკუთვნის იმ ბანკების ჯგუფს, რომლებიც წარმატებით ეწევიან თავიანთ საქმიანობას სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და რომლებიც ემსახურებიან 250,000 კლიენტს. ჯგუფის საერთო აქტივების ღირებულება შეადგენს 800 მილიონ აშშ დოლარს. ეს ბანკები ანახორციელებენ საკრედიტო საქმიანობას 113 მილიონი მოსახლეობისაგან შემდგარ ბაზრებზე.

ყველა პროკრედიტ ბანკი იმყოფება ერთი ჯგუფის შემადგენლობაში და მასში შემავალ აქციონერებს წარმოადგენენ ისეთი ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, კომერცბანკი, გერმანიის სახელმწიფო განვითარების კომპანია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და საერთაშორისო მიკრო ინვესტიციების კომპანია.

150 ფილიალზე მეტი
250 000 კლიენტი
800 მილიონი დოლარის აქტივები

www.procreditbank.ge

ერაყში ორი „შავი ქორი" ჩამოვარდა

ერაყში საომარი მოქმედების დაწყების დღიდან ამერიკელებმა ხუთი სამხედრო ვერტმფრენი დაკარგეს.

ერაყში განლაგებული აშშ-ს არმიის სარდლობამ ქალაქ მოსულში ორი ვერტმფრენის ჩამოვარდნის მიზეზების გამოძიება დაიწყო.

შაბათს, "შავი ქორის" ტიპის ორმა სამხედრო ვერტმფრენმა კატასტროფა განიცადა, რის შედეგადაც, სულ ცოტა, 17 ამერიკელი სამხედრო დაიღუპა და ხუთი მძიმედ დაშავდა. ერთი ამერიკელი ჯარისკაცი დაკარგულად ითვლება. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები თვითმხილველებზე დაყრდნობით იუწყებიან, რომ ერაყელმა პარტიზანმა რაკეტა ესროლა ერთ-ერთ ვერტმფრენს, რომელიც ამის შემდეგ მეორე ვერტმფრენს შეეჯახა. თუმცა, ამერიკელების სარდლობა ამ ფაქტის კომენტირებისაგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს. **"ინციდენტის მიზეზი ამჟამად დგინდება,"** - ნათქვამია სარდლობის ოფიციალურ განცხადებაში.

საინფორმაციო სააგენტო "ბიბისის" ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა განუცხადა, რომ დაინახა, თუ როგორ მოხდა ორი ვერტმფრენის შეჯახება, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ მათგანს რაკეტა მოხვდა. **"მე სახლში ვიჯექი და ტელევიზორს ვუყურებდი, როდესაც აფეთქების ხმა გავიგონე. ამის შემდეგ ფანჯარაში გავიხედე და დავინახე, თუ როგორ მოფრინავდა ერთი ვერტმფრენი მიწასთან ძალიან ახლოს. მეორე ვერტმფრენი უფრო მაღლა იყო. შემდეგ პირველმა ზევით დაიწყო აფრენა და მეორეს შეეჯახა,"** - განაცხადა ერაყელმა მოქალაქემ.

ერაყში საომარი მოქმედების დაწყების დღიდან ამერიკელებმა ხუთი სამხედრო ვერტმფრენი დაკარგეს, რის შედეგადაც, საერთო ჯამში, 39 ამერიკელი სამხედრო დაიღუპა. ხუთი დღის წინ კი, ერაყელებმა "ჩინუკის" ტიპის სამხედრო ვერტმფრენი ჩამოაგდეს, რასაც 16 ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

პირველი მაისის შემდეგ, როდესაც ჯორჯ ბუშმა ომის დასრულება გამოაცხადა, ერაყში დაღუპული ამერიკელების რიცხვმა უკვე 180-ს მიაღწია.

ტერაქტი სტამბოლში: 22 დაღუპული, 257 დაჭრილი

სპეცსამსახურები აცხადებენ, რომ აფეთქებას პროფესიონალი ტერორისტების ხელი ეტყობოდა.

თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სამართალდამცავებმა უკვე დააპატიმრეს სამი ეჭვმიტანილი პიროვნება, რომელთაც ბრალი ედებათ შაბათს სტამბოლში სინაგოგების აფეთქებაში, რის შედეგადაც 22 ადამიანი დაიღუპა და 257 დაიჭრა. როგორც გაირკვა, შაბათს სინაგოგებთან, ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ორი ავტომანქანა ერთდროულად აფეთქდა. ნევე-შალომის სინაგოგა სტამბოლში ყველაზე დიდი ებრაული სალოცავი იყო.

საქმის გამოძიებაში, თურქ პოლიციელებთან ერთად, ისრაელის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. თურქი პოლიციელები აცხადებენ, რომ ეს აფეთქებები კამიკაძე-ტერორისტების მიერ არის განხორციელებული.

გამომძიებლებს ხელთ აქვთ ნევე-შალომის სინაგოგაზე მიმაგრებული ვიდეო-კამერით გადაღებული ფირი, სადაც სინაგოგის გარშემო არსებული ვითარებაა აღბეჭდილი. ტრაგედიის შესახებ კომენტარი გააკეთა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ერდოგანმა. მისი თქმით, ტერაქტების მიზანს ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნა წარმოადგენს. მან სასწრაფოდ შეწყვიტა ვიზიტი ჩრდილოეთ კვიპროსზე და სამშობლოში დაბრუნდა.

ტერაქტის შემდეგ განცხადება გაავრცელა ისრაელის ხელისუფლებამაც. კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრმა სილვან შალომ საერთაშორისო თანამეგობრობას **"ბოროტების ძალებთან ბრძოლისაკენ"** მოუწოდა.

სპეცსამსახურები აცხადებენ, რომ ტერაქტი მაღალ დონეზე იყო შესრულებული და პროფესიონალი ტერორისტების ხელი ეტყობოდა, რაც წარმოშობს იმის ეჭვს, რომ ამ ტრაგედიის უკან "ალ-ქაიდა" დგას.

ფხენიანი ვაშინგტონს ახალ ულტიმატუმს უყენებს

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ფხენიანი მზად არის, შეწყვიტოს ბირთვულ პროგრამებზე მუშაობა, თუკი აშშ ჩრდილოეთ კორეის მიმართ "მტრულ პოლიტიკას" დაასრულებს. ამასთანავე, ჩრდილოეთ კორეა ამტკიცებს, მას უკვე გააჩნია ბირთვული იარაღი და, ატომური არსენალის გაძლიერების მიზნით, ბირთვულ პროგრამებზე მუშაობას კვლავ აგრძელებს. განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ ფხენიანს სურს, "გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები აშშ-ს მხრიდან საფრთხის ლიკვიდაციის მიზნით."

რამდენიმე თვის წინ, ჩრდილოეთ კორეა აშშ-სგან თავდაუსხმელობის პაქტზე ხელისმოწერას ითხოვდა, რაზეც ვაშინგტომა ცალსახა და საბოლოო უარი განაცხადა.

რას აპირებენ პროფკავშირები

საქართველოს პროფკავშირებს – ე.წ. ოფიციალურსაც და ალტერნატიულსაც, ჯერ არ გაურკვევია, რა მონაწილეობას მიიღებს ოპოზიციის მიერ პარასკევს გამოცხადებულ საყოველთაო დაუმორჩილებლობაში. სავარაუდოდ, ალტერნატიული პროფკავშირები, რომელსაც, ძირითადად, გაერთიანება "სოლიდარობა" წარმოადგენს, აქტიური იქნება. რაც შეეხება პროფესიული კავშირების გაერთიანებას, რომელმაც გასული კვირის მიწურულს მხარი ოპოზიციას დაუჭირა: ახალ ფაზაში შესულ პროტესტს მისი წარმომადგენლები წინააღმდეგობრივი განცხადებებით ხვდებიან.

მაკა ჭაიანი

"წარმოდგენა არა მაქვს, რას აპირებს ოპოზიცია, - აცხადებს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში, - **ჩვენთან არავის არანაირი საუბარი არ ჰქონია. იყო მიტინგზე საუბარი პიკეტირებაზე. პრინციპში, ეს მისაღები ფორმაა. ეს ხელს არ შეუშლის დაწესებულებაში ვისიმე შესვლას. თუ ხელის შეშლა იქნა, ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია. ერთადერთი ის შემიძლია გითხრათ, რომ თუ საწარმოო ორგანიზაციებს შეეხო საქმე, მათ, სადაც შრომის პროცესია, ალბათ, ჩვენც მოგვიწევს ჩარევა. ურთიერთობა გვექნება მათთან, ვინც ადგილებზე მოახდენს ამის ორგანიზებას. ყველაფერს თავისი წესი აქვს. პოლიტიკური მოთხოვნების დაყენება ჩვენს კომპეტენციას სცილდება. სხვა საქმეა სახელფასო, სხვა შრომითი მოთხოვნები. მხოლოდ მოგვიანებით მეცოდინება, რასთან გვაქვს საქმე. დღეს, ალბათ, ყველაფერი ნათლად გამოჩნდება."**

ორშაბათს დილიდანვე აპირებს გაერთიანების გეგმებში გარკვევას განათლების პროფკავშირების თავმჯდომარე მანანა კობახიძე. **"ახლა ძნელი სათქმელია, რა იქნება, მიუხედავად, იმისა, რომ განწყობა ნამდვილად ნათელია – ჩვენ ოპოზიციის მხარეზე ვართ,** - ამბობს იგი, - **შეკრებისა და დალაპარაკების დრო, ფაქტობრივად, არც კი გვქონია. ამ დილითვე გაერთიანებაში შევიკრიბებით და გადაწყვეტილებას მივიღებთ. ურთულესი დღე იქნება, ალბათ, ყველა დეტალი ცოტა ხანში დაზუსტდება. ჯერ ვერ გეტყვით, რომ რამე გამოკვეთილია. ფაქტია, ნორმალურ ქვეყანაში, ათჯერ და ასჯერ უკეთეს პირობებში რომ ვცხოვრობდეთ, პროფკავშირების პოზიცია მაინც ყველაზე რადიკალური უნდა იყოს. ვნახოთ, რა განწყობა ექნებათ ჩემს კოლეგებს. ამ დღეებში პროფკავშირების გაერთიანება მხარს უჭერდა ოპოზიციის მოთხოვნებს, თუმცა, გამორიცხული არ არის, დაუმორჩილებლობას მხარი არ დავუჭიროთ."**

დღეს მოხაზავენ სამოქმედო გეგმას "სოლიდარობის" წარმომადგენლებიც. იმის თქმა, თუ როგორი სახე შეიძლება მიიღოს საყოველთაო დაუმორჩილებლობამ, მათ ჯერ არ შეუძლიათ. ამ ორგანიზაციის წევრი, თბილისის საკრებულოს სპეციალური კომისიის თავმჯდომარე ლევან მეტრეველი განმარტავს, რომ საქმიანი შეხვედრები ამ საკითხის ირგვლივ საღამომდე გაიმართება.

სახლის სითბო და საქმე

ოქტომბრის გვიან საღამოს, ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლის დარაჯმა და თანამშრომლებმა შეამჩნიეს, რომ უცნობი ახალგაზრდა ქალი ნერვიულად უვლიდა სახლს გარშემო. ხელში ჩვრებში გახვეული საშუალო ზომის შეკრულა ეკავა და ამაოდ ცდილობდა რკინის ღობის მიღმა ჩუმად შეღწევას...

ეთერ მამულაშვილი

ქალი, რომელიც იმ ღამეს ბავშთა სახლის ტერიტორიაზე შეპარვას ცდილობდა, ახლადნამშობიარევი 30 წლის ეკა აღმოჩნდა. იმის შიშით, რომ ოჯახი მას და ქორწინების გარეშე დაბადებულ მის ახალშობილს ზურგს აქცევდა, ეკამ, ჩვილის მიტოვება გადაწყვიტა. დღეს ეკა თვენახევრის გიორგისთან ერთად ნუცუბიძეზე დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარში ცხოვრობს და ბედნიერია. თავშესაფრის პერსონალისა და სოციალური მუშაკების დახმარებით, ის მალე საკუთარ ბიზნესაც წამოიწყებს.

მოტყუებული და სასოწარკვეთილი მარტოხელა დედების ისტორიები ხშირად სხვა სცენარით ვითარდება. მიზეზები, რის გამოც დედები ჩვილებზე უარს ამბობენ, ძალიან ბევრია. დედებისგან ასეთი გადაწყვეტილების მიღებას კი სიდუხჭირის გარდა, არსებული ყოფითი სტერეოტიპიც განაპირობებს. **"მეუბნებოდნენ სირცხვილია, ხალხი გაიგებს, რას იტყვიანო, შვილის ბავშვთა სახლში ჩაბარებას მირჩევდნენ. ყველა საბუთი უკვე გამზადებული მქონდა ბავშვის ჩასაბარებლად, როცა დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფრის სოციალური მუშაკები მომევლინნენ მხსნელებად. მათი დახმარებით, ბოლოს, გადაწყვეტილება შევცვალე... დღეს გიორგი სამი თვის არის, მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია"**, - ამ სიტყვებს ახალგაზრდა დედა ჩვილ ბავშვთა და დედათა თავშესაფრიდან გასვლის შემდეგ სამახსოვრო დღიურში წერს. თავშესაფრის პერსონალის დახმარებით, დღეს მას საკუთარი მცირე ბიზნესი აქვს, რითაც გიორგის რჩენა მისთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს.

ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის ორწლიანი პილოტური პროექტი საქართველოში გასული წლის ოქტომბერში დაიწყო. პროექტს რამდენიმე ისეთი მისია აკისრია, რომელიც ნებისმიერი, ჩვენნაირი ქვეყნისთვის შვების მომგვრელი იქნებოდა: ჩვილ ბავშვთა მიტოვების თავიდან აცილება მარტოხელა დედების დახმარების გზით; ჩვილ ბავშვთა სახლში მყოფი ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდის ალტერნატიული ფორმების განხორციელება - საკუთარ ოჯახში დაბრუნების (რეინტეგრაცია), შვილობისა და შვილობილობის (ბავშვის მიმღებ ოჯახში განთავსება დროებითი აღზრდის მიზნით) გზით. პროექტის ავტორები და შემსრულებლები ვარაუდობენ, რომ მარტოხელა დედების მიერ თბილისის სამშობიარო სახლებში მიტოვებული ჩვილების რიცხვი პირველ წელს 50, ხოლო მეორე წელს 75 პროცენტით შემცირდება. გარდა ამისა, პროექტის პირველ წელს თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში მყოფი 10 ჩვილის დეინსტიტუციონალიზაცია (ბავშვთა სახლებიდან ბავშვების გამოყვანა და მათი ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნება ან მიმღებ ოჯახში მოთავსება) მოხდება, მომდევნო წელს კი ეს ციფრი კიდევ ხუთით გაიზრდება.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამის შემდეგ ჩვენს ხელისუფლებას არხეინად ყოფნა მოუწევს. ორი წლის შემდეგ, ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციასა და დეინსტიტუციონალიზაციაზე ზრუნვა, განათლების სამინისტროსთან ერთად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოუწევს.

ხსენებული პროექტის ფარგლებში, ნუციბიძეზე, ჩვილ ბავშვთა სახლში, დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარი წელს აპრილში გაიხსნა. პროექტის განმახორციელებლების შეფასებით, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. თავშესაფრის მიზანია, დროული დახმარება აღმოუჩინოს დედებს იმ სოციალური და ფინანსური სიძნელეების გადასალახად, რომლებიც მათ ახალშობილის მიტოვებისკენ უბიძგებს. თავშესაფარში მოხვედრილი დედები, საკუთარ ჩვილებთან ერთად, საშუალოდ სამი თვე რჩებიან. აქ მშვიდ და უსაფრთხო გარემოში დედისა და პატარის ცხოვრებისა და განვითარებისთვის ადეკვატური პირობებია შექმნილი. თავშესაფარში დედა ყველა საჭირო კონსულტაციას და დახმარებას ღებულობს, რაც მომავალში მას და მის პატარას დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალებას აძლევს. თავშესაფარში მართლაც იდეალური პირობებია შექმნილი იმისათვის, რომ დედებს საკუთარ თავში დაფიქრებისა და განსჯის საშუალება მიეცეთ.

"ვისურვებდი, რომ რთულ, გამოუვალ მდგომარეობაში საბედისწერო შეცდომის თავიდან ასაცილებლად ყველა ქალს მიეცეს შანსი განსჯისა და თავის თავში გარკვევისათვის, ისევე, როგორც მე. თავშესაფარში მოხვედრილს საშუალება მომეცა დავფიქრებულიყავი – ყველაფერი კარგად ამეწონა. იქამდე საკუთარ თავსაც არ ვენდობოდი. აქ თანაგრძნობა ვიპოვე", - წერს თავშესაფრიდან ახლახანს გამოსული დედა.

მშვიდ და მყუდრო გარემოში, ყველაფრით უზრუნველყოფილი დედები თავშესაფარში ბევრ რამეს სწავლობენ. მათზე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების კვალიფიციური ჯგუფი მუშაობს.

იმისათვის, რომ უზრუნველყონ დედისა და ბავშვის უკეთესი მომავალი, თავშესაფრის დასაქმების სამსახური დედების დასაქმებაზე, პროფესიულ განათლებაზე, მცირე სესხების, გრანტების პროგრამაში მათ ჩართვაზეც ზრუნავს. დღეს თავშესაფრიდან გასულ ყველა დედას საკუთარი საქმე აქვს: ერთს - მაღაზია, მეორეს - საცხობი, მესამეს - საათივით აწყობილი პატარა მეურნეობა...

იმ შემთხვევაში, თუკი ყველა მიღებული ზომის მიუხედავად, დედა უარს განაცხადებს ბავშვის სახლში წაყვანაზე, ბავშვის ინსტიტუციაში დატოვების სანაცვლოდ მას სთავაზობენ სხვა არჩევანს – შვილობა (ქვეყნის ფარგლებში გაშვილება) და შვილობილობა (ბავშვის მიმღებ ოჯახში განთავსება მინდობითი აღზრდის მიზნით).

პროექტის მუშაობის შედეგები 1 ოქტომბრის ჩათვლით ასეთია: პრევენციის 25, შვილობილობის 9, რეინტეგრაციის 2 შემთხვევა. **"შესაძლოა ეს ციფრები ვინმეს შთამბეჭდავად არ მოეჩვენოს, მაგრამ ამ მშრალი ციფრების უკან დევს მისი დიდი მნიშვნელობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 25 ბავშვი გადაურჩა ბავშვთა ინსტიტუციებში ცხოვრებას",** - გვითხრა თავშესაფრის მენეჯერმა მარინა მენთეშაშვილმა.

პროექტის განხორციელებაში საერთაშორისო ორგანიზაციების (World Vision, Every Child, Unicef) გარდა, განათლების და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებიც მონაწილეობენ.

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის სატრანსფერტო ანგარიშზე ოქტომბრის თვეში წარმოებული ფინანსური ოპერაციების მონაცემები

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის (სესბ-ის) სატრანსფერტო ანგარიშზე ოქტომბრის თვეში 4. 488. 461 ლარის აკუმულირება მოხდა, იგივე პერიოდში გენერაციის ობიექტებსა და მომსახურე კომპანიებზე გადარიცხულმა თანხამ 4. 912. 171 ლარი შეადგინა. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლის საერთო დონე აღნიშნულ პერიოდში 28%-ია. სესბ-ის პირდაპირმა მომხმარებლებმა ენერგობაზრიდან შესყიდული ელექტროენერგიის 86% გადაიხადეს, მცირე გამანაწილებელმა ენერგოკომპანიებმა 80%, სამწუხაროდ კვლავ პრობლემატური რჩება მსხვილი გამანაწილებელი ენერგოკომპანიებიდან ("თელასის" გარდა) ელექტროენერგიის საფასურის ამოღება, მათ ოქტომბრის თვეში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის მხოლოდ 3% გადაიხადეს, შესაბამისად სესბ-ი მათ მიმართ შეზღუდვების პროგრამას კვლავ გააგრძელებს.

მოხმარებულ ელენერგიაზე დარიცხული და გადახდილი თანხები (ლარი)

ოქტომბერი 2003

	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
338	[illegible]	-	(11)	154,400	4,936	4,936	-	100%	-	-	0								-	(11)
39	[illegible]	12,248	-	813,200	13,800	9,488	-	69%	-	-	-				2,996				19,578	-
186	[illegible]	8,008,876	-	58,047,200	2,194,159	-	-	0%	-	-	-								11,273,036	-
201	[illegible]	5,653,217	-	29,413,606	1,114,137	183,419	-	14%	-	-	-								6,613,936	-
171	[illegible]	139,104	-	725,924	14,844	-	-	0%	-	-	-								153,948	-
344	[illegible] XXI	0	-	30,420	1,362	1,362	-	100%	-	-	-								0	-
288	[illegible]	10,837	-	137,950	6,176	-	-	0%	-	-	-	17,013.50	48,666						-	-
328	[illegible]	-	-	59,200	1,893	1,000	-	53%	-	-	-								893	-
330	[illegible]	31,490,897	-	102,631,827	4,582,958	6	-	0%	-	-	-				(152,754)				35,924,105	-
334	[illegible]	5,132	-	249,740	7,984	7,984	-	100%	5,091	-	-								41	-
317	[illegible]-2000	-	(3,895)	160,380	5,127	3,909	1,218	100%	-	-	-					647			-	(2,677)
283	[illegible]	708,612	-	4,712,295	210,989	70,000	-	33%	-	-	-				(7,551)				842,031	-
152	[illegible]	-	-	218,700	9,791	9,791	-	100%	-	1	-								-	-
348	[illegible]	-	(187)	648,040	17,521	17,521	-	100%	-	-	79								-	(286)
314	[illegible]	-	(2)	47,320	1,513	1,512	1	100%	-	-	-								-	(1)
318	[illegible]	-	(38)	134,280	6,012	6,012	-	100%	-	-	3								-	(42)
26	[illegible]	-	(1)	197,080	6,301	3,517	1	56%	-	-	-				814				3,597	-
188	[illegible]	609,050	-			-	-		-	-	-								609,050	-
158	[illegible]-2000	3,740	-	2,332,090	75,899	75,670	-	100%	-	-	-								3,969	-
338	[illegible]	25,020	-	293,800	5,808	4,425	-	76%	-	-	-				(25,020)				1,363	-
327	[illegible]	905	-	14,800	429	-	-	0%	-	-	-				60				1,394	-
168	[illegible]	7,374,279	-	121,621,510	3,463,308	-	-	0%	-	-	-		40,233,266.83		(227,517)				10,610,064	-
208	[illegible]	36,138	-	260,040	11,642	5,300	-	46%	-	-	-								42,480	-
28	[illegible]	34,671	-	177,820	5,685	-	-	0%	-	-	-				699				41,058	-
348	[illegible]	-	(152)	4,000	179	179	-	100%	-	-	21								-	(173)
381	[illegible]	-	-			-	-		-	-	-								-	-
350	[illegible]	1,943	-	29,600	1,325	1,000	-	75%	-	-	-								2,269	-
	[illegible]	55,197,867	(4,286)	320,915,222	11,753,767	377,011	1,220	3%	5,091	1	103	17,013	40,281,866	-	(408,272)	647	-	-	66,142,826	(3,169)
101	[illegible]	-	-	17,673,813	624,722	530,000	-	64%	-	-	-								294,722	-
144	[illegible]	956	-			-	-		-	-	-								956	-
331	[illegible]	6,860	-	80,000	3,493	3,493	-	100%	-	-	-								6,860	-
198	[illegible]	3,454	-	87,155	907	907	-	100%	3,454	2,640	-								(0)	-
142	[illegible]	19,259	-	615,666	39,400	-	-	0%	-	-	-								57,658	-
163	[illegible]	1,522,476	-	34,525,720	1,349,618	1,349,618	-	100%	576,600	-	-					96,963			945,876	-
349	[illegible]	-	(165)	7,700	360	322	38	100%	-	-	-								-	(127)
90	[illegible]	17,492	-	676,720	15,611	15,611	-	100%	0	-	-								17,492	-
79	[illegible]	4,910	-	135,360	4,949	-	-	0%	-	-	-								9,860	-
340	[illegible]	1,632	-	9,576	67	-	-	0%	-	-	-								1,699	-
118	[illegible]	-	(8,101)	1,378,287	14,339	12,519	1,820	100%	-	-	-								-	(7,280)
170	[illegible]	870	-	194,920	3,665	3,666	-	100%	0	-	-								870	-
166	[illegible]	4,045	0	150,370	5,769	5,769	-	100%	0	-	-								4,045	0
332	[illegible]	13,902	-	111,000	4,258	3,500	-	82%	-	-	-								14,660	-
107	[illegible]	0	-	4,517,189	211,242	211,242	-	100%	0	-	-								0	-
113	[illegible]	-	(3,276)	1,214,300	46,585	46,585	-	100%	-	-	2								-	(3,278)
36	[illegible]	13,725	-	915,500	51,854	51,473	-	99%	-	-	-								14,106	-
311	[illegible]	17,749	-	242,200	6,987	6,987	-	100%	4,840	-	-								12,909	-
324	[illegible]	85,082	-	78,680	2,709	-	-	0%	-	-	-								87,790	-
162	[illegible]	398	-	6,447,160	294,993	190,000	-	66%	-	-	-								104,981	-
157	[illegible]	149,064	-	1,290,081	30,923	16,136	-	52%	-	-	-								163,852	-
168	[illegible]	-	(1)	23,064,366	653,840	653,840	-	100%	-	-	0								-	(1)
341	[illegible]	179	-	13,500	95	95	-	100%	0	-	-								179	-
174	[illegible]	3,472	-	964,901	12,158	-	-	0%	-	-	-								15,629	-
173	[illegible]	3,558	-	3,922,370	49,422	-	-	0%	-	-	-								52,979	-
197	[illegible]	40,596	-	22,910,342	48,360	48,360	-	100%	40,596	8,875	-			120,000					0	(120,000)
343	[illegible]	1,734	-	13,464	95	95	-	100%	114	-	-								1,620	-
175	[illegible]	-	-	934,627	11,776	-	-	0%	-	-	-								11,776	-
49	[illegible]	386,353	-	788,336	50,450	40,000	-	79%	-	-	-								386,803	-
31	[illegible]	200,443	-	3,080,876	78,330	78,330	-	100%	500	-	-								199,943	-
314	[illegible]	50,356	-	337,710	21,612	-	-	0%	-	-	-	40,130.47							31,836	-
347	[illegible]	3,493	-	44,625	2,087	983	-	47%	-	-	-								4,597	-
346	[illegible]	-	(1)	151,200	6,769	6,470	1	96%	-	-	-								298	-
350	[illegible]	(0)	-	428,083	27,395	27,395	-	100%	-	-	-								0	-
354	[illegible]	-	(0)	71,400	2,782	-	0	0%	-	-	-								2,782	-
356	[illegible]	-	-	76,560	4,900	4,900	-	100%	-	-	0								-	(0)
	[illegible]	2,521,077	(12,543)	127,164,767	4,042,434	3,468,032	1,859	86%	626,105	11,515	2	40,130	-	120,000	-	96,963	-	-	2,426,760	(130,686)
393	[illegible]	5,986,172	-			-	-		-	-	-								5,986,172	-
	[illegible]	63,704,915	(16,828)	448,079,989	15,796,200	3,845,044	3,080	24%	631,195	11,516	105	57,144	40,281,866	120,000	(408,272)	97,610	-	-	74,555,781	(133,855)

გამომუშავებულ ელენერგიაზე დარიცხული და გადახდილი თანხები (ლარი)

ოქტომბერი 2003

	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
211	[illegible]	25,895,393	-	289,441,866	6,739,107.49	917,000	-	16%	-	-	-								30,417,471	-
212	[illegible]	2,174,542	-	43,432,273	508,158	113,066	-	22%	-	-	-								2,569,633	-
201	[illegible]	5,231,724	-			-	-		165,603	-	-								5,046,121	-
225	[illegible]	174,014	-			-	-		125,616	-	-	48,398		71,602					0	(71,602)
204	[illegible]	2,253,271	-	23,088,678	345,100	126,726	-	37%	-	-	-								2,471,645	-
207	[illegible]	919,303	-	13,802,250	218,076	218,076	-	100%	23,759	-	-								894,543	-
200	[illegible]	1,073,117	-	8,336,930	126,064	105,312	-	84%	-	-	-								1,092,869	-
203	[illegible]	854,540	-			-	-		238,974	-	-								615,566	-
221	[illegible]	316,609	-	339,058	7,000	7,000	-	100%	13,040	-	-								303,569	-
213	[illegible]	263,033	-			-	-			-	-								263,033	-
409	[illegible]	169,117	-			-	-		26,279	-	-								142,838	-
205	[illegible]	147,428	-	-	-	-	-		27,580	-	-								119,848	-
236	[illegible]	15,685	-			-	-		10,649	-	-								5,036	-
231	[illegible]	49,555	-	32,400	810	810	-	100%	10,591	-	-								38,964	-
243	[illegible]	12,187	-			-	-		-	-	-	12,187							0	-
412	[illegible]	80,221	-	382,200	19,110	16,626	-	87%	-	-	-				11,820				94,526	-
229	[illegible]	-	-			-	-		-	-	-								-	-
198	[illegible]	-	-			-	-		-	-	-								-	-
199	[illegible]	-	-			-	-			3,456	-								-	-
222	[illegible]	-	-			-	-		-	-	-								-	-
208	[illegible]	-	-			-	-			6,728	-								-	-
242	[illegible]	36,850	-	176,100	8,756	-	-	0%	-	-	-	45,606		7,790					-	(7,790)
209	[illegible]	-	-			-	-		-	-	-								-	-
202	[illegible]	-	-			-	-		-	-	-								-	-
218	[illegible]	-	-			-	-		-	-	-								-	-
236	[illegible]	-	-			-	-		-	-	-								-	-
220	[illegible]	-	-	313,586	7,307	7,307	-	100%		17,615	-								-	-
234	[illegible]	1,250	-			-	-		1,250	9,387	-								-	-
421	[illegible]	105	-			-	-		-	-	-								105	-
422	[illegible]	28,394	-	727,234	17,099	-	-	0%	-	-	-								45,492	-
245	[illegible]	8,258,645	-	-	2,098,751	-	-	0%	-	-	-		40,233,288						10,357,396	-
214	[illegible]	-	-	-		-	-			191,849	-				2,216,320	1,529,500			2,216,320	-
215	[illegible]	-	-			-	-		-	-	-		40,130						-	-
424	[illegible]	-	-		14,947	-	-	0%	-	-	-								14,947	-
425	[illegible]	-	-		444	-	-	0%	-	-	-								444	-
426	[illegible]	-	-		20,054	-	-	0%	-	-	-								20,054	-
329	[illegible]	29,528,550	-		4,123,924	919,326	-	22%	-	-	-				(833,094)	29,988			31,899,554	-
246	[illegible]	5,507,538	-		717,697	384,414	-	54%	-	-	-				26,136	7,701			5,865,957	-
186	[illegible]	-	(1,989,916)			-	-		-	-	-								-	(1,989,916)
190	[illegible]	-	(82,897)			-	-		-	-	-								-	(82,897)
189	[illegible]	-	-			-	-			8,055	-								-	-
403	[illegible]	-	-			-	-			975	-								-	-
410	[illegible]	3,352,993	-			-	-			249,645	-								3,352,993	-
417	[illegible]	1,953,100	-			-	-		-	-	-								1,953,100	-
416	[illegible]	-	(79,636)			-	-		-	-	-								-	(79,636)
325	[illegible]	-	-			-	-			14,512	-								-	-
406	[illegible]	-	-			-	-			479	-								-	-
407	[illegible]	-	-			-	-			5,552	-								-	-
413	[illegible]	-	(9,137)			-	-		-	-	-								-	(9,137)
338	[illegible]	-	(3,528,000)			-	-		-	-	-								-	(3,528,000)
414	[illegible]	-	(1,500,000)			-	-		-	-	-								-	(1,500,000)
178	[illegible]	-	(9,933,294)			-	-		-	-	-								-	(9,933,294)
420	[illegible]	-	(4,096,946)			-	-		-	-	-								-	(4,096,946)
424	[illegible]	78,119	-			-	-		-	-	-								78,119	-
	[illegible]	962,569	-		942,997	924,469	-	98%	-	-	-								981,096	-
	[illegible]	89,036,320	(21,216,832)	359,989,375	14,915,288	3,741,030	-	25%	663,341	507,800	-	108,190	40,273,419	79,392	1,420,182	1,566,769	-	-	100,861,228	(21,296,224)

პატიმარი მოზარდები ბავშვთა უფლებების დაცვის კვირეულში ჩაერთვებიან

ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის მე-14 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი კვირეულისთვის ემზადება.

ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილის დალი გეგეჭკორის თქმით, 17, 18 და 19 ნოემბერს მედიკო-ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კომისია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-5 იზოლატორში იმუშავებს, სადაც ამჟამად 50 ექვმიტანილი მოზარდი სასამართლო გადაწყვეტილებას ელოდება.

კომისია, რომელიც ბავშვთა უფლებებზე მომუშავე სპეციალიზებული ექსპერტებით დაკომპლექტდება, თითოეული მოზარდის შესახებ დასკვნას მოამზადებს. ბავშვთა უფლებების კონვენციისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში იგივე ცენტრი ავჭალის არასრულწლოვანთა შრომა-გასწორებითი კოლონიის მოზარდებისთვის შემოქმედებითი კონცერტის გამართვას აპირებს. კონცერტში მონაწილეობას ანსამბლი „გვირილა“ და ჩუღურეთის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხატვრულ-შემოქმედებითი წრის მოსწავლეები მიიღებენ. ავჭალის კოლონიაში ამჟამად 18 მოზარდი იხდის სასჯელს. მათი ასაკი 14-დან 17 წლამდეა.

დალი გეგეჭკორის თქმით, მე-5 იზოლატორში მოზარდები გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან, რის გამოც ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი, 50 ექვმიტანილისთვის ლეიბებისა და ზამთრის სეზონისთვის საჭირო თბილი ტანსაცმლის თხოვნით, გაერო-ს ბავშვთა ფონდს მიმართავს.

ბავშვთა უფლებების კონვენცია გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღო, თუმცა დეკლარაცია გაცილებით ადრე — 1959 წელს მომზადდა.

მედია-ნიუსი

ორი სიტყვით

თბილისი. 2 ნოემბერს, აჭარაში საპარლამენტო არჩევნების დროს დაკავებული დამკვირვებლის სტატუსით მყოფი გიორგი მშვენიერაძის თავდებით გათავისუფლების მოთხოვნით, ჟურნალისტებმა მიმართვა შეადგინეს. როგორც ჟურნალისტთა ფედერაციაში გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა, მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის წევრს ზურაბ ჟვანიას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს ასლან აბაშიძესა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს გაეგზავნებათ. ჟურნალისტების მიმართვაში ქართულ მასმედიაზე ზეწოლის ტენდენციებზეც არის საუბარი, რაც თავისუფალი პრესისათვის დაუშვებლად ითვლება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თურქეთი. სტამბოლში უცნობმა პირებმა საქართველოს საკონსულო გაძარცვეს. საქართველოს საკონსულო სტამბოლის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მდებარეობს და მას ადგილობრივი პოლიცია იცავს. გავრცელებული ინფორმაციით, მძარცველებმა ნაჯახის გამოყენებით შეძლეს საკონსულოს შენობაში შეღწევა. არაოფიციალური ინფორმაციით, მათ იქიდან 35 ათასი დოლარი გაიტაცეს. მომხდართან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ჯერ არ გაუკეთებია. საქართველოს კონსული თურქეთში, გიორგი ჯანჯღავა კი აცხადებს, რომ მძარცველებმა საქართველოს საკონსულოდან მხოლოდ მცირედი თანხა გაიტაცეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შპს "მორკინალის" მეპატრონის ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებაში ეჭვმიტანილი ალექსანდრე მაისურაძის საქმესთან დაკავშირებით, დღეს უზენაეს სასამართლოში მედია ჰოლდინგ "ი-მედის" ცენტრალური ოფისის რამდენიმე თანამშრომელს დაკითხავენ. დღესვე, სასამართლო პროცესზე გაირკვევა, ავტომანქანის აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე, მობილური ტელეფონით ვის დაუკავშირდა აფეთქებაში ბრალდებული მაისურაძე. გავრცელებული ინფორმაციით, ასაფეთქებელი ნივთიერების მოქმედებაში მოყვანა მობილურ ტელეფონზე დაპროგრამებული სიგნალის საშუალებით განხორციელდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მიიღებს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" სარჩელს განსახილველად, დღეს გახდება ცნობილი. "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" სახელმწიფოს მიერ 2005 წლამდე მომხდარი დანაშაულებების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმას აპროტესტებს. არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელის მიხედვით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 681-ე მუხლის მეორე ნაწილი არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს. აღნიშნული ნორმის თანახმად, დანაშაულის გაუხსნელობის შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ დაზარალებულ პირთათვის ზიანის ანაზღაურების გარანტია 2005 წლამდე გადავადებულია. საკონსტიტუციო სასამართლომ გამწესრიგებელ სხდომაზე არსებულ დავასთან დაკავშირებით, მხარეთა პოზიციები უკვე მოისმინა. კოლეგიის განმარტებით, "საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის" თანახმად, კოდექსის რომელიმე ნორმის ამოქმედების შესახებ სარჩელის შემოტანის უფლება მხოლოდ პრეზიდენტსა და პარლამენტის შემადგენლობის 1/5-ს გააჩნია. **ინტერ-პრესი**

ხელისუფლებას კანონი მხოლოდ თავისი ინტერესების დაცვისთვის ახსენდება

დღეს, ანუ 2003 წლის 17 ნოემბერს საქართველოს ხელისუფლება, როგორც არასდროს, აპირებს მოითხოვოს კანონის დაცვა. ეს არც მის მიერ კანონის უზენაესობის რეალურად აღიარება გახლავთ და არც ძე შეცდომილის ჭეშმარიტ გზაზე დაბრუნება. საქართველოს ხელისუფლებას, დღესაც, როგორც ყოველთვის, კანონი მხოლოდ საკუთარი ინტერესების დასაცავად ახსენდება. ამჯერად ხელისუფლების ინტერესებში შედის, წინ აღუდგეს "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის მიხეილ სააკაშვილის მოწოდებას ეროვნული დაუმორჩილებლობის შესახებ, რაც სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომელთა გაფიცვას და ამ დაწესებულებათა მუშაობის პარალიზებას გულისხმობს. ამ მოწოდების საწინააღმდეგოდ, ხელისუფლება, არა ზოგადად კანონმორჩილებისკენ, არამედ ორი კონკრეტული კანონის თითო მუხლის დაცვისკენ მოგვიწოდებს.

გთავაზობთ იმ კანონების იმ მუხლებს, რომელთა დაცვასაც ხელისუფლება პოლიციას ავალებს და ამით საკუთარი არსებობის გახანგრძლივებას ცდილობს:

საქართველოს კანონი "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ"

მუხლი 9, ნაწილი 1: *"აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება: საქართველოს პარლამენტის შენობაში, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სასამართლოების, პროკურატურის, პოლიციის, სასჯელთა აღსრულების ორგანოების შენობებში, სამხედრო ნაწილებსა და ობიექტებში, რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, საავადმყოფოებში, დიპლომატიურ დაწესებულებებში და მათგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე, სამთავრობო დაწესებულებების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შენობებში; დაუშვებელია ამ ობიექტების შესასვლელების სრული ბლოკირება".*

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

მუხლი 226: *"ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან დაკავშირებულია ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობასთან ან რამაც ტრანსპორტის, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება გამოიწვია, აგრეთვე ასეთ მოქმედებაში აქტიური მონაწილეობა,- ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით".*

სავარაუდოდ, დღეს მხოლოდ ამ კონკრეტული საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვას აიძულებენ თავის ქვეშევრდომებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების პოლიციის სამმართველოების უფროსები, ყოველ შემთხვევაში, გუშინ, მათ განწყობა სწორედ ასეთი ჰქონდათ:

ალეკო სუხიტაშვილი, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი:

"ჩვენს მხარეში, ჯერჯერობით, არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, თუ არ ჩავთვლით შაბათს ხაშურში ჩატარებულ მიტინგს, სადაც ყველაფერმა კანონის ფარგლებში ჩაიარა. ხალხმა ხმამაღლა გამოხატა თავისი პოზიცია და, ცხადია, ჩვენ ამაში ხელს ვერ შევუშლიდით. ასე მოვიქცევით დღესაც და ხვალაც – თუ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას არ ექნება ადგილი, პოლიცია მიტინგის ჩატარების შემთხვევაში, მხოლოდ წესრიგის დამცველი იქნება.

რაც შეეხება იმას, რასაც ორშაბათს აპირებენ ოპოზიციის მომხრეები, ანუ ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადების შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციონირების ხელისშეშლა, კანონით ისჯება. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და გამოძიება, პოლიციის ქვემდებარე მოქმედება არ გახლავთ, ეს პროკურატურის საქმეა. მაგრამ, თუ ამ აქციების ფარგლებში, ვინმე ეცდება კანონი დაარღვიოს, ჩვენ, ცხადია, ვალდებულნი ვართ, წინ აღვუდგეთ ამას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენვე აღმოვჩნდებით კანონის დამრღვევები. თუმცა, ახლა წესრიგის დასაცავად პოლიციის მოქმედებაში ყველა, რატომღაც, ძალის გამოყენებას გულისხმობს. დამერწმუნეთ, ეს სულაც არ არის აუცილებელი, არსებობს წესრიგის დაცვის სხვა გზებიც".

ზაზა ძნელაძე, იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი:

"ხელისუფლებისგან არავითარი მითითება არ მიგვიღია. ან რა მითითება უნდა მიგვეღო, როცა კანონი განსაზღვრავს ჩვენს მოქმედებას. რეაგირებას მოვახდენთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე. თუკი ადგილი ექნება სამართალდარღვევას, შესაბამის ღონისძიებებს გავატარებთ. თუკი საჭირო იქნება, სისხლის სამართლის საქმესაც აღვძრავთ. მხოლოდ კანონიერებას მოვემსახურებით. ჩვენი მხრიდან ძალის გამოყენება არ იქნება, თუკი წინააღმდეგობის ფრონტის კომიტეტები კანონს არ დაარღვევენ. არავის მითითება და კარნახი ჩვენ არ გვჭირდება, ვიმოქმედებთ მხოლოდ კანონის ფარგლებში".

სერგო ჩაჩიბაია, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსის მოადგილე:

"ჩვენ არც სტომატოლოგები ვართ და არც სხვა პროფესიის ადამიანები, პოლიციელები ვართ, რომლებსაც კანონი გარკვეული მოქმედებების განხორციელებას გვავალდებულებს. გამორიცხულია, სახელმწიფო დაწესებულებების პარალიზების და იქ მომუშავე ადამიანებზე ზეწოლის განხორციელების უფლებას არავის მივცემთ. კარის აჭედვას ვერავინ მოახერხებს, იქამდე არავის მივუშვებთ. ისე, მშვიდობიანად, კი ბატონო, შეიკრიბონ და ჩაატარონ თუნდაც მრავალათასიანი მიტინგი, ეს მათი ნებაა, მაგრამ რისი უფლებაც არ გააჩნიათ, ვერც გააკეთებენ. არავინ მათ წინააღმდეგ არანაირ ძალას არ გამოიყენებს. ჩვენი მოქმედების გეგმა მხოლოდ კანონის მოთხოვნას ექვემდებარება. იმედი მაქვს და დარწმუნებულიც ვარ, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, წინააღმდეგობის ფრონტის კომიტეტები პრობლემას არ შექმნიან და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება".

ჯემალ ჯიქურაული, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი:

"ჩვენ იმის მიხედვით ვიმოქმედებთ, როგორიც იქნება მოვლენების განვითარება. ჯერჯერობით, არანაირი მითითება არ მიგვიღია. თუმცა, ეხლავე შემიძლია ვთქვა, რომ სახელმწიფო დაწესებულების კარების აჭედვის უფლებას არავის მივცემთ – ეს კანონით დასჯადი ქმედებაა და თუ ეს მოხდება, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის აუცილებლობის წინაშე დავდგებით".

bp

კონტრაქტორების მოწვევა წინასწარი კვალიფიკაციისათვის

კომპანია "BP Caspi" იწვევს კონტრაქტორებს …

ნარჩენების განთავსება / მართვის მომსახურების გაწევა

სამუშაოს მოცულობა

ტერიტორიის შესყიდვის ფაზა

განვითარების ფაზა

ექსპლოატაციის ფაზა

ხარისხის კონტროლი

მოთხოვნები

მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქ. № 38, კომპანია BP-ს პროექტის ოფისი.

სასამართლოებში საარჩევნო გარჩევების ვადა იწურება

ხათუნა ჯანგირაშვილი

ბოლო ორი დღის განმავლობაში, თბილისისა და რეგიონების სასამართლოებში, საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული ხმაურიანი და ხალხმრავალი პროცესები მიმდინარეობდა. ზოგიერთმა მათგანმა ექსცესების გარეშე ვერ ჩაიარა.

"ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება სასამართლოს შენობის დარბევით, მოსამართლის შეურაცხყოფითა და "ნაციონალების" ადვოკატის სასტიკად ცემით დასრულდა. ამ ყველაფრის ორგანიზატორ-შემსრულებელად კი, ოთხ თავდამსხმელთან ერთად, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გია მიქელაძე დასახელდა. მართალია, მიქელაძე უარყოფს სასამართლოს შენობაში შეჭრას, ადვოკატის ცემისა და მოსამართლესთან გაწევ-გამოწევის ფაქტს, მაგრამ თვითმხილველი მოწმეები, რომლებიც იმ დროს სასამართლოში იმყოფებოდნენ, სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს დანაშაულში ამხელენ. სამტრედიის რაიონულ სასამართლოში გვიან ღამით მომხდარი თავდასხმის დროს, პოლიციას არანაირი რეაგირება არ მოუხდენია და არც სისხლის სამართლის საქმე აღძრულა.

"ნაციონალური მოძრაობა", სარჩელით, რომელიც მოსამართლე ლუიზა მეფარიძემ დააკმაყოფილა, სამტრედიის საარჩევნო უბნებში კენჭისყრის განმეორებით ჩატარებას იმავე კომისიების შემადგენლობით მოითხოვდა, რომლითაც უბნები დაკომპლექტებული იყო 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დღეს.

"ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლობამ სამტრედიის სასამართლოს სარჩელით მას შემდეგ მიმართა, რაც მათი და „ბურჯანაძე-დემოკრატების“ გარდა, საარჩევნო კომისიაში საკუთარი წარმომადგენელი ყველა პოლიტიკურმა სუბიექტმა შეცვალა.

საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა "ახალი მემარჯვენეების" გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის თემურ გოცირიძის სარჩელი, რომლითაც იგი გლდანის N10 საარჩევნო ოლქის კომისიის შემაჯამებელი ოქმის გაუქმებას მოითხოვდა. პროცესი გამთენიისას დასრულდა.

საოლქო სასამართლო და ისანი-სამგორის რაიონული სასამართლო გუშინ, მთელი დღის განმავლობაში კიდევ ორ ხმაურიან პროცესს განიხილავდა. რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იოსებ ალავიძე რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობასა და ხმების ხელახალ გადათვლას მოითხოვდა. მისი ეს მოთხოვნა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. პროცესში მესამე პირად საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია იყო ჩართული. შეგახსენებთ, წინა პროცესზე ალავიძემ სასამართლოს რუსთავის საარჩევნო უბნებში არსებული დარღვევების შესახებ ვიდეო-მასალა და სხვადასხვა სახის დოკუმენტები წარუდგინა.

ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ამ რაიონში ჩატარებულ მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებული სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატი პანტიკო თორდია გახდება, "ბურჯანაძე- დამოკრატების" მაჟორიტარმა დეპუტატმა პოლიტიკურ დაკვეთად შეაფასა და სასამართლო პროცესს აბსურდის თეატრი უწოდა.

"უკანონობაზე რომ არაფერი ვთქვა, დასაცინია მოსამართლის გადაწყვეტილება. მართლმსაჯულებამ ბინძური პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილებით, ხელისუფლება სასამართლოს მეშვეობით უსირცხვილოდ აპირებს პარლამენტის დეპუტატის დანიშვნას", – აცხადებს მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც უკან დახევას არ აპირებს და ხელისუფლებასთან შებრძოლებას, საარჩევნო უბანში მოპოვებული გამარჯვების შესანარჩუნებლად საოლქო სასამართლოში შეტანილი საჩივრით აპირებს. "ბურჯანაძე-დემოკრატების" მაჟორიტარი დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი მოპოვებული გამარჯვების დათმობას არ აპირებს. რომელი მხარის სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს საოლქო სასამართლო, რომელსაც ხმაურიანი პროცესი ელის, დღეს გახდება ცნობილი. საარჩევნო-სასამართლო დავების ვადა ხვალ იწურება.

ბრიტანეთი კვლავ უარზეა

ბრიტანეთი არ ერიდება სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გაფუჭებას და საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო უკვე მერამდენედ ამბობს უარს ამა თუ იმ დანაშაულში ბრალდებულთა ექსტრადიციაზე. ბერეზოვსკის, დუბოვისა და ზაკაევის გადაცემაზე უარის თქმის შემდეგ განაწყენებულ რუსეთს ახლა არგენტინა შეუერთდა.

ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა უარი უთხრა არგენტინის ხელისუფლებას ირანელი დიპლომატის ექსტრადიციაზე. ირანის ყოფილი სრულუფლებიანი ელჩი არგენტინაში ხადე სოლეიმანპური ლონდონის სასამართლომ სამი მეოთხედი მილიონი დოლარის გადახდის შემდეგ თავდებით გაათავისუფლა.

შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები 9 წლის წინ არგენტინაში მომხდარ ტერორისტულ აქციაში ყოფილი დიპლომატის მონაწილეობის შესახებ.

სხვათა შორის, თავის დროზე არგენტინის მცდელობამ, ბრიტანეთისგან თანხმობა მიეღო ხადე სოლეიმანპურის ექსტრადიციაზე, არასასურველად დაძაბა ბრიტანეთ-ირანს შორის ბოლო ორი წლის მანძილზე გაუმჯობესებული ურთიერთობა.

ბი-ბი-სის ჟურნალისტები არ გამორიცხავენ, რომ სწორედ ეს იყო ამ ცოტა ხნის წინათ თეირანში ბრიტანეთის საელჩოს შენობის დაცხრილვის მიზეზი.

ახლა კი, მას შემდეგ, რაც ექვსი ათას გვერდიანი მასალები მიიღეს, ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ სოლეიმანპურას გადასაცემად მტკიცებულებები საკმარისი არ არის.

არგენტინის ხელისუფლება ეჭვობს, რომ ყოფილ დიპლომატს კავშირი უნდა ჰქონოდა 1994 წელს ბუენოს-აირესში მომხდარ აფეთქებებში, რომლებსაც 85 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

პერმანენტულ საპატარძლოს ცრუ ჩვენებების მიცემასა და დოკუმენტების გაყალბებაში ადანაშაულებენ

ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ქალბატონმა, რომელსაც ნიუ-იორკის პროფესიონალ საპატარძლოს უწოდებენ, აღიარა, რომ ცრუობდა თავის ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ბრალდების მხარის თქმით, 40 წლის დეზერი კორტესმა რამდენიმე ათასი დოლარი მიიღო 1984-დან 2002 წლამდე 27 მამაკაცთან ფიქტიური ქორწინების გაფორმებაში.

ყველა ეს მამაკაცი არალეგალური ემიგრანტი იყო, რომლებსაც ამ გზით სურდათ "მწვანე ბარათისა" და ამერიკაში მუშაობის უფლების მოპოვება. კორტესმა აღიარა, რომ ინდოეთის მოქალაქესთან დაქორწინების განცხადების შეტანისას მან თქვა, რომ მანამდე არასოდეს ყოფილა გათხოვილი.

ამერიკელი ქალის ფიქტიური ქმრების სიაში არიან მამაკაცები ინდოეთიდან, პაკისტანიდან, ეკვადორიდან, დომენიკანური რესპუბლიკიდან, მექსიკიდან, პერუდან. მას არასოდეს უცხოვრია არც ერთ მათგანთან და არც არასოდეს გაშორებია.

კორტესი მას შემდეგ დაადანაშაულეს ცრუ ჩვენებების მიცემასა და დოკუმენტების ფალსიფიცირებაში, როცა გაირკვა, რომ ქალაქის მთავრობას, მან ფიცის დადების შემდეგ ტყუილი უთხრა თავისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

თუმცა, კორტესმა, პროკურატურასთან შეთანხმების თანახმად, მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღიარა თავისი ბრალეულობა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კორტესმა 2000 წელს ქორწინება გააფორმა ინდოეთის 37 წლის მოქალაქესთან.

ასე რომ, სავარაუდოდ, სასამართლო მას ექვსთვიან პატიმრობას მიუსჯის, ოღონდ არც ისე მალე – კორტესის ვერდიქტი, ამბობენ, რომ 2004 წლამდე არ გამოქვეყნდებაო.

პროვინციული ტრაგიკომედია

შევარდნაძის რეჟიმის მხარდამჭერი ასლან აბაშიძე მოსკოვმა პოლიტიკურ ნონსენსად აღიქვა

პირველი გვერდიდან

"მეტროპოლში" ასლან აბაშიძემ მოსკოვის ქართული დისაპორა დაიბარა. ამ შეხვედრას წინ უძღოდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელთან - ვალერი ლოშჩინინთან შეხვედრის შემდეგ, ასლან აბაშიძის ხმამაღალი განცხადებები: **"საქართველოში შექმნილი სიტუაცია არ ემსახურება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საქმეს. ჩვენ არ დავუშვებთ ოპოზიციის ლიდერების მოთხოვნების შესრულებას. ჩვენ დავიცავთ საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას."** მას მხარი აუბა ლოშჩინინმაც: **"არჩევნების შემდეგ საქართველოში შექმნილი ვითარების გამო ხალხს საერთოდ დაავიწყდა მოუგვარებელი ეთნოკონფლიქტები."**

სასტუმრო "მეტროპოლში" დაპატიჟებულ ქართველთა სიაში იყვნენ რუსეთის ფედერაციაში ქართველთა საზოგადოების პრეზიდენტი ივერი ფრანგიშვილი, ამ საზოგადოების აქტივისტები, მაგრამ, რატომღაც, მიწვეულთა შორის არ აღმოჩნდა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩი. თუმცა ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ასლან აბაშიძე არც ერთი მოსკოვური ვიზიტის დროს არ სწვევია საქართველოს საელჩოს, თუნდაც ეტიკეტის დაცვისთვის. მიიწვიეს ფრანგიშვილის მოადგილე სევერიან ცაგარეიშვილი - საქართველოს პრეზიდენტის მეუღლის ნათესავი, აგრეთვე - რუსეთში ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და მათი ამქარი.

მოსკოვში ყველამ იცის, რომ პროპრეზიდენტული "ქართველების საზოგადოებისაგან" განსხვავებით, "მოსკოვის ქართველთა სათვისტომო" საქართველოს ხელისუფლების ოპონენტებისაგან შედგება. მათ შორის მრავლად არიან უბრალოდ ზვიადისტები, უბრალოდ პატიაშვილისტები, აფხაზეთიდან გამოძევებული, უკვე რუსეთის მოქალაქეობამიღებული დევნილები, აქ არიან მოსკოველი ქართველი ამერიკანისტები, და არ არიან შევარდნაძისტები.

ასლან აბაშიძის პრესკონფერენცია "იტარ-ტასში".

ასლან აბაშიძესთან შეხვედრაზე მიპატიჟებული ქართველების კატეგორია შეირჩა თავად აბაშიძის პოლიტიკურ მრჩეველთა გემოვნებით - დარბაზში ოპონენტი არ უნდა ყოფილიყო,მაგრამ თუ მაინც მოხვდნენ ასეთები, მათი შეკითხვები პასუხგაუცემელი დარჩა. თვითმხილველთა მონაყოლით, შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილი გამოცხადდა ფაშისტად, ითქვა, რომ მას აუცილებლად ციხეში ამოაყოფინებენ თავს, რადგანაც სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეა აღძრული. სრულიად საქართველოს მოსახლეობა, რომელიც ნოემბრის ცივი წვიმის ქვეშ საკუთარი უფლებების შელახვამ დააყენა, აჭარის ლიდერმა ერთი ხელის დაკვრით მონათლა **"ათლარიან მასოვკად"**. აბაშიძემ განაცხადა, რომ სააკაშვილი მიტინგების ორგანიზებისთვის დღეში 100 ათას დოლარს იხდის. ამ და სხვა ბრალდებების შემდეგ, აბაშიძემ მოიბოდიშა და იური ლუჟკოვთან აუდიენციაზე გაეშურა.

"ნუ გეწყინებათ, თუ შეხვედრაზე არ დაგასწრეს," - მომიბოდიშა პრესსამსახურის თანამშრომელმა. საწყენი რა იყო, როცა დიასპორასთან შეხვედრაზე ბატონმა ასლანმა საზოგადოებას სიხარულით აუწყა, რომ რამდენიმე პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ს.

წყენა იქით იყოს და, აჭარის ლიდერის პოლიტიკური მეტამორფოზა კი ნამდვილად სასაცილო იყო. მოსკოველი დამკვირვებლები და ჟურნალისტები ძალზე გაამხიარულა შევარდნაძის მუდმივი პოლიტიკური მეტოქისა და ოფიციალურ თბილისთან შეურიგებელი აჭარელი ოპონენტის ფერისცვალებამ. შევარდნაძის რეჟიმის მხარდამჭერი ასლან აბაშიძე მოსკოვმა პოლიტიკურ ნონსენსად აღიქვა და ეს ყველასთვის შესამჩნევი იყო.

მაინც რატომ გაუწოდა აბაშიძემ დახმარების ხელი შევარდნაძეს? რუსული წყაროები მიანიშნებენ, რომ ამით აჭარის ლიდერი მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენის გარანტიებს იქმნის. დაგვეხმარეთ კონსტიტუციის დაცვაში! მოსკოვს სჭირდება სტაბილური აჭარა, სადაც რუსეთის სამხედრო ბაზაა განლაგებული! "არანორმალური სააკაშვილის" შემოტევის შემთხვევაში ბაზა, მთელი თავისი შემადგენლობით, ფარად უნდა აღიმართოს აჭარასა და დანარჩენ საქართველოს შორის, - ითხოვდა აბაშიძე. რა დაპირებები მიიღო კრემლისაგან აჭარის ლიდერმა, უცნობია. მოსკოველი ანალიტიკოსების კომენტარით, პუტინის ადმინისტრაციამ ინფორმაცია მიიღო აბაშიძის ვერსიით, მაგრამ კრემლში ისედაც მშვენივრად იცოდნენ, თუ რა პირობებში ჩატარდა საქართველოში არჩევნები და რამ განაპირობა ქართველი ხალხის მასობრივი მღელვარებები. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ რუსეთის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები, ისინიც კი, ვინც დღემდე თავს შევარდნაძის მეგობრად მიიჩნევდა, აღიარებენ, რომ არჩევნების შედეგები გადახედვას ექვემდებარება. მოსკოვში არ გამორიცხავენ, რომ ხვალ შეიძლება პრეზიდენტმა პუტინმა გაიზიაროს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში საქართველოსთან დაკავშირებული თვალსაზრისი.

"აქ ნუ ელოდებით, ბატონი ასლანი არ ჩამოვა ძირს, 11 საათამდე ისვენის(!)," -გამაფრთხილა ბათუმელმა ახალგაზრდამ, ალბათ აჭარის მეთაურის აპარატის თანამშრომელმა. თუმცა, მშვენივრად ვიცოდი, რომ "ბატონი ასლანი" უკვე დიდი ხანია, ლუჟკოვთან შეხვედრაზე იმყოფებოდა...

თვალსაზრისი

ასლანური შანტაჟი

სოზარ სუბარი

პოლიტიკურად დღეს აჭარა არ არის საქართველო. ეს არის ფაქტი, რაც არ უნდა მძიმე იყოს ამის გაცნობიერება და აღიარება. ეს არის ის უმთავრესი შედეგი, რასაც ასლან აბაშიძემ მიაღწია თავისი 13-წლიანი მმართველობით.

იურიდიულად აჭარა, რასაკვირველია, საქართველოა: ამას აღიარებს საქართველოს კონსტიტუცია, აღიარებს თავად ასლან აბაშიძე და აღიარებს მსოფლიო თანამეგობრობაც.

მეტიც, აჭარა საქართველოა, რადგან იგი საქართველოს განუყოფელი ნაწილია ნებისმიერი ქართველის ცნობიერებაში და ამაში ეჭვის ოდნავი შეტანაც კი ხალხის უკიდურეს აღშფოთებას იწვევს. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ქვეყანას დეზინტეგრაციისგან იცავს. ეს არის ფაქტორი, რის გამოც აჭარა ყოველთვის იქნება საქართველო.

შესაბამისად, ტყუილად გვაშინებენ იმითი, რომ თუ ჭკუით არ მოვიქცევით, აჭარას დავკარგავთ. ეს არ მოხდება, რადგან ვერც ასლან აბაშიძე და ვერც მისი თაყვანისმცემლები აჭარას ზურგზე ვერ მოიკიდებენ და ვერ გადაიტანენ სადმე ნიჟნი ტაგილის მიდამოებში. რაც არ უნდა ქნას და რამდენ ხანსაც არ უნდა იცოცხლოს, ასლან აბაშიძე მაინც ვერ შეძლებს, რომ მთელ ხალხს გონება გამოუცვალოს და ერთ მშვენიერ დღეს აჭარლებმა საქართველოსგან დამოუკიდებლობა მოისურვონ. ასე რომ, შორეულ პერსპექტივაში ეს პრობლემა არ არსებობს.

ახლა რაც შეეხება დღევანდელობას. დავიწყოთ კითხვით – რა განაპირობებს ქვეყნის ერთიანობას?

სახელმწიფო საზღვარი ქვეყნის ერთიანობის მნიშვნელოვანი ატრიბუტია, მაგრამ ზოგჯერ ეს ცნება ძალიან პირობით ხასიათს იძენს. ერთია რუკაზე გავლებული საზღვარი, მეორე – რეალურად არსებული. მაგალითად, ვინ ამიხსნის, გადის თუ არა დღევანდელი საქართველოს საზღვარი ჩოლოქზე ან ენგურზე? საქართველოს მოქალაქეებს ორივე საზღვრის გადაკვეთის დროს უმოწმებენ პირადობის მოწმობას, ეკითხებიან ქვეყანაში(!) შესვლის მიზანს, სამართალდამცავები ორივეგან საგულდაგულოდ ჩხრეკენ საზღვრის გადამკვეთს... და ეს ხდება ბევრად უფრო მკაცრად, ვიდრე საფრანგეთიდან გერმანიაში, ან ჰოლანდიიდან ბელგიაში გადასვლის დროს. მაშ რა გარეგნული ნიშანი არსებობს იმის დასტურად, რომ ჩოლოქზე ან ენგურზე არ გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი? ვიზა საქართველოს მოქალაქეს არც უკრაინაში შესასვლელად სჭირდება და არც სომხეთსა თუ აზერბაიჯანში, ხოლო რუსეთის მიერ სავიზო რეჟიმის შემოღება დღემდე ვერ მოგვინელებია.

აჭარა ერთიანი ქართული ვალუტის – ლარის მოქმედების სივრცეშია, მაგრამ ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოდ მხოლოდ ერთიანი ვალუტა ვერ ჩაითვლება. ერთიანი ვალუტა – ევრო – მოქმედებს თითქმის მთელ ევროკავშირში, ხოლო რუბლი აერთიანებს რუსეთს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ერთ სახელმწიფოს წარმოადგენენ.

ერთ ქვეყანას ჯარიც ერთიანი უნდა ჰყავდეს, აჭარაში არსებული შეიარაღებული ძალები კი ზუსტად იმდენად ემორჩილებიან საქართველოს თავდაცვის მინისტრსა და უმაღლეს მთავარსარდალს, რამდენადაც აფხაზეთის შეიარაღებული ძალები. მათ ერთადერთი მეთაური ჰყავთ – ასლან აბაშიძე – და ეს ასე იყო მიმდინარე წლის 7 ნოემბრამდეც, როცა ასლან აბაშიძე, აჭარის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო პირი გახდა. ამ ცვლილებებით, უბრალოდ, ქაღალდზე გადავიდა ფაქტობრივად არსებული მდგომარეობა და მეტი არაფერი. მოხდა არსებული რეალობის სწორედ რომ ქაღალდზე გადატანა და არა დაკანონება, რადგან არ შეიძლება კანონიერად ჩაითვალოს, რაც საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

საქართველოსა და აჭარას არა აქვთ ერთიანი სამართლებრივი სივრცე, რასაც ერთადერთი სახელის – თენგიზ ასანიძის – ხსენებაც ცხადყოფს. კაცი, რომელიც შეიწყალა საქართველოს პრეზიდენტმა და გაამართლა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, უკანონოდ ჰყავს დაპატიმრებული აჭარის ლიდერს, რომელსაც ფეხებზე ჰკიდია საქართველოს პრეზიდენტიც, სასამართლოც, კონსტიტუციაც და საერთაშორისო ვალდებულებებიც. ასეთ ვითარებაში, არა თუ ერთიანი სამართლებრივი სივრცის არსებობაზე, თვით რაიმე სამართალზეც კი არ შეიძლება ლაპარაკი.

საქართველოსა და აჭარას არა აქვთ ერთიანი საბაჟო და საგადასახადო სივრცე, რის გარეშეც ქვეყნის ერთიანობა წარმოუდგენელია. საქართველოს ფისკალურ სტრუქტურებს არავინ ეკითხება, რა გადასახადები იკრიფება აჭარის ტერიტორიაზე და რა ტვირთები კვეთს აჭარის საზღვარს. მათ არც შემოსულ გადასახადებში ახედებს ვინმე და არც საკადრო საკითხებს უთანხმებენ. ხოლო როცა ცენტრალურმა ხელისუფლებამ აჭარის საბაჟოს ადგილობრივი ჩინოვნიკის – ვინმე გოგი შევარდნაძის მოხსნა გადაწყვიტა, თავისდა მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ეს სულაც არ ყოფილა ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენცია: მოხსნილმა ჩინოვნიკმა მშვიდად განაგრძო მუშაობა იმავე ადგილზე, რადგან ასე სურდა ბატონ ასლანს – "აბაშიძეთა გვარის ღირსეულ შთამომავალს".

მსგავსი თემების ჩამოთვლა მრავლად შეიძლება. ხოლო თუ ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ ბათუმი უნდა დატოვოს რუსეთის სამხედრო ბაზამ, მაშინ ყველა თვალნათლივ დაინახავს, რომ აჭარაზე ნამდვილად არ ვრცელდება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია, რადგან იქ არის ასლან აბაშიძე, რომელსაც სჭირდება რუსეთის ბაზა და რომელსაც სრულებით არ აწუხებს, რა სჭირდება საქართველოს. იგივე მოხდება მაშინ, თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია აჭარაში გაყალბებული არჩევნების გაუქმებას ან ბათუმიდან გამოგზავნილი შედეგების გადახედვას მოინდომებს. ხოლო სანამ ამ (ან რაიმე მსგავსი) პრობლემების წინაშე არ დავდგებით, მანამ აჭარა ფორმალურად დარჩება საქართველოს შემადგენლობაში.

ნებისმიერი ფორმალობა გარკვეულ საფასურს მოითხოვს და ეს ფასი საქართველომაც უნდა გაიღოს, თუ უნდა, რომ ბატონმა ასლანმა ხმამაღლა არ თქვას ის, რასაც საქმით აკეთებს – რომ დღეს აჭარა არ არის საქართველო და ის სხვა ცხოვრებით, სხვა კანონებით, სხვა წესითა და რიგით ცხოვრობს. ეს არის თემა, რომლითაც საქართველოს მოქალაქეებს მუდმივად აშანტაჟებენ ცალკე შევარდნაძე და მისი ხელისუფლება, ცალკე აბაშიძე და მისი კლანი.

ხოლო ფასი, რომლის გადახდაც ფორმალური ერთიანობის შენარჩუნებისთვის უნდა გადავიხადოთ საქართველოს მოქალაქეებმა, მრავალფეროვანია და დროისა და ჟამის კვალობაზე კიდევ მრავალგზის შეიცვლება. ფორმალური ერთიანობის სანაცვლოდ ჩვენ უნდა მოვითმინოთ, რომ აჭარაში არ ტარდება არჩევნები, ხოლო არჩევნების ნაცვლად ასლან აბაშიძე საქართველოს პარლამენტში ყოველ 4 წელიწადში ერთხელ დაგვინიშნავს 75 (ცოტა მეტს ან ცოტა ნაკლებს) ცოტნე ბაკურიას, სანდრო ბრეგაძეს, ჯემალ გოგიტიძესა და ანზორ აბრალავას...

უნდა მოვითმინოთ, რომ აჭარაში არჩევნებზე დამკვირვებლად ჩასულ ადამიანს არა მხოლოდ შეურაცხყოფა და ღირსების შელახვა, არამედ გაურკვეველი ვადით პატიმრობაც ემუქრება, მხოლოდ იმიტომ, რომ მან ხმის ამოღება და სიმართლის დაცვა გაბედა;

უნდა მოვითმინოთ, რომ ბათუმში მუდმივად იქნება რუსეთის სამხედრო ბაზა, ხოლო საქართველო მყარად იქნება რუსეთის გავლენის სფეროში;

უნდა მოვითმინოთ, რომ საბაჟო შემოსავლები, რომლითაც საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტი უნდა შეივსოს, ყოველთვის ასლანისა და მისი კლანის კეთილდღეობას მოხმარდება და დააკლდება საქართველოს რიგითი მოქალაქეების ისედაც მათხოვრულ ხელფასსა და პენსიას;

უნდა მოვითმინოთ, რომ ვინც საქართველოს საზღვარს ჩაქვთან გადალახავს, მას არა მხოლოდ უტიფრად გაფცქვნიან ასლანის მებაჟეები და მესაზღვრეები, არამედ ღირსებასაც შეულახავენ და საზღვრის გადამლახავს მოთმენის მეტი არაფერი დარჩენია;

უნდა მოვითმინოთ, რომ აჭარაში არ იქნება თავისუფალი სიტყვა და განსხვავებული აზრი, ვერ ჩატარდება მიტინგი და მანიფესტაცია, ვერ ჩავა რომელიმე პარტიის წარმომადგენელი და არ იარსებებს ოპოზიცია;

უნდა მოვითმინოთ მცირე ფაშას პერიოდული მუქარები, რომ თუ "წესიერად არ მოვიქცევით და ჭკუით არ ვიქნებით", დანარჩენ საქართველოშიც მისეულ წესრიგს დაგვიმყარებს და "ბათუმურ სამოთხეს" ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაგვივრცელებს.

მე, პირადად, ამის მოთმენას არ ვაპირებ. მე მირჩევნია, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, ვიდრე, სიმართლისთვის თვალის გასწორების სანაცვლოდ, ვითმინო ბაკურიები და აბრალავები, წამერთვას ხმის მიცემისა თუ ხმის ამოღების უფლება და შევეგუო ულირსებო ცხოვრებას.

და თუ ბათუმში, ქობულეთსა თუ ხელვაჩაურში არჩევნების ტოტალური გაყალბებისთვის თავისი სახელის დარქმევა აჭარის ლიდერს განარისხებს და იგი დაუმორჩილებლობას გამოუცხადებს საქართველოს ხელისუფლებას, ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ: ერთადერთი, რაც ამით შეიცვლება, ის არის, რომ მოგვიწევს უარი ვთქვათ თავის მოტყუებაზე და რეალობას გავუსწოროთ თვალი. რეალობა კი ის არის, რომ სანამ იქნება ასლან აბაშიძე და სანამ საქართველოს არ ეყოლება ძლიერი ხელისუფლება, მანამ აჭარა მხოლოდ ფორმალურად არის საქართველო.

ხოლო შორეულ პერსპექტივაში აჭარის პრობლემა საერთოდ არ არსებობს – იგი ყოველთვის იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი, რადგან ასე სურს თავად აჭარის მოსახლეობას.

პოზიცია

"მტკივიხარ, საქართველოვ"

(ეს დოჩანაშვილის სიტყვებია)

სოფო პეტრიაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი

"კარგია გაღვიძებული ქვეყანა!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულ-აღტკინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და თუ ვიპოვე ვეთაყვანები," - უთქვამს დიდ ილიას. ეს სიტყვები ამ ბოლო დროს მოსვენებას მიკარგავს. ნეტავ რას მოიმოქმედებდა ილია დღეს? როგორ შეაფასებდა იგი საქართველოში შექმნილ ვითარებას? - ვეკითხები საკუთარ თავს და პასუხის გაცემა მიჭირს. მიჭირს ალბათ იმიტომ, რომ ქვეყანაში, სადაც თითოეული ადამიანი რიაზანოვის ფილმ "გარაჟის" გმირად უფრო გრძნობ თავს, ვიდრე ჭეშმარიტ მოქალაქედ, რადგან "კარპუხინები" და "ბაზრის დირექტორები" მზისქვეშეთში მიწებს ინაწილებენ (და ვერ გაუყვიათ), სიმართლის მთქმელი კაცი კი საზოგადოებისათვის თეთრი ყვავია მხოლოდ, ძნელია მტყუანმართლის დადგენა, ძნელია, მაგრამ დროა. დროა ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი!

მე საბჭოთა კავშირში დაბადებული უპარტიო ქართველი ვარ. ამჟამად ვცხოვრობ ერთი შეხედვით თავისუფალ საქართველოში, რომელმაც, დღიდან დამოუკიდებლობის მოპოვებისა, უამრავი ტრანსფორმაცია განიცადა: შეიცვალა ყველაფერი, ყველაფერი, ხელისუფლების გარდა.

არ იფიქროთ, ადამიანების შინაგანი გამოღვიძების, ან კიდევ მათი ახლად შობისა არ მჯეროდეს, უბრალოდ ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. მაინც სად დაინახე ეს ბოლო? - მკითხავენ ზოგიერთები. რა თქმა უნდა, 14 ლარიან პენსიებში, უშუქობასა და უგაზობაში არა, არც არჩევნების გაყალბებასა და კორუფციაში (ან კი ეს რა სალაპარაკოა, როცა ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი ლარის კურსივით მყარია), მაგრამ პატივაყრილი სამოქალაქო ღირსება და შელახული თავმოყვარეობა რომ ვერაფრით დავიმშვიდე?

იქ, სადაც უსახლკარო ბავშვები ქუჩებში სიცივისაგან იხოცებიან, ხოლო მოხუცები საათობით დგანან რიგებში ერთი ჩამჩა სადილისა და რამდენიმე ნაჭერი პურის მისაღებად, ხელისუფლება კი დღენიადაგ (განსაკუთრებით კი ახალ წელსა და საპარლამენტო სესიების გახსნისას) წარმატებით განხორციელებულ პროექტებსა და გადაჭრილ პრობლემებზე საუბრობს, უნებლიედ მიჩნდება აზრი, რომ ლევ ტოლსტოი სწორედ ჩემი მთავრობის სახელით საუბრობდა, როდესაც წერდა: "მე ვაზივარ ადამიანს ზურგზე, ვაჭენებ მას და ვარწმუნებ საკუთარ თავსა და გარშემომყოფებს იმაში, თითქოს ძალიან ვარ შეწუხებული ამ პიროვნების მძიმე ხვედრით და ვაკეთებ ყველაფერს, რათა ტვირთი შევუმსუბუქო, გარდა იმისა, რომ მისი ზურგიდან ჩამოვიდე."

საპროტესტო აქცია პარლამენტის შენობასთან.

არა, არა, ასეთი საუბრით განტევების ვაცს ნამდვილად არ ვეძებ (ან კი რა საჭიროა, როცა ჩვენს ქვეყანაში მაინც არასდროს არავინ ისჯება, განტევების ვაცებიც კი), უბრალოდ გოგლა ლეონიძის იორამისა არ იყოს, მეც "თავისუფლების სურვილმა შემომიტია." აღარ მსურს ცხოვრება ისეთ ქვეყანაში, რომლის პირველი პირიც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობას საქართველოს პრეზიდენტობაზე უფრო მაღალ თანამდებობად მიიჩნევს, სადაც ხელისუფლება ჩრდილოელი მეზობლის ინტერესების გამტარებლად და დამცველად უფრო გვევლინება, ვიდრე - საკუთარი ქვეყნისა, სადაც ადამიანები სიმართლის თქმისთვის ისჯებიან.

ვიცი, ვიცი, საქართველო გარდამავალი ქვეყანაა, 10-12 წელი კი სერიოზული წინსვლისათვის საკმარისი არ არის, მაგრამ... განა ცოტაა?! ჩვენ კი რას მივაღწიეთ? სტაბილურობასა და სიმშვიდეს, - მიპასუხებს მავანი. დიახ, სტაბილურად გაუცემელი ხელფასები და პენსიები (რომ აღარაფერი ვთქვათ სტიპენდიებზე), სტაბილურად სეკვესტრირებული ბიუჯეტი, სტაბილურად გადაუხდელი საშინაო და საგარეო ვალები, სტაბილური ენერგოკრიზისი, სტაბილურად მოუგვარებელი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა მართლაც დიდი მიღწევაა. ასეთ ვითარებაში კი ნამდვილად გასაკვირია, რატომ გამოდის ხალხი ქუჩაში. ნეტავ რა სურთ? რევოლუცია! - ზიზღითა და სიბრაზით იტყვიან ისინი, ვისაც მანიფესტაციებმა სიმშვიდე და მყუდროება დაურღვიეს. სტაბილურობა და სიმშვიდე ვის არ უნდა, მაგრამ აქ უნებურად ილია მახსენდება: "რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდაბას ცარიელ სტვამაქით. ...ცარიელ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის."

არ იფიქროთ, ვინმეს ომისკენ მოვუწოდებდე, უბრალოდ, დამყაყებულ ფსევდომშვიდობას ნათელი მომავლისათვის ბრძოლა ნამდვილად მირჩევნია. მათ კი, ვისაც რევოლუციონერობა სალანძღავ სიტყვად გადაუქცევია, ისევ ილიას სიტყვები მსურს შევახსენო: "რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმდება ხოლმე. ასეა ყველაფერი ამ ქვეყანაზე."

ჩვენ ქვეყანაში კვლავ და კვლავ სამგლეთია. ხელისუფლებას დღემდე ვერ გაურკვევია, რომელი მხრიდან ამოდის მისთვის მზე. ცვლილებები არც ევოლუციური და არც რევოლუციური გზით, დიდი ხანია, არ ხდება და მე ვეკითხები საკუთარ თავს: რომელი ერის შვილი ვარ - ერისა, რომელმაც ილიას ესროლა ტყვია, თუ ერისა, რომელმაც ილია შვა?

www.24hours.ge
24
B

ნოდარ ლადარია

გასული კვირის განმავლობაში "24 საათი" საქართველოში განვითარებულ მოვლენებს აღწერდა... რა ბრიყვული წინადადება დავწერე. განა როდესმე სხვაგვარად იყო? მაგრამ ხანდახან მარტივი აზრის გამოთქმაც ძნელდება. ხომ გახსოვთ, შექსპირის მაჩაბლისეულ ვერსიაში ერთი, თუმც არაზუსტად, მაგრამ მაინც სხარტად თარგმნილი წინადადება: "ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის". ბოროტი კაცი, რა თქმა უნდა, ჰამლეტის ბიძაა, ძმის ტახტზე უკანონოდ ასული, მაგრამ ჯერ არ დამდგარა მისი სახელის აშკარად ხსენების დრო და უნებლიედ წამოწყებულ წინადადებას ჰამლეტი უმნიშვნელო და ბანალურ დასასრულს მიაკერებს. ჰამლეტს არ სურს გაამჟღავნოს ჭეშმარიტება, რომელიც ეუწყა. ჩემი მდგომარეობა ამის საპირისპიროა: მე ჭეშმარიტების ზუსტად და ცხადად გამოსათქმელ ფორმულას ვეძებ...

როგორ უნდა შეიცვალოს უმნიშვნელო გამოთქმა — "საქართველოში განვითარებული მოვლენები", — რომ ჩემი სტატიის პირველი წინადადება ყველასათვის ერთნაირად მისაღები და სინამდვილის რამდენადმე ამომწურავად გამომხატველიც გახდეს. "პარლამენტის წინ განვითარებული მოვლენები" თუმც ზუსტია, მაინც ლოკალურ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რისი საფუძველი გაცილებით უფრო ღრმაა, მდინარება კი გაცილებით უფრო ფართო. "ოპოზიციისა და ხელისუფლების დაპირისპირება" ასევე ზუსტია, მაგრამ მსჯელობა კერძო პოლიტიკურ სფეროში გადაჰყავს და რეალობის მრავალი ასპექტი მის მიღმა რჩება. "ხელისუფლებისა და ხალხის დაპირისპირებაც" ზუსტია, მაგრამ, ჯერ ერთი, ჩემი დღევანდელი მიზნების კვალობაზე ზედმეტად პათეტიკურად გამოიყურება, თანაც ვერაფერს მისცემს იმათ, ვინც დღეს "24 საათის" ყველაზე მნიშვნელოვან მკითხველებში შეიძლება ჩაითვალოს. მე ხელისუფლების წარმომადგენლებს ვგულისხმობ, რომლებიც არა მარტო დაჟინებით მისჩერებიან "რუსთავი-2"-ის ეკრანს, არამედ სხვა გაზეთებზე მეტად ალბათ "24 საათს" კითხულობენ. მე იმათაც ვგულისხმობ, ვისაც ეს წარმომადგენლები თავიანთ "რესურსებად" მოიხსენიებენ. სწორედ ამ უკანასკნელთა გულების მოპოვებაა საჭირო დღეს, რაც არ უნდა მცირედ გვეჩვენებოდეს მათი რაოდენობა...

ხელისუფლების რიტორიკა თუმც ყოველთვის უნიჭოა, მაინც საკმაოდ ძლიერადაა სტრუქტურირებული. მასში არსებობს "არალეგალური" ფენებიც. მაგალითად, ოპოზიციის ლიდერთა სომხური წარმოშობის შესახებ ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ხელისუფლების მიერაა მოტივირებული და სწორედ ასეთ "არალეგალურ" სტრუქტურულ ფენას მიეკუთვნება. ქვეყანაში, რომლის მეფეთა დიდი ნაწილი ან სომხის შვილი იყო, ან სომხის ქმარი (დავით აღმაშენებელი, მაგალითად ოსის ქალის ვაჟი იყო და ერთი ცოლიც სომეხი ჰყავდა), ეს საუბრები, უბრალოდ, ეროვნული თვითშეგნების დეგრადაციად შეიძლება აღვიქვათ.

"არალეგალური" რიტორიკის კიდევ ერთი კომპონენტი შემდეგნაირად გამოიყურება: "სააკაშვილი თავის ბიძაშვილებს არ ეხმარება და შენ მოგეხმარება?". აქ ჩემი ჯარში სამსახურის დროინდელი ერთი ზემდეგი მახსენდება და მისი შეკითხვა, რომელიც დამისვა, როცა ხორცის ქურდობაზე წავასწარით: "შენ რა, პატიოსნად იმუშავებ, როცა სამსახურს დაიწყებ?". იმედია, რომ ჩემს მკითხველს სახელმწიფოს მოქალაქეობა უნდა და არა უსუსური და ინფანტილური ადამიანებისაგან შედენილი ველურთა ტომის წევრობა. ამიტომ დიდხანს ნუ შევჩერდებით ამ "არალეგალურ" თემატიკაზე.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია შეწყალების თხოვნისა და მუქარის ის საკვირველი კომბინაცია, რომელსაც დღეს წარმოგვიჩენს პრეზიდენტ შევარდნაძის საჯარო გამოსვლები. თუ მათ ტექსტს ანალიზის წისქვილში დავფქვავთ და გულუბრყვილობისა და უგემოვნობის ქატოს მოვაშორებთ, ხელთ დაგვრჩება რამდენიმე არსებითი მომენტი. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ქართული მედიის დიდმა ნაწილმა ასე ხალისიანად აიტაცა, შემდეგია: **საქართველო ვერ გაუძლებს კიდევ ერთ სამოქალაქო დაპირისპირებას**.

უპირველეს ყოვლისა, ვნახოთ, რას ნიშნავს ეს "კიდევ ერთი". რა იგულისხმება? ცხადია, ხელისუფლება ცდილობს, დღევანდელი მოვლენების პრეცედენტებად დასახოს საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებული მღელვარება და ზვიად გამსახურდიას მთავრობის შეიარაღებული დამხობა. ჩვენ სხვაგვარად ვფიქრობთ: *ის, რაც საქართველოში დღეს ხდება, პირველად ხდება*. ეს პირველობა არაა განპირობებული კერძო განსხვავებებით — პირიქით, აქ სწორედ მსგავსებაა დამაბნეველი. ხალხმრავალი შეკრება და სამიტინგო გამოსვლების რუტინა პროცესის მხოლოდ გარეგნული და არაარსებითი მხარეა. ვცადოთ გარკვევა.

1989 წლის მოვლენებისგან მას არსებითად ის განასხვავებს, რომ მაშინ ისტორია მხოლოდ თბილისში, მთავრობის სასახლის წინ არ იწერებოდა. 9 აპრილი, თუმც შთამბეჭდავი და ქრესტომატიულად წმინდა, მაინც ერთი ეპიზოდი იყო სხვა მეტ-ნაკლებად ტოლფას ეპიზოდთა შორის: ყარაბახი, სუმგაითი, ბალტიისპირეთი... საბჭოთა კავშირის დაშლის სცენარი (მეტაფორული მნიშვნელობით ვამბობ, თორემ, არა მგონია, ასეთი რამ ნამდვილად არსებობდა) სხვაგან იწერებოდა. მაშინ მონაწილეთა მნიშვნელობა სრულიად ამოიწურებოდა მათი არჩევანით: ერთხელ გაკეთებული არჩევანი და მისდამი მტკიცე ერთგულება საბოლოოდ განაპირობებდა როლს, რომელსაც ისტორია თვითონ მიუჩენდა პიროვნებას, რომელსაც მეტი არაფერი მოეთხოვებოდა. მთავარი გაძლება იყო.

გარდა ამისა, მაშინდელი სისტემისათვის თვით მიტინგი იყო საფრთხობელა. პარტბილეთები მათი პატრონების მოჭრილი თავებივით მიტინგის კი არა, კედელზე წარწერების გამოც ცვიოდა. ამ ვითარებაში კი ხალხის თავყრილობა თავისთავად იყო ქმედითი, მიუხედავად მისი კონკრეტული შინაარსისა და მიმდინარეობისა. მიტინგი, როგორც ასეთი, იმდენად დიდი საშინელება იყო, ხოლო პარტბილეთის დადება იმდენად კატასტროფული აღსასრული, რომ იარაღის გამოყენება ხელისუფალთა მხრიდან არავითარ შინაგან დაბრკოლებას არ აწყდებოდა.

მეორე მხრივ, საკუთარი მჭევრმეტყველების ბრწყინვალებით, საკუთარი ხმის ჟღერადობით მოხიბლული მასისთვის მიტინგზე დგომა ლამის თვითკმარი ღირებულება იყო და მის იქით თვალსაჩინო წარმოდგენები ვერ აღწევდა. მოთხოვნილი თავისუფლება და დამოუკიდებლობა იქვე, მიტინგზე ხორციელდებოდა. ამიტომაც ამ უკანასკნელის შენარჩუნებისა და "არგაცივების" ამოცანა თითქმის არ იდგა: მიტინგი საკუთარი არსებობით იკვებებოდა და ტკბებოდა.

ჩვენი უახლესი ისტორიის მეორე საფეხურზე, როცა მიტინგებით მოსული მთავრობა თვითონ გახდა საზოგადოების ნაწილის მიტინგებითვე გამოხატული უკმაყოფილების ობიექტი, ვითარება სრულიად განსხვავებული იყო. ზვიად გამსახურდიას მთავრობისა და მის მომხრეთა უმრავლესობისთვის მიტინგზე დგომის სუბიექტური შეგრძნება თითქმის თანხვდებოდა მათ გონებაში არსებული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ობიექტურ რეალიზაციას. პერმანენტული მიტინგი მათ მიერ წარმოდგენილი და აგებული საქართველოს ერთადერთი ხილული ხატი იყო, ამიტომ ისინი მშობლიურ სტიქიაში აღმოჩნდნენ, რისი სიმბოლური გამოხატულებაც იყო რუსთაველის პროსპექტზე აღმართული კარავი. ორი (პირობითად ორი) ერთმანეთს დაპირისპირებული მიტინგი ერთმანეთის მიმართ სრულიად მოუწყვლადი აღმოჩნდა, მხარეთა არგუმენტები მხოლოდ ზღვად ქცეულ ემოციათა ზედაპირს აღელვებდა. პროცესები მათ მონაწილეთაგან დამოუკიდებლად განვითარდა და სრულიად ბუნებრივად ამოქმედდა ერთადერთი დარჩენილი საშუალება — იარაღი.

ამასთან, ზვიად გამსახურდიას იდეალი, თუმც გულუბრყვილო და არაადეკვატური, მაინც ბრძოლა იყო, ეს კი იდეურ მიმდევართა არსებობას გულისხმობს. პირველი პრეზიდენტის გაქცევასთან ერთად ამ მიმდევრებმა ჯერაც განუხორციელებელი იმედები და პერსპექტივები დაკარგეს. ამისთვის კი ყოველთვის ღირს ბრძოლა. სწორედ ამ საფუძველზე დაიწყო და გაგრძელდა მოვლენათა ის ერთობლიობა, რომელსაც დღეს ხშირად სამოქალაქო ომს უწოდებენ. მართალია, იდეალთა ფაქტობრივმა სიცარიელემ ბრძოლა მალე გადააგვარა ბანალურ ძარცვა-გლეჯად, თანაც საგრძნობლად შეაყოვნა სხვა ბუნებრივი პროცესი: ფინანსური ოლიგარქიის ჩამოყალიბება. შევარდნაძის ფუნქცია ყველაზე მკაფიოდ სწორედ ამ შეყოვნებული პროცესის სტიმულირებაში გამოიხატა.

დღეს ჩვენი ისტორიის წინა ორი მტკივნეული საფეხურისაგან ძალიან განსხვავებული რამ ხდება და ამას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისთვის მძიმე შედეგები მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება მოჰყვეს: თუ დამარცხდება სამეული — სააკაშვილი, ჟვანია, ბურჯანაძე.

ამ გარემოებაზეა დამყარებული სახელისუფლო რიტორიკის კიდევ ერთი ატრიბუტი: მათ მიერ წამდაუწუმ ხდება პედალირება იმ იდეისა, რომ ოპოზიციური ლიდერები "ხალხის სიკეთისთვის" კი არა, "საკუთარი კარიერისთვის" იბრძვიან. თითქოს ამ ორი ფაქტორის თანხვედრა არ უნდა იყოს ჩვენი საერთო მიზანი!

დამარცხებაზე საუბარი არ მსურს. თუნდაც იმიტომ, რომ ეს პერსპექტივა არაა მკაფიოდ განსაზღვრული. ასლან აბაშიძის საფრთხობელას ნამდვილად ვერ გავუწევ ანგარიშს: ამ კაცის პირადი ფობიები სასაცილოდ აქცევს მისი საქართველოში გაპრეზიდენტების პერსპექტივას. მაგრამ გამარჯვებას გაცილებით უფრო მეტი ფიქრი სჭირდება დღეს და ყველაზე საგანგაშო ნოტი ჩემთვის დღეს ხელისუფლებიდან არ ისმის, არც ოპოზიციის ლიდერთა ერთიანობის საკითხი მადარდებს მაინცდამაინც. ყველაზე საშიში შეკითხვა საზოგადოების მხრიდან მომდინარეობს დამაფიქრებელი სიხშირით.

ამ შეკითხვით ლიდერებს მიმართავენ: *რას მოიმოქმედებთ გამარჯვების შემთხვევაში?*

არა, თვით შეკითხვაში არაფერია საშიში და სასოწარმკვეთი. პირიქით, სრულიად ბუნებრივია, რომ საზოგადოებას აინტერესებს საკუთარი მომავალი. მაგრამ შეკითხვის უკან შეიძლება საშიში რამ იდგეს: **უტყვი მოლოდინი**. სწორედ აქ ძევს არსებითი განსხვავება დღევანდელ მოვლენებსა და ჩვენს უახლოეს წარსულს შორის. დღეს პირველად საქართველოს ისტორიაში ხალხის მასა არაა არც უფრო ფართო ისტორიული პროცესის სტატისტი და არც საკუთარი წარმოდგენებისა თუ გრძნობების მონა. კინემატოგრაფისტთა ჟარგონზე რომ ვთქვათ, მასა აღარაა "მასოვკა" — ის მთავარ პერსონაჟად იქცა.

ხომ გასაგებია, რომ დღეს მიტინგისა და პროტესტის არსებობა უკვე აღარ კმარა იმისთვის, რომ ხელისუფლებას თავზარი დასცეს. პირიქით, ამ პროტესტის არსებობა და დაუფარავობა ხელისუფლებას ხელსაც კი აძლევს, რა თქმა უნდა, გარკვეულ ზომამდე. არც სამოქალაქო ომის აჩრდილი უნდა გვაშინებდეს მაინცდამაინც: შევარდნაძეს იდეური მიმდევრები არა ჰყავს. მის უახლოეს გარემოცვას ბევრი აქვს დასაკარგი — იარაღს ისინი არ აიღებენ ხელში, ასეთ რისკს არ არიან მიჩვეულნი: დიდი-დიდი, თავი მოუყარონ ნაქურდალს და აქედან დაითესონ. უფრო მეტი მათგანი ახალ ვითარებაში შეეცდება ადაპტაციას და უმრავლესობას გამოუვა კიდეც. ეგ არაფერი: დღეს აღარავინ აპირებს იმის ყვირილს, რომ შევარდნაძის რეჟიმი დანაშაულებრივია, როგორც, მაგალითად, ნაცისტური პარტია; შევარდნაძის მთავარი დანაშაული მის უსუსურობაშია.

სწორედ ეს უსუსურობა არის არა მარტო ჩვენი ბრძოლის ძირითადი მოტივი, არამედ ჩვენი გამარჯვების უმნიშვნელოვანესი საწინდარი. პრაქტიკულად შევარდნაძის რეჟიმი დამთავრდა, ის აღარ არსებობს. პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა არაა უკმაყოფილოთა ბოლმის გამოხატულება, ეს ლოგიკური სურვილია, რომ სინამდვილის ფორმა და შინაარსი ერთმანეთის შესაბამისი გახდეს. შევარდნაძის გადადგომა რაღაც დიდი და არნახული მიღწევა კი არა, ყოფითი აუცილებლობაა ჩვენთვის.

აი, ამ განწყობით უნდა შევუდგეთ საქმეს ჩვენ, ქართველი საზოგადოება. ახლა ჩვენ უნდა ავიღოთ ხელში ვითარების მართვა და იმით დავიწყოთ, რომ საკუთარ თავს და სხვებსაც ვაჩვენოთ: შევარდნაძის გარეშე არსებობა შესაძლებელია. დიახ, შესაძლებელია ახლავე, ჯერ კიდევ პრეზიდენტის თანამდებობაზე მისი ფორმალური ყოფნისას. დავაკვირდეთ, რისი ეშინიათ ყველაზე მეტად? — თავისუფალი მედიისა, თავისუფალი აზრის მიტანისა ჩვენი ქვეყნის ყველაზე შორეულ კუნჭულამდე. სწორედ აქედან უნდა მივაყენოთ გადამწყვეტი დარტყმა...

ამ პირობებში მიმაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტმა და რაც შეიძლება მეტი ვილაპარაკოთ. ნუ ვეკითხებით ოპოზიციის ლიდერებს, რას აპირებენ. ვუკარნახოთ მათ. გვქონდეს მჭიდრო და პირდაპირი კონტაქტი მათთან, ვინც ჩვენს წარმომადგენლებად დავსახეთ და ავირჩიეთ. ვიცხოვროთ ისე, თითქოს მოწინააღმდეგე არ არსებობს. გამოვკვეთოთ და ჩამოვაყალიბოთ საკუთარი მოთხოვნები.

დღეს ჰამლეტისეული ყოყმანი დაუშვებელია, რადგან ერთადერთი კანონი მოქმედებს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში: ვინც

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge

ხალხის არჩევანი

1. მიგაჩნიათ თუ არა, რომ მთავრობა და პრეზიდენტი უნდა გადადგეს?
2. ხედავთ თუ არა რეალურ ძალას, რომელსაც შეუძლია ჩაიბაროს ქვეყნის ბედი?
3. ამ აქციებმა მიაღწია თუ არა რაიმე მიზანს?

ზურაბ კიკნაძე

ფილოლოგი

1. უნდა გადადგეს. ამბობენ, რომ ეს ანტიკონსტიტუციურია. ამიტომ, ამ პროცედურამ კანონიერი სახე რომ მიიღოს, სწორედ პრეზიდენტმა უნდა დანიშნოს ვადამდელი არჩევნები, თავად კი უნდა გადადგეს.

2. რატომაც არა. კონკრეტულად არ ვასახელებ, მაგრამ უკვე ნამდვილად არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია ქვეყნის ბედის ჩაბარება.

3. მე ასე ვიტყოდი: აღწევს მიზანს. ძალიან შთამბეჭდავი იყო, რაც მოხდა. ყველაფერ ამას მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ საქართველო აზერბაიჯანი არ არის. დღეს უკვე ნამდვილად მჯერა, რომ ქართველი ხალხი იმას მაინც არ დაუშვებს, რომ აჭარის რეჟიმი მთელ საქართველოზე გავრცელდეს.

გოჩა კაპანაძე

რეჟისორი

1. თუ არ შესრულდა ის პირობები... ყოველ შემთხვევაში მთავრობა უნდა გადადგეს.

2. ალბათ.

3. რა თქმა უნდა, კარგი იქნება თუ მოლაპარაკების პროცესი გაგრძელდება. მთავარია ის, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს შეთანხმება, სხვანაირად გამორიცხულია, რასაკვირველია - კანონის ფარგლებში. ჩემი აზრით, ოპოზიცია არაფერს უკანონოს არ ითხოვს. კეთილი ინებოს მთავრობამ და წავიდეს დათმობებზე, რომელიც, სხვათა შორის, შესაძლებელია.

ნოდარ მალაზონია

საქართველოს სახალხო მხატვარი

1. დიახ, პრეზიდენტს აქვს შანსი, "ღირსებითა და პატივით უკუიქცეს".

2. დიახ, ვხედავ. არის ასეთი მამაცი კაცი და ქალბატონი, რომლებიც ერთმანეთს აწონასწორებენ.

3. მხოლოდ და მხოლოდ ისეთივე სიმტკიცით, როგორც დავიწყეთ, ასეთი შემართებით, სიმტკიცით და ერთიანობით, სხვანაირად - არა.

დათო ტურაშვილი

მწერალი

რუსთაველზე პირველად 1988 წლის 22 ნოემბერს დაწყებულ აქციაზე აღმოვჩნდი და მას შემდეგ აქ, პარლამენტის წინ ვდგავარ, რადგან "სხვაგვარად არ ძალმიძს", მაგრამ თბილისის ქუჩებში საპროტესტოდ გამოსული ამდენი ხალხი არასოდეს მინახავს. რუსთაველზე გამოსული რამდენიმე ათეული ათასი ადამიანიც არასოდეს ყოფილა ასეთი სოლიდარული და ერთიანი, მშვიდი და ბედნიერი, სწორედ იმის გამო, რომ საქართველოში, თურმე, არსებობს თუნდაც ერთი თემა და საკითხი, რომლის გამოც, ადამიანებს შეუძლიათ გაერთიანდნენ საქართველოშიც კი – იმ ქვეყანაში, სადაც იმდენი აზრია, რამდენი ადამიანიც ცხოვრობს...

მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ამ ადამიანებს აღარ სურთ იმ ტოტალურ ძღნერში ცხოვრება, რომელშიც ყველას გვითრევენ და ჩვენ კი სხვა საქართველოზე ვოცნებობდით, სხვა საქართველოსთვის გავიღეთ ამდენი სისხლი და ცრემლი...

ჩვენს საზოგადოებას კი აღარ სურს სისხლის დაღვრა და ხელისუფლების გაუგონარ ძალადობას მაინც მშვიდობიანი აქციით პასუხობს, რადგან ჩვენ უკვე გავიზარდეთ, როგორც საზოგადოება და ის აღარა ვართ, რაც, თუნდაც, ათი წლის წინ ვიყავით.

ჩვენ მივხვდით, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი ნებისმიერ ჩვენგანზეა დამოკიდებული და ამიტომაც დგას ამდენი ხალხი თბილისის ქუჩებში და თუ თავის ქებაში არ ჩამომერთმევა, იმასაც ვიტყვი, რომ მართალი ვიყავი, როცა ვამბობდი, რომ ჩვენ ის ქვეყანა ვართ, სადაც შიმშილსა და უხელფასობას მოითმენენ, მაგრამ შეურაცხყოფას – არასოდეს. ეს ხალხი თავის მომავალს იცავს და ემხრობა და არა რომელიმე პარტიას და მის ლიდერს, როგორც ეს ხელისუფლებას სურს რომ იყოს.

ეს ხალხი ღირსებისა და თავისუფლებისათვის ოცდაათი საუკუნეა იბრძვის და ეს ქვეყანაც მანამ იარსებებს, სანამ უკანასკნელი ქართველი ღირსებაზე იფიქრებს და თავისუფლებაზე იოცნებებს...

აკაკი დვალიშვილი

რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

1. პრეზიდენტი უნდა გადადგეს, რასაკვირველია, რადგან ათი წლის განმავლობაში, ვერ შეძლო ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტრატეგიის შექმნა. სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ქვეყნისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ამის მიზეზი გახლავთ პოლიტიკური ეგოცენტრიზმი, რითაც შეპყრობილია ბატონი პრეზიდენტი. მას უნდა შეექმნა ქართველი ეკონომისტების გუნდი, მაშინ, როდესაც ორი ეკონომიკის ინსტიტუტი არსებობდა, სადაც საკმაოდ განათლებული და კვალიფიცირებული კადრები იყო, შემოეკრიბა იურისტები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები და ამასთან ერთად უცხოეთიდან სპეციალისტებიც მოეწვია, რადგან ჩვენ ამის გამოცდილება არ გვქონდა; და ასე, ყველასთან ერთად უნდა ჩამოეყალიბებინა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური კონცეფცია. ჩვენ ათი წელიწადია, ყოველგვარი კონცეფციის გარეშე ვცხოვრობთ. კაცმა წინასწარ ხომ უნდა იცოდე, თუ როგორ ქვეყანას აშენებ. გახსოვთ, ალბათ, როდესაც საქართველოში ბალცეროვიჩი იყო ჩამოსული, სამი წლის შემდეგ იკითხა, - კი მაგრამ, მითხარით ერთი, რა ქვეყანას აშენებთო. აი, ასეთ მდგომარეობაშია ეს ე.წ. კონცეფცია და ამ კონცეფციის რეალიზაციისათვის, შეიძლებოდა, ეხელმძღვანელა მას, როგორც გამოცდილ ადამიანს. მთელი უბედურება ისაა, რომ მან საკმარისად ჩათვალა თავისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს ახალი ქვეყნის მშენებლობასთან და ამიტომაც ქვეყანა გაკოტრებული აღმოჩნდა.

გიორგი შევარდნაძემ უნდა მოუხმოს ეროვნულ პასუხისმგებლობას. თუ ის მართლაც ქრისტეს მოძღვრების ერთგულია, მივიდეს სიონის ტაძარში და პატიება სთხოვოს ღმერთსა და საქართველოს, რომ ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა ქვეყანა.

2. ამ ათი წლის განმავლობაში პრეზიდენტს ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ შემოეკრიბა განათლებული და ნიჭიერი ახალგაზრდობა და სახელმწიფო კურსთან ერთად აღეზარდა ისინი. რას ვხედავთ ამ ათი წლის განმავლობაში, გარდა იმისა, რომ დააპირისპირა ეს ადამიანები, გახლიჩა, გათიშა და ერთმანეთი დააჭმევინა. იგი ამ ხნის განმავლობაში "გათიშე და იბატონეს" პრინციპით მოქმედებდა.

მიჭირს ასე კატეგორიულად იმათი გვარების დასახელება, ვისაც დღეს საქართველოს ბედი შეუძლია ჩაიბაროს, მაგრამ, ალბათ, უნდა ვიფიქროთ, რომ მეტ გონიერებასა და სიდინჯეს გამოიჩენს დღევანდელი ოპოზიცია და როგორმე შეძლებს პროტესტის ბოლომდე მიყვანას. ერთი რამ არ მომწონს, რაც დღეს ხდება ოპოზიციაში - სულ ერთსა და იმავეს ლაპარაკობენ, - გავერთიანდეთ, პრეზიდენტი გადადგეს... მათ უკვე ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეთ. ეკონომიკური სიბრძნეა საჭირო. მე, სამწუხაროდ, გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ ჯერჯერობით პარლამენტის წინ მდგარი ოპოზიციონერების გამოსვლაში სიღრმისეული მოსაზრებები არ მესმის. მე გახლდით პარასკევს, 4 საათზე აქციაზე, მაგრამ ცოტა გულნაკლული დავრჩი; მიხეილ სააკაშვილი ნიჭიერი კაცია, ზურაბ ჟვანია გაწონასწორებულიცაა და ნიჭიერიც, განსაკუთრებული სიმპათია კი მინდა, გამოვხატო ქალბატონ ნინო ბურჯანაძის მიმართ. მე მიმაჩნია, რომ დღეს კაცი ვერ იხსნის საქართველოს - ქალი უნდა ჩაუდგეს, ანდა, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, - დედაკაცი უნდა ჩაუდგეს სათავეში; მხოლოდ ამ დედაკაცს მხარში ამოდგომა სჭირდება და მთელი, ასე ვთქვათ, ინტელექტუალური საქართველო – ეკონომისტები, იურისტები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები, იქ უნდა იყვნენ; ერთად ჩამოაყალიბონ სახელმწიფოებრივი კონცეფცია და სტრატეგია და ამ დებულებებით უნდა ელაპარაკონ ხალხს, თორემ ეს ერთი და იგივე, – გადადგეს შევარდნაძე, - ყველამ მშვენივრად ვიცით. საჭიროა, უფრო ინტელექტუალურ-მეცნიერული, ოღონდ, რასაკვირველია, ხალხისათვის მისაწვდომი ფორმით იმ ძირითადი საფუძვლების ჩამოყალიბება, რაზედაც მომავალში ააშენებენ ქვეყანას. ამის შესახებ უნდა უთხრან ხალხს.

3. მიზანს ბოლომდე მიაღწევს თუ არა, დანამდვილებით ვერ გეტყვით, თუმცა იმედი მაქვს, რომ მიაღწევს. მიუხედავად ძალიან რთული სიტუაციისა, რომელიც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაშიც არსებობს. რა გამოიძებნება, ძალიან ძნელია ამის თქმა, მაგრამ ერთი რამ უნდა მოგახსენოთ, 50 ათასი კაცი საქართველოში არასდროს არ შეყრილა და არასდროს არ გამოუთქვამთ ერთი აზრი. ეს მოხდა, რაც არის უზარმაზარი ეტაპი ქართველი კაცის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩემი აზრით, ეს, თავისთავად, ძალზედ მნიშვნელოვანია. მე იმედითა ვარ და ღმერთმა იმედი ნუ მომიშალოს, რომ ეს მიტინგები, გამოსვლები, შეძახილები, – გაუმარჯოს საქართველოს, - ალბათ, კეთილ დასასრულს მოიტანს.

ნანა ჯანელიძე

რეჟისორი

1. უნდა გადადგეს, ოღონდ ეს ყველაფერი სამართლებრივად უნდა გაფორმდეს - უნდა მოხდეს, ასე ვთქვათ, გადადგომა და არა ჩამოგდება, რადგანაც ამ ყველაფერს ჰქონდეს აზრი მომავლისათვის.

2. ძალიან მინდა, რომ ვხედავდე.

3. რომელ მიზანს; რაღაც რომ უნდა შეიცვალოს, ფაქტია, მაგრამ რა არის კონკრეტული მიზანი, მხოლოდ პრეზიდენტის შეცვლა თუ კიდევ სხვა უფრო დიდი რეფორმა, არ ვიცი.

ზურაბ კიკნაძე

გოჩა კაპანაძე

დათო ტურაშვილი

ცხელ წერტილებში მოხეტიალე

ტომას დვორჟაკი – ომის ფოტოგრაფი თბილისში ბრუნდება

ვერა ნეფარიძე

რომ არა ბოლო დროს მსოფლიო მასმედიისა და საზოგადოების ინტერესი საქართველოში განვითარებული მოვლენებისადმი, ავტორიტეტული ფოტოსააგენტოს "მაგნუმის" წევრი ტომას დვორჟაკი თბილისში, ალბათ, კიდევ კარგა ხანს ვერ ჩამოვიდოდა. მიზეზი კი დედამიწაზე "ცხელი წერტილების" სიმრავლე და ფოტოგრაფის ამასთან დაკავშირებული მოუცლელობა იქნებოდა. მაგრამ, "ომის ფოტოგრაფიის" ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, მეოთხე დღეა, თბილისშია...

ტომასს ეცინება, როდესაც საქართველოში დაბრუნების მიზეზად სამოქალაქო დესტაბილიზაციას "ასაღებს". ეცინება, იმიტომ, რომ საქართველოდან წასვლის (1996 წელი) შემდეგ სად აღარ მოუწია ყოფნა: ჩეჩნეთში, ავღანეთში, მაკედონიაში... ხოლო ის, რაც ჩვენთან ხდება და რის გადასაღებადაც იგი ჩამოვიდა ამჯერად, მისთვის პროფესიული ინტერესის სფეროს ნაკლებად წარმოადგენს. თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციები პროფესიონალი ფოტოდოკუმენტალისტისთვის, უბრალოდ, შესანიშნავი "მიზეზი" აღმოჩნდა, მოენახულებინა ახლობელ-მეგობრები, ვისთანაც სამწლიანი აქტიური კავშირების შემდეგ მეგობრული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა.

ტომას დვორჟაკი გერმანიაში დაბადებული, წარმოშობით ჩეხი ფოტოგრაფი ვიდრე ავტორიტეტულ სააგენტო "მაგნუმში" გაწევრიანდებოდა, საქართველოში, შეიძლება ითქვას, შემთხვევით მოხვდა. მისი, როგორც დამოუკიდებელი ფოტოგრაფის ინტერესის სფერო იყო და რჩება აღმოსავლეთ ევროპა. არჩევანი იმდენად ამოუწურავი აღმოჩნდა, რომ მისი გეოგრაფიული საზღვრები დღემდე იზრდება და, შესაბამისად, სამუშაოც თავსაყრელია. დვორჟაკი საქართველოში პირველად ცხრა წლის წინათ მოხვდა. "ჩამოვედი ორი კვირით და დავრჩი სამ წელიწადს", - იხსენებს თავად ფოტოგრაფი. ზუსტად არც ახლა იცის, რამდენ ხანს გაჩერდება ამიერკავკასიული მოვლენების ეპიცენტრში: "კვირის დასაწყისს დაველოდები და იმის მიხედვით გადავწყვეტ ყველაფერს", - მარტივად წყვეტს საკითხს სტუმარი.

დვორჟაკის საქართველოში დაბრუნებას ოფიციალური მიზეზიც აქვს - "ნიუ ორკერის" შეკვეთა. "მართალია, შეკვეთამ კომერციულად არ დამაინტერესა, მაგრამ ეს იყო შანსი, მენახა ჩემი მეგობრები თბილისში", - გვეუბნება ტომასი. თბილისში გატარებული სამი დღის განმავლობაში ფოტოგრაფმა დამკვეთებისთვის რაღაც-რაღაცების გადაღება მოასწრო. გუშინ იგი ფილარმონიაში პოლიტიკური გაერთიანება "ბურჯანაძე-დემოკრატების" შეკრებასაც დაესწრო, დღეიდან კი უკეთესი "მასალის" გამოჩენის იმედი აქვს. თუ არა და, არც ეს იქნება მისთვის ტრაგედია: თბილისელმა კოლეგებმა უკვე "იზრუნეს" მის განტვირთვაზე. ტომასთან გასაუბრების საშუალება გურამ წიბახაშვილის სახელოსნოში მოგვეცა - გუშინ დვორჟაკის სანახავად აქაური ფოტოგრაფები სწორედ გურამთან იკრიბებოდნენ. კოლეგები საუბრობდნენ "მაგნუმზე" (იქ მოხვედრა, ალბათ, ყველა ფოტოგრაფის ოცნებაა), თანამედროვე ფოტოგრაფიაზე, კონფლიქტურ ზონებზე და სხვა უამრავ თემაზე.

"არ მსურს, საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკა შევაფასო, მაგრამ, უბრალოდ, მეცინება, როდესაც დღეს საუბრობენ შევარდნაძისა და მილოშევიჩის რეჟიმების მსგავსებაზე. ალბათ, საშინელებებსაც აქვს თავისი დონეები და ის, რაც თქვენთან ხდება, სწორედ ერთ-ერთი დონეა. ერთი წელიწადი ვიმუშავე ყოფილ იუგოსლავიაში. იქ გაცილებით სხვაგვარად იყო ყველაფერი. მილოშევიჩმა ერთდროულად სამი სახელმწიფოს წინააღმდეგ წამოიწყო ომი, სადაც დაიხოცა ასობით ათასი ადამიანი. გასაგებია, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს და ხალხი ამისთვის იბრძვის, მაგრამ ეს არ არის ამ სიტუაციის იუგოსლავიასთან დაკავშირების ობიექტური საბაბი", - საერთოდ, კონფლიქტურ ზონებთან დაკავშირებულ თემებზე დვორჟაკს საათობით შეუძლია საუბარი; ასევე, გატაცებით საუბრობს თანამედროვე ფოტოგრაფიაზე, მის პრობლემებსა თუ ღირსებებზე.

ფოტოგრაფიაში დვორჟაკი, როგორც თვითონ ამბობს, "ქუჩიდან" მოხვდა; წაკითხული ჰქონდა ორად-ორი წიგნი, აღარც ახსოვს რა ისწავლა იქედან. მანამდე ისწავლა ინგლისური, ფრანგული და ისტორია; დიდ დროს უთმობდა ფოტოგრაფიით გატაცებას - როგორც ხდება ხოლმე, იღებდა ყველაფერს, რაც საინტერესო ეჩვენებოდა. 1991 წლიდან დამოუკიდებელი ფოტოგრაფის სტატუსით მუშაობდა პრაღაში, მოსკოვში; აღბეჭდავდა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხის ცხოვრებას; 1994 წელს ჩამოვიდა საქართველოში, სადაც, თითქმის, სამ წელიწადს დარჩა; 1996 წელს ბათუმში ფოტოგრაფთა ერთობლივ გამოფენაშიც - Conflicts in the Transcaucasus მიიღო მონაწილეობა; თბილისიდან იგი დადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში; ჩეჩნეთის ომის თემაზე გადაღებული სერიოზული ფოტოსერიებისთვის დვორჟაკმა ორგანიზაცია "მსოფლიო პრესის" ჯილდოც დაიმსახურა; მოგვიანებით მუშაობა დაიწყო ფრანგულ ფოტოსააგენტო "ვოსტოკ პრესში"; წორედ ამ პერიოდში ახლობელმა ურჩია, განაცხადი შეეტანა "მაგნუმში": "ამ სააგენტოში მოხვედრა ჩემთვის შესანიშნავი სიურპრიზი იყო. არ არსებობს დედამიწის ზურგზე იმაზე უკეთესი პირობები ფოტოგრაფისთვის, რაც "მაგნუმს" აქვს. ძალიან მომწონს გაზეთებთან თანამშრომლობა, მაგრამ არ შემიძლია ვიყო შტატიანი თანამშრომელი", - ამბობს "მაგნუმის" ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა წევრი (დვორჟაკი 28 წლის იყო, როდესაც ამ სააგენტოში გაწევრიანდა). ამჟამად ფოტოგრაფი თანამშრომლობს ისეთ გამოცემებთან, როგორებიცაა: "ნიუ იორკერი", "ნიუსვიკი", "პარი მატჩი" და სხვა.

"კაპასა და ბრესონის შემდეგ უნდა შეიცვალოს ფოტოგრაფიისადმი მიდგომა. კაპამ "ომის ფოტოგრაფია" შექმნა, მაგრამ მას მხრებზე არ აწვა ორმოცწლიანი გამოცდილება - ის პირველი იყო. ახლაც უნდა გამოჩნდნენ ისეთები, ვინც ახლებურად დაგვანახებს ფოტოგრაფიის შესაძლებლობებს. იმას, რასაც დღეს ძირითადად იღებენ, 5-6 წლის შემდეგ არსებობა არ უწერია, ფოტო მხოლოდ დოკუმენტის ფუნქციას არ უნდა ასრულებდეს", - შეასრულებს თუ არა დვორჟაკის ნამუშევრები ფოტოდოკუმენტაციაზე მეტ როლს, ამას მომავალი აჩვენებს. დღეისათვის კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ 31 წლის ფოტოგრაფმა გარკვეული ავტორიტეტი მოიპოვა. ტომას დვორჟაკი რამდენიმე კატალოგის ავტორია. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს წელს დიდ ბრიტანეთში გამოცემული "თალიბები"; ავღანელი ტერორისტების ფოტოების ავტორი, რა თქმა უნდა, დვორჟაკი არ არის; ევროპელმა ფოტოგრაფმა ავღანელი კოლეგებისგან შეიძინა ფოტოსტუდიებში გადაღებული იარაღიანი თალიბების ფოტოები და ამით მსოფლიოს დაანახა, როგორ ვერ ძლევდნენ ავღანელი თალიბები ცდუნებას, - ისტორიას შემორჩენოდა მათი "ვაჟკაცური" როლები. კატალოგი საკმაოდ პოპულარულია ევროპაში. რას წაიღებს საქართველოდან ტომას დვორჟაკი, ამას მოგვიანებით შევიტყობთ რომელიმე პერიოდული გამოცემიდან ან, ისევ და ისევ - "მაგნუმის" ვებ-საიტიდან, თუ, რა თქმა უნდა, ევროპელ ფოტოგრაფს უახლოესი დღეების განმავლობაში საამისოდ საჭირო გარემო შეექმნება.



პირველი ვარიაციები "ოსკარსა" და "გრემზე"

"გრემისა" და ოსკარის" ცერემონიალები თებერვალშია დაგეგმილი. თუმცა, ჟურნალი "ბილბორდი" საზეიმო სეზონს ნაადრევად ხსნის და მათ შესახებ საუბარს პირველი იწყებს. ისე, ამაში გასაკვირი არაფერია. დასავლური პოპ-კულტურა ხომ ყოველთვის უსწრებს დროს. ჟურნალები ერთი თვით ადრე გამოდის (დეკემბრის Q ან "ვოგი" ნოემბერში იყიდება), საშობაოდ მზადება კი ოქტომბრიდან იწყება.

ცხოვრების ეს აჩქარებული ტემპი ვრცელდება მუსიკალურ სამყაროზეც. და კრიტიკოსები უკვე იწყებენ ფიქრს იმაზე, თუ ვის რა დოზით ელის წარმატება მომავალ "ოსკარსა" და "გრემზე".

"ბილბორდი" პირველ მიმოხილვას ფილმების თანმხლები მუსიკის კომპაქტებს უძღვნის და ფავორიტთა ვინაობას გვიმხელს.

ფილმისთვის დაწერილი საუკეთესო ორიგინალური მუსიკა – "ოსკარის"ამ ნომინაციაზე, სავარაუდოდ, წარადგენენ კლინტ ისტვუდს "მისტიკური მდინარით" და რეიჩელ პორტმანს "ადამიანური ლაქით". პორტმანი გახლავთ 1997 წელს გამოსული ფილმის "ემას" კომპოზიტორიც, რისთვისაც ის ერთ "ოსკარს" უკვე ფლობს კიდეც.

"ოსკარი" ინახება კლინტ ისტვუდის ბუხრის თავზეც. ოღონდ ის ისტვუდს გადასცეს, როგორც 1992 წლის სურათის Unforgiven-ის რეჟისორს. ასე რომ, ამერიკის კინოაკადემიას ჯერაც არ ულიარებია, რომ კანის წლევანდელ ფესტივალზე საპატიო პრიზით დააჯილდოებული მსახიობი და რეჟისორი შესანიშნავ მუსიკასაც წერს.

მესამე პრეტენდენტია ფილ ქოლინზი, რომელიც ბოლო დროს წარმატებით თანამშრომლობს "დისნეისთან". ქოლინზის ახალი ფილმი "ძმა დათვიც" "დისნეის" ნაწარმოებია. "ბილბორდის" კრიტიკოსების ვარაუდით, მუსიკოსი "ოსკარის" ან "გრემის" საუკეთესო ორიგინალური სიმღერის ნომინაციაში მოხვდება – "ძმა დათვში" გამოყენებული სიმღერებისთვის: No Way Out და Look Through My Eyes.

გასათვალისწინებელია კომპოზიტორი ბიძაშვილების რენდი და ტომას ნიუმანების ძალაც. სავარაუდოდ, თებერვლის ორივე ცერემონიალზე ხშირად გაჟღერდება ორივე ნიუმანის გვარიც – რენდი "უნივერსალ ფიქჩერზის" ბლოკბასტერის Seabiscuit-ის მუსიკის ავტორია, ტომასი კი – კინოსტუდია "ბუენა ვისტას" "ვეძებოთ ნემოს" მუსიკის შემქმნელი. სხვათა შორის, ეს ანიმაციური ფილმი თბილისშიც ძალზე პოპულარული გახლავთ.

თუ კინოკრიტიკოსები "ცივი მთის" ხსენებაზე ნიკოლ კიდმანისა და ენტონი ჰოპკინსის არტისტულ ტალანტზე ბჭობენ, მუსიკის კრიტიკოსები აღტაცებულნი ახსენებენ თი ბოუნ ბარნეტის სახელს. ის ამ ფილმის თანმხლები მუსიკის ავტორი გახლავთ. სხვათა შორის, "ოსკარს" უწინასწარმეტყველებენ თვითონ ფილმსაც.

წლევანდელი "გრემისა" და "ოსკარის" ცერემონიალებზე არც ჰიპ-ჰოპისა და ემინემის თაყვანისმცემლები დარჩებიან გაწბილებულნი. ფილმი "8 მილი" ან საუკეთესო ორიგინალური სიმღერის ნომინაციაში მოხვდება – ჰიტისთვის Lose Yourself, ან მეტიც – ფილმის თანმხლები ალბომის ნომინაციაში.

"გრემი" უცილობლად მიაგებს პატივს ალბომებს, რომლებიც მიუზიკლისთვის - "ჩიკაგო" და ტელესერიებისთვის, "მარტინ სკორსეზე წარმოგიდგენთ საუკეთესო ბლუზს," შეიქმნა. არ დაივიწყებენ არც "მირამაქსის" ნაწარმოებს "ფრიდას", რომელიც შარშან "ოსკარითა" და "ოქროს გლობუსით" დაჯილდოვდა და მას წლევანდელი "გრემის" ნომინაციაშიც მოიხსენებენ.

და ბოლოს, ვარაუდები ვარაუდებად, რეალური ნომინანტების სია კი "გრემის" ცერემონიალისთვის 4 დეკემბერს გამოცხადდება, "ოსკარისთვის" – 27 თებერვალს. "გრემი" 8 თებერვალს გაიმართება, "ოსკარი" კი – 29 თებერვალს, ტრადიციულ ვადაზე ერთი თვით ადრე.

ასე რომ, დამატებითი ვერსიებისა და ვარიაცებისთვის დრო კიდევ საკმარისად რჩება. ჩვენც, შეძლებისდაგვარად, ვეცდებით, დასავლეთის აჩქარებულ ტემპს არ ჩამოვრჩეთ და საზეიმო სეზონის დაწყებამდე ამერიკული კინოსკოლის ორ გაცილებით მნიშვნელოვან სიახლეს შევეხოთ – მარტინ სკორსეზეს თავისი ბლუზის სერიებითა და "მისტიკურ მდინარეს" – თავისი კომპოზიტორი რეჟისორით.

2004 წლის "ოსკარის" ოფიციალური პლაკატი

როკის ცოცხალი სკანდალი

მისი დახასიათებისას ერთმა ენამოსწრებულმა ჟურნალისტმა თქვა: „ის იმ გოგოების კატეგორიას განეკუთვნება, გართობის მიზნით, ბარში რომ ლუდის კათხაში ჩაგიფურთხებენ, სანამ ტუალეტში ხართ გასული". ბევრი ვერაფერი ქათინაურია, მაგრამ რა გაეწყობა...

პინკს მორიდება არ ახასიათებს, სიამოვნებით ჩხუბობს და „სიმფსონური" იუმორითაა დაჯილდოებული. რა გასაკვირია, რომ ხმის ჩამწერი სტუდიების მფლობელებთან განუწყვეტელი დაკა-დაკა აქვს გამართული. ჰყვებიან, რომ საქმიანი სადილის დროს პინკმა, ხუთი თავი დახვეწილი კერძის ნაცვლად, ჩისბურგერი მოითხოვა და ბოლოს ნამცეცებიც შეიტენა პირში. „სულ იმ ჭკუაზე ვარ, თავი მოვათვინიერებინო და ბარბის თოჯინად ვიქცე," - ბრაზობს პინკი.

ქალი, რომელსაც დევიზად მეამბოხეთა ლოზუნგი, „მე – დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ," აურჩევია, 24 წლის წინათ ალიშია მურის სახელით მოევლინა ქვეყანას. უნდა ითქვას, რომ ამ დევიზმა ის შორს წაიყვანა: მთელ მსოფლიოში მისი ათ მილიონზე მეტი ალბომია გაყიდული და ფილმ „მულენ რუჟის" თანმხლები მუსიკისთვის „გრემიც" აქვს მიღებული. მისი ახლახან გამოსული კომპაქტ-დისკიც Try This, „გრანდიოზული როკისა და საკლუბო სიმღერების ნაზავი", უკვე შესულია საშობაოდ საუკეთესოდ გაყიდული საქონლის სიაში.

ჰიტ-პარადებში პინკს თავის საკუთარი ადგილი აქვს დაკავებული, რომელსაც ავი ენები „როკ-მეძავისას" უწოდებენ. ჯენის ჯოპლინისა და კორტნი ლავის „სკოლის" ერთგული პინკი თავაშვებული, ძნელად აღსაზრდელი ქუჩის გოგოს სახეს ინარჩუნებს, რომელიც მაყურებლის წინაშე წარდგომისას ღიმილს შუათითის ჩვენებას ამჯობინებს. მან თავის ფსევდონიმი კვენტინ ტარანტინოს ფილმში Reservoir Dogs-ში „აღმოაჩინა" – იქ ერთ-ერთ განგსტერს მისტერ პინკი ჰქვია.

კოლეგებს პინკისა გავარდნილი თოფივით ეშინიათ. ბრიტნი სპირსს დაუჩივლია, - იმ სასტუმროებს ვერ ვეკარები, სადაც პინკი ცხოვრობს ხოლმეო. „ბრიტნი ლამაზი, პატარა გოგოა, - ერთობა პინკი, - მაგრამ, წესიერად სიმღერა მაინც უნდა ისწავლოს".

მოწყალების დისა და ვიეტნამის ომის ვეტერანის ქალიშვილი პინკი ფილადელფიის მივარდნილ გარეუბანში გაიზარდა. „ჩემი მშობლების ქორწინება ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო," - იხსენებს მომღერალი. „განუწყვეტლივ ჩხუბობდნენ; თან მეც სულ ავად ვიყავი - ასთმა მქონდა. აბსურდულად ჟღერს, მაგრამ მუსიკას ჩემმა ძვირფასმა ასთმამ მაზიარა – ექიმმა ფილტვების გასაწმენდად სიმღერა მირჩია".

13 წლის გოგონა უკვე როკ-ჯგუფებში მღეროდა და ღამ-ღამობით კლუბებში დარბოდა. იქ არანაირ ნარკოტიკს არ იკლებდა და, რაოდენ გასაოცრადაც უნდა გეჩვენოთ, სამედიცინო ლიტერატურაში იქექებოდა, რომ გაეგო, რა როგორ მოქმედებს. „ხომ უნდა მცოდნოდა, რა მემართება!" მერე კი ალიშია პროფესიონალებმა დისკოთეკაზე შეამჩნიეს და 16 წლის პინკმა პირველი ჩანაწერიც გააკეთა.

ემინემის მსგავსად, პინკმა თავის უსიხარულო ბავშვობის განცდების შთამბეჭდავად გადმოცემა შეძლო: ასე შეიქმნა „ოჯახური პორტრეტი". „ყოველ კვირას ერთი პატარა გოგოსგან ვიღებ წერილებს. ის მწერს, - ზუსტად ჩემნაირი ხარ, ჩემი უფროსი და ხარო," - ჰყვება პინკი.

მართალია, რაღაც-რაღაცებს ეს „ქუჩის გოგოც" განიცდის: გული სწყდება, რომ MTV-ს ჯილდოების გადაცემის დროს ისეთი მთვრალი იყო, რომ ორი სიტყვაც ვერ გადააბა ერთმანეთს; იმასაც ნანობს, რომ ერთხელ უთქვამს, - პიროვნების განვითარებისთვის კარგია, თუ თორმეტი წლის ბავშვებს ერთ-ორ აბ ექსტაზის ჩააყლაპებთო. ამჯერად მან ცხოველთა დაცვის ორგანიზაციას Peta-ს დაუჭირა მხარი და პრინც უილიამს წერილი მისწერა, - აფრიკაში ანტილოპებზე ნადირობა შენი მხრიდან დიდი უმსგავსობა იყოო.

საინტერესოა, რა უპასუხა გვირგვინოსანმა? - „არაფერი, - გაცოფდა პინკი, - სამაგიეროდ, ლონდონში რომ ჩავალ, ბუკინჰემის სასახლის ბაღში მოვშარდავ".

ნამდვილად იზამს. სხვაგვარად პინკი რა პინკი იქნებოდა.

პინკი

სექსი ფასობს

როგორც ჩანს, თავისი ახალი ალბომის In The Zone-ის რეკლამისთვის ბრიტნი სპირსი ყველაფერზე წამსვლელია: ოდესღაც უბიწო იმიჯის მქონე პოპ-პრინცესა ჟურნალ "როლინგ სტოუნისა" და ბრიტანული Elle-ის გარეკანებზე ნახევრად შიშველი გამოჩნდა. კაცმა რომ თქვას, MTV-ის ჯილდოების გადაცემის დროს მისი და მადონას ვნებიანი ამბორის შემდეგ რაღაა გასაკვირი... სპირსი პაპარაცებსაც აღარ ემალება და „ნეგატიური სახის" შესაქმნელად სასმელითა თუ სიგარეტით ხელში იღებს ფოტოსურათებს.

დასავლური პრესა იქედნურად ემშვიდობება ერთ დროს მტკიცე ქალწულს. „გოგო აღარ ვარ, მაგრამ ჯერ ქალიც არა ვარ," - განაცხადა ბრიტნიმ. მას უკვე შეუძლია მოწიოს, დალიოს, გაიხადოს და საჯაროდ კოცნოს ქალები თუ კაცები. სკოლის მოსწავლე გოგონას იმიჯი, რომელიც სიმღერა Oops I did it again-იდან გვახსოვს, რა ხანია, წარსულს ჩაბარდა. „ვიზრდები; 21 წლის ვარ; სულ თოჯინებით ხომ არ ვითამაშებ," - განაცხადა მან „ნიუ იორკ თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ბრიტნის ახალი იმიჯის აღწერა ძალიან მარტივია: ის დაუნანებლად აჩენს ხორცს. სპირსის ყოფილი თაყვანისმცემლების დედებს სულ არ უხარიათ, რომ მისი გაზრდა სიშიშვლითა და სხეულის კულტით გამოიხატა. მისი მოკლე მაისურები და ერთობ ორაზროვანი საცეკვაო მოძრაობები უწინაც აღძრავდა მამაკაცების სექსუალურ ფანტაზიებს, და I Am A Slave 4 U-ს შესრულებისას ცოცხალი გველიც ცალსახად ფალიური სიმბოლო იყო, მაგრამ In The Zone უკვე მეტისმეტია: ბრიტნი სპირსი აგრესიულად სექსუალური გახდა.

ამავე თაობის მომღერლებს, თუნდაც პინკს ან კანადელ ევრილ ლევინს, ეს ეტაპი უკვე გავლილი აქვთ. ისინი, რა ხანია, მიკი მაუსის კლუბებში აღარ დადიან და არც უბიწობაზე დებენ თავს. ისინი თავად წერენ თავიანთი სიმღერების ტექსტებს და სილამაზის იდეალებს სულ არ არიან გადაყოლილები. მათი აზრით, ის, რომ ისინი ბარბის არ ჰგვანან, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თავიანთი სხეულის საჯაროდ გამოჩენას უნდა მოერიდონ.

ასეთი კონკურენციის წინააღმდეგ ბრძოლა ბრიტნი სპირსმა 22 წლის კრისტინა აგილერას ხერხით ამჯობინა: მანაც გაიხადა. „სექსი ან, თუნდაც, მისი იმედი ყოველთვის ფასობს". მაგრამ, „წმინდა" ბრიტნის სიშიშვლემ ყოველგვარ საზღვარს გადააბიჯა. თავის ასეთ სიმამაცეს ის იმით ასაბუთებს, რომ უკვე დიდი გოგოა და ვერავინ ვერაფერს ეტყვის; მაგალითად კი მადონა მოჰყავს: „მე სულ მადონას ვუჯერებ. რატომღაც მისი მწამს. ვიცი, ეს სულელურად ჟღერს, მაგრამ ასეა და რა ვქნა..."

ბრიტნის სხვა მრავალი გამონათქვამისგან განსხვავებით, ეს სიტყვები სულელურად ნამდვილად არ ჟღერს: თავისი კარიერის დასაწყისში ხომ მადონაც არაფერს ერიდებოდა. საბავშვო წიგნების ავტორობამდე მან თავისი პირველი ნაშრომი „სექსი" გამოსცა, რომლის ილუსტრაციებიც მეტისმეტად გულახდილიც კი იყო. როგორც ჩანს, მისი და ბრიტნის მხურვალე კოცნა ამ უკანასკნელისთვის ერთგვარი ესტაფეტის გადაცემის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.

მოკლედ

ჯილდო სრულყოფილი კარიერისთვის

"ოსკარის" ცერემონიალამდე სამი თვით ადრე ნიკოლ კიდმანი მთავარი ჯილდოების მისაღებად სრულ მზადყოფნაშია. წელს გამოსული სამი ფილმი მას ტრიუმფულ გამარჯვების გარანტიას აძლევს. ვგულისხმობთ ლარს ფონ ტრიერის "დოგვილს", რომელიც კინოთეატრ "ამირანშიც" გადიოდა; ვენეციის ბიენალეზე პირველად ნაჩვენებ "ადამიანურ ლაქას", რომელშიც კიდმანს პარტნიორობას ენტონი ჰოპკინსი უწევს და "ცივ მთას", რომლის პრემიერაც ერთ თვეში შედგება.

ბოლო ხანს მიღწეული წარმატებების გამო, ნიკოლ კიდმანი სრულყოფილი კარიერისთვის ამერიკული კინოს პრიზითაც დააჯილდოეს. "მსახიობობა ჩემი ოცნება იყო ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა სიდნეიში ვცხოვრობდი და როცა ყველას ეგონა, რომ ერთი უცნაური, პატარა გოგო ვიყავი. მეტიც, ბიჭსაც კი პირველად სცენაზე ვაკოცე", - განაცხადა კიდმანმა პრიზის მიღებისას.

ბევრმა შეიძლება იფიქროს, რომ სრულყოფილი კარიერისთვის ჯილდოს მიღება 36 წლის ასაკში ცოტა ნაადრევია. თუმცა, კიდმანი მარტო არ არის. 1986 წელს ჟიურიმ იგივე პრიზით 25 წლის ედი მერფი დააჯილდოვა. ასე რომ, ამერიკელები ამტკიცებენ, რომ როდესაც თავბრუდამხვევ კარიერაზეა საუბარი, ასაკს მნიშვნელობა არ აქვს.

ამერიკული კინოს პრიზს, ასევე, ფლობენ: სტივენ სპილბერგი, მელ გიბსონი, მარტინ სკორსეზე, არნოლდ შვარცნეგერი და დენზელ ვაშინგტონი.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელ "ოსკარზე" ნიკოლ კიდმანი "საათებში" ვირჯინია ვულფის როლის შესრულებისთვის დააჯილდოეს.

ამერიკული კინოს ეგიდით პარასკევს მოწყობილ ცერემონიალს კი ტელეეთერით 1 დეკემბერს უჩვენებენ. საღამოს, რომელიც "ბევერლი ჰილტონ ჰოტელში" გაიმართა, ჯეიმს კაანი, ედრიენ ბროუდი, ლორენ ბაკალი და კიდმანის ბავშვობის მეგობარი მსახიობი ნაომი უატსი ესწრებოდნენ. ისინი ერთად იხსენებდნენ ნიკოლის კარიერას და დიდ ეკრანზე უცქერდნენ კლიპებს მისი ფილმებიდან. რა თქმა უნდა, იყო ნაწყვეტები იმ სურათებიდანაც, რომლებშიც კიდმანი თავის ყოფილ მეუღლესთან ერთად თამაშობს, მაგალითად, "ფართოდ დახუჭული თვალები" და "შორეული ქვეყანა". თავად ტომ კრუზი ცერემონიალს არ დასწრებია; არსად ჩანდა არც კიდმანის ახალი შეყვარებული ლენი კრავიცი. თუმცა, პრიზიორ მსახიობს მაინც მშვენიერი ბიჭუნა ახლდა თან – შვილი კონორი.

ჯეიმს ბრაუნი თავს კარგად გრძნობს

"სოულის ნათლიას" კარგი თვალით უყურებს მისი მშობლიური ქალაქი ოგასტაც. მეტიც, ისინი აპირებენ, თავიანთი ქალაქის საამაყო წარმომადგენელს ძეგლი დაუდგან. 70 წლის მუსიკოსი, თავის მხრივ, აცხადებს: "მე ყველაფერს გავაკეთებ ოგასტას დასახმარებლად. ხომ იცით, სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი".

ჯეიმს ბრაუნი ჯორჯიის შტატის ამ პატარა ქალაქში რამდენიმე ოფისსა და რადიოსადგურს ფლობს. ახლა მის ქონებას ქანდაკება და კიდევ მუსიკალური ფესტივალი Garden City Music Festival შეემატება, რომელსაც ამიერიდან ჯეიმს ბრაუნის სახელი ერქმევა.

სხვათა შორის, უკვე 15 წელია, მუსიკოსი ოგასტელებს ეხვეწება, რომ ფესტივალს მისი სახელი დაარქვან. "ძალიან მინდა, ხალხმა ჩემით ისარგებლოს, სანამ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ. გამოიყენეთ ჩემი სახე. მართალია, ის არც ისე ლამაზია, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველა ცნობს", - ამბობს ის. როგორც ჩანს, ოგასტაშიც უკვე ასე ფიქრობენ და სურთ, ჯეიმს ბრაუნის სახელით ტურიზმი ააყვავონ. ბიზნესი ქანდაკების აღმართვით იწყება.

რუდი ფიოლერი:
„საფრანგეთს რომ დავეწიოთ, დრო გვჭირდება"

მაშინ, როდესაც საფეხბურთო სამყაროს ყურადღება ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფის მატჩებისკენ იყო მიმართული, დიდ ინტერესს იწვევდა ერთი ამხანაგური შეხვედრაც. მიზეზი ის გახლავთ, რომ გერმანიისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები – მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ევროპის მოქმედი ჩემპიონი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მასპინძელი გერმანელები 0:3 დამარცხდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ფრანგებს თავიც არ აუტკივებიათ და ძალებსაც ზოგავდნენ. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე შვიდი თვე დარჩა, გერმანელები კი აშკარად არ არიან მზად დიდი მიზნებისთვის საბრძოლველად. გუშინწინდელი მატჩის შემდეგ გერმანიის ნაკრების თავკაცი ჟურნალისტებს გაესაუბრა. საინტერესოა, რას ფიქრობს რუდი ფიოლერი საფრანგეთთან განცდილი მარცხის შემდეგ.

საფრანგეთთან წაგებამ ფიოლერი სასოწარკვეთილებაში არ ჩააგდო.

- როგორ შეაფასებდით თქვენი გუნდის უკანასკნელ მატჩს?

- ცხადია, იმედგაცრუებულები ვართ. საფრანგეთთან განცდილი მარცხი გულს ძალიან გვტკენს. პირველი ტაიმი, მართლაც, კარგად ჩავატარეთ, თუმცა 0:2-ის შემდეგ შანსი აღარ გვქონია. ბოლოს და ბოლოს, მთავარი მაინც შედეგია და ამ მატჩის შედეგი კიდევ დიდხანს არ მოგვცემს მოსვენებას. 60 წუთის შემდეგ ჩვენი გუნდი დანებდა, თუმცა, ისეთივე შემართებით ვითამაშეთ, როგორც რამდენიმე წლის წინ, საფრანგეთში.

- ეს მარცხი იმის ბრალი ხომ არ იყო, რომ გერმანიის ნაკრებს წამყვანი ფეხბურთელები აკლია?

- მიზეზების დასახელებისას მხოლოდ ამ პრობლემით არ შემოვიფარგლები. უფრო მტკივნეული ის არის, რომ შანსები ვერ გამოვიყენეთ. ასეთი მეტოქე შენს ნებისმიერ შეცდომას შენს წინააღმდეგ გამოიყენებს. თავიდანვე ვიცოდით, რომ ზიდანის, ანრის, პირესისა და ტრეზეგეს განეიტრალება შეუძლებელი იქნებოდა.

- დამთრგუნველია თუ არა, რომ მსოფლიო ფეხბურთის გრანდთან ზედიზედ მერვედ მარცხდებით?

